პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალური და ტფილისის კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მეზღ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქტორთან საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონი, ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 18—38.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი 10—49.
ფულის ხელმოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მიწერით—1 მან. 60 კ. ... 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის 1 მან. განცხადება 20 კ. ... სტრიქონი. ... განცხადება 5 მან. ჩერვ. განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ ...

დღიური

ბომბეიში (ინდოეთი) გაფიცულმა მუშებმა ცეცხლი წაუკიდეს ფაბრიკას.

ბელგიის საფრანგეთის შეთანხმებით გადაწყვეტილი აქვს ზეებრიუგეზე გადააქციოს სამხედრო-საზღვაო ბაზად ინგლისის წინააღმდეგ.

სამხრეთ-სლავიასა და ბულგარეთს შორის დამოკიდებულება გამწვავდა.

საბერძნეთის მონარქისტებსა და მთავრობას შორის მოხდა შეთანხმება მეფის გადაყენების შესახებ. მთავრობა კანონს ამნისტიის გამოაცხადებს.

№ 64 (919) ხუთშაბათი, 20 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. ჩერვონცით. № 64 (919)

გაზეთის დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა:
პარასკევს, 21 მარტს
ერთიან პარტიულ დღეს
უჯრედებში დაისვას საკითხი
ფულის რეფორმის შესახებ
პასუხისმგებელ ხელმძღვანელებისათვის ხუთშაბათს, 20 მარტს, საღამოს 7 საათზე პარტიულ კლუბში გაიმართება მოხსენება.
ტფილისის კომიტეტის მდივანი ...

ხუთშაბათს, მარტის 20, საღამოს 7 საათზე
დანიშნულია
ს. ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი მ. ხახაშვილი.

ფულის რეფორმა და უცხოეთის ვალიუტა

საბჭოთა ხელისუფლების (როგორც ყოველი სხვა მთავრობის) არცერთ ღონისძიებას, ნაბიჯს, არ მოჰყვება რაიმე დადებითი შედეგი, თუ მას ნდობით არ შესცქერის ხალხი. შეიძლება ამა თუ იმ რეფორმის საჭიროებაში და სარგებლიანობაში ცოტათ თუ ბევრათ იყვნენ დარწმუნებული მოქალაქენი, მაგრამ თუ მათ შეგნებას ღრღნის ეჭვი იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას არ მოეპოვება საკმაო ძალა და სიმტკიცე მათ გასატარებლად (ცხოვრებაში—გადადგმული ან გადასადგმელი ნაბიჯი არასოდეს არ იქნება მყვიდრი ნიადაგის მქონე, მცხოვრებთა მასა მოკლებული იქნება ყოველი საქმისათვის საჭირო რწმენას მის წარმატებასა და ცხოველმყოფელობაში.

ფულის რეფორმისათვის, რომელიც დაიწყო რუსეთში და გავრცელდება მალე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც, დამახასიათებელია არა მარტო მშრომელთა, არამედ საერთოდ მოქალაქეთა მასების ნდობა და იმედი, რომ დაწყებული საქმე მყვიდრ ნიადაგზე სდგას და მას მომავალი აქვს. იმ თვითვე ჩერვონეცმა, შემდეგ კი ე. წ. „სახაზინო ბილეთებმა“ და ლითონის ფულმა ერთბაშად მიიზიდეს ყველას ყურადღება, დაიმსახურეს ნდობა. ქაღალდის ფულს „შეჩვეულმა“ მოქალაქემ, ჩავარდნილმა მისი მუდმივი მერყეობის, უკეთესად რომ ვთქვათ, სისტემატიურად მისი ფასების დაკლების ბრჭყალებში, დაბოლოს კმაყოფილებით ამოისუნთქა, როდესაც ხელი შეავლო ისეთ ფულს, რომელიც უზრუნველჰყოფს მისი ქონების შენარჩუნებას დიდი ხნით და ანთავისუფლებს მას ყოველ წუთიერ ზრუნვისაგან არაფერი დაეკარგოს ისედაც მჭლე სალარიდან. წინეთ ამას ის ძალიან ძვირად აძლევდა. დღეს კი, როგორც იტყვიან, მას „გული საგულეს“ აქვს. ის ნდობით უყურებს თავის ჯიბეს და შედარებით „არხეინათ“ გრძნობს თავს, რამდენადაც მას რამე გააჩნია საზოგადოთ. ლითონის ფულის მოლოდინში ის ძველი „პორტმონეების“ ძებნასაც შეუდგა, რომლის ხმარებას თითქმის ათი წელია რაც გადაეჩვია და რომელიც „არქივს“ მისცა.

დღეს მდგომარეობა სხვანაირად „შეტრიალდა“. როგორც ვთქვით, ის ნდობით უცქერის მთავრობის რეფორმას და გამოშვებული მტკიცე ღირებულების მატარებელ ფულს. ამან გამოიწვია უცხო ვალიუტის ფასის დაცემა, რომლის შესახებ ცნობებს ვღებულობთ რუსეთიდან.

ავიღოთ მაგალითისთვის ფრანგული ფრანკი, ინგლისური სტერლინგი და ამერიკული დოლარი.

7 მარტს ლენინგრადის ბირჟაზე ფრანკი ღირდა 7 და ერთი მეოთხედი კაპიკი, მაშინ როდესაც ომის წინადროინდელი მისი პარიტეტი უდრიდა 37 ნახევარ კაპიკს.

მაგრამ დაეცა არა მარტო ფრანკის ფასი, იგივე ბედი არგუნა ჩერვონეცის „მუშაობამ“ შედარებით უფრო მტკიცე ვალიუტას, ინგლისის სტერლინგს. 7 მარტს იმავე ლენინგრადის ბირჟაზე სტერლინგი იყიდებოდა 8 მან. 80 კაპიკათ, მოსკოვის ბირჟაზე—8 მ. 73 კაპიკათ.

კიდევ მეტი. გაიაფებას ვერ ასცდა თვით ისეთი მტკიცე ფული, როგორიც არის დოლარი. 25 თებერვლამდი დოლლარი ღირდა 2 მან. 16 კაპ. ხოლო შუა მარტს კი (ე. ი. ორი კვირის შემდეგ) იმავე დოლლარს შეიძენდით 2 მანეთად და ექვს კაპიკათ, ალაგ-ალაგ კი 2 მანეთად და 3 კაპიკათაც.

ამნაირად გარკვევით, ნათლად აღინიშნა მიდრეკილება უცხოეთის მტკიცე ვალიუტის ფასების დაცემისა, იმ ვალიუტის, რომლის სიმტკიცით ამაყობდნენ სათანადო სახელმწიფოები (თუმცა საფრანგეთის გამოკლებით უკანასკნელ ხანებში, როდესაც ფრანკი საგრძნობლად „შეტორტმანდა“ და ძირს დაეშვა).

ჩვენ ვხედავთ ამნაირად, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის მოქალაქისათვის აშკარა გახდა ჩვენი ვალიუტის სიმტკიცე, მას შემდეგ, რაც ნდობა დაიმსახურა საბჭოთა ხელისუფლების საფინანსო პოლიტიკამ საერთოდ და ფულის რეფორმამ კერძოთ და განსაკუთრებით, ყველა ცდილობს საბჭოთა ვალიუტაში მოაქციოს ის ქონება, რომელიც მას მოეპოვება, ზურგი შეაქციეს ამიტომ უცხოეთის ვალიუტას და იბრუნეს პირი საბჭოთა კავშირის ვალიუტისაკენ.

ზემოთ მოყვანილი რამოდენიმე ცნობა უცხოეთის ფულის ფასების დაცემის და ჩერვონეცის და მისი ხურდა ნაწილების ფასების მომატების შესახებ აშკარა მაჩვენებელია იმ ნდობის, რომლითაც ეპყრობა ეგ. წოდ. საზოგადოება და მუშები და გლეხები ჩვენი კავშირის მთავრობის ნაბიჯებს ფულის რეფორმის საქმეში. სწორეთ ეს გარემოება არის მაჩვენებელი იმისი, რომ ჩვენი მეურნეობის, ჩვენი აღებ-მიცემობის საქმე შესდგა მყვიდრ ნიადაგზე, რომ ის ივლის წარმატებით, რომ ჩვენს აღმშენებლობას ფართო პერსპექტივები აქვს. ამ გზით გავიმარჯვებთ ჩვენ და გაიმარჯვებს ჩვენი ეკონომიკა.

ახალი წევრების მიღება პარტიაში

როგორც ამხ. რუმბის წერილიდან ჩანს („რაბოჩაია პრავდა“-ს 16 მარტის ნომერში) ტფილისში, ახალი (ლენინის) კადრების შეყვანა პარტიაში სათანადოთ ვერ ტარდება. 2000 მუშისაგან, რომლებმაც შეიტანეს განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ, ჯერ-ჯერობით მიღებულია მხოლოდ 650 კაცი.

ამხ. ლომინაძე პარტიის ცეკას სხდომაზე მოგვითხრობდა, თუ როგორ „აწამებენ“ დაკითხვებით მუშას, რომელმაც შეიტანა განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ, რამდენ „წმენდაში“ უნდა გატარდეს ის და სხვა. ამხანაგები რაიონიდან მოგვითხრობენ, რომ მათ ხშირად სწყინით მუშებისაგან, რომ მათ უნდოდათ პარტიაში შესვლა, მაგრამ „დაკითხვებით აწამებენო“. რა თქმა უნდა, ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ განურჩევლად და დაუკითხავად არ შეიძლება პარტიაში შევიყვანოთ ვინმე. რა თქმა უნდა განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ანტისაბჭოთა პარტიებიდან გამოსულების მიმართ, მაგრამ ყველაფერს უნდა ჰქონდეს ზომა. რით არის გამოწვეული 13 პარტკონფერენციის დადგენილება პარტიაში 100.000 დაზგასთან მდგომ მუშის მიღების შესახებ. რატომ მოხდა ის, რომ ლენინგრადის, მოსკოვის, ბაქოს და მთელმა რიგმა სხვა ორგანიზაციებმა აღძრეს საკითხი საკანდიდატო სტაჟის 3 თვემდე შემცირების შესახებ, ამ მუშებისათვის? რა აზრი ჰქონდა ყველაფერ ამას?

13-ე პარტკონფერენციის წინ ჩატარებულმა დისკუსიამ ნათლად დაგვიმტკიცა, როგორი საფრთხე მოელის ჩვენ პარტიას და რომელი მხრიდან.

პარტიისათვის ნათელი გახდა, ჩვენი პარტიის არა მუშური ნაწილი რამდენად ადვილად განიცდის წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიის ზეგავლენას. პარტია, როგორც ყოველთვის, მისი უკვდავი წინამძღოლის და შემოქმედის ლენინის მაგალითის მიხედვით უყურებდა მუშათა კლასს. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში პარტია მხოლოდ მაშინ შესძლებს თავის რიგების შეურყევლად შენარჩუნებას, თუ იგი აბსოლიუტურ ბატონობას პარტიაში დაუთმობს არა „სხვადასხვა შემადგენლობის იაჩეიკებს“, არამედ მის მთავარ ცენტრს—დაზგასთან მდგომ მუშას.

გაუკეთა რა ჯამი დისკუსიას, 13-ე პარტკონფერენციამ უთხრა ჩვენი კავშირის მუშათა კლასს: „ჩვენ პარტიაში, რომელიც ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას, დაზგასთან მდგომი მუშები მხოლოდ 50 ათასს შეადგენენ. რათა პროლეტარიატის დიქტატურა იყოს აბსოლიუტური და შეურყეველი, დაუყოვნებლივ უნდა შეივსოს კომუნისტური პარტიის რიგები დაზგასთან მდგომ მუშებით.

უნდა გასამკეცდეს პარტიაში დაზგასთან მდგომი მუშების რიცხვი. უნდა იქნას მიღებული პარტიაში მაისამდე 100.000 დაზგასთან მდგომი მუშა. როგორ გამოეხმაურა მუშათა კლასი ჩვენი პარტიის მოწოდებას? რუსეთის კომპარტიის ცეკას ცნობით, მთელ საბჭოთა კავშირში **დაზგასთან მდგომ მუშების მიერ შეტანილია 183507 განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.**

ეს არის პასუხი ყველა იმათთვის, ვინც ამას წინად გაიძახოდენ, რომ ჩვენმა პარტიამ დაჰკარგა კავშირი მუშათა კლასთან და აგრეთვე ამ კლასის ნდობა. რამდენი იქნა აქედან მიღებული, ამის შესახებ მე ამჟამად ცნობები არ მომეპოვება. მაგრამ ბახმუტიდან მიღებული დღევანდელი ცნობა ბევრ რამეს ლაპარაკობს. 19000 განცხადებიდან, რომელიც „დონეცის ბასეინში“ შეიტანეს,—დამტკიცებულია 14.000. იგივეა ბაქოში. ჩვენში კი? ჩვენში დღემდის მიღებულია **მხოლოდ 650.** ამავე დროს მხოლოდ ერთ ლენინის რაიონში შეტანილია 700 განცხადება, აქედან მიღებულია **მხოლოდ 200.** მთელ ტფილისის ორგანიზაციაში შემოტანილია დაახლოვებით 2000 განცხადება, მხოლოდ მიღებულია 650.

რაშია საქმე?

განა ქართული ორგანიზაცია ისე მდიდარია დაზგასთან მდგომ მუშებით, რომ მას შეუძლია მაინც და მაინც არ იზრუნოს ჩვენი პარტიის ძირითად კადრის გაზრდაზე? ან, შეიძლება, ჩვენი პარტიის რიგები საქართველოში მიუწვდომელია წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიის გამხრწნელ ზეგავლენისათვის. შეიძლება, ეს საფრთხე არსებობს მხოლოდ მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, „დონეცის ბასეინის“ ორგანიზაციებისათვის. ჩვენი პარტიის არც ერთი ორგანიზაცია არ გრძნობს ისე დიდ საჭიროებას დაზგასთან მდგომი მუშებით თავის რიგების შევსებაში, როგორც ჩვენი, საქართველოს კომპარტია. ჩვენს, საქართველოს პარტიაში ხომ 13 ათას პარტიულ წევრზე ჩვენ გვყავს მხოლოდ დაახლოვებით 2—2 ნახ. ათასი მუშა. აი როგორი მდიდრები ვართ ჩვენ: საჭიროა ამოქმედება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტფილისი—არის ერთად ერთი ცენტრი საქართველოში, სადაც ჩვენ პარტიას შეუძლია შეავსოს თავისი რიგები დაზგასთან მდგომ მუშებით. არ უნდა გვეშინოდეს. არ არის საჭირო „გრძნობა“, რომ არ შეიძლება შავი მუშების მიღება და სხვა. უნდა გვახსოვდეს, რომ თვითეული დაზგასთან მდგომი მუშა ჩვენს რიგებში გაამლიერებს ჩვენს პარტიას, ამხ. ზინოვიევმა და იაროსლავსკიმ უკვე წამოაყენეს ახალი ლოზუნგი—„**პარტიას უნდა ჰყავდეს 1 მილიონი წევრი. აქედან 900 000 დაზგასთან მდგომი მუშა.**“, ჩვენ კი გაყინული ვართ 650 კაცზე.

13-ე პარტკონფერენციამ გასცა ბრძანება მაგრად ჩაიკეტოს პარტიის კარები ყველა არაპროლეტარულ ელემენტებისათვის, მაგრამ სიამოვნებით გაუღოს კარები დაზგასთან მდგომ მუშებს. ტფილისის ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს პარტიის ეს ბრძანება. მან უნდა გაასამკეცოს თავისი ორგანიზაციის მუშური ნაწილი.

ხ. ორჯონიკიძე.

ავაზაკური იმპერიალიზმი, ჩინეთი და საბჭოთა კავშირი

ინგლისისა და იტალიის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობამ წელში გასტეხა ის შეურიგებელი პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდნენ ჩვენს მიმართ ზოგიერთი სახელმწიფოები, განსაკუთრებით საფრანგეთი, ამერიკა და იაპონია. თუ ეს უკანასკნელი რამოდენიმეთ მაინც ითმენდა მოლაპარაკებას ჩვენთან, პირველი ორი „ჯიუტობით“ იყვნენ აღჭურვილნი და ყოველ საშუალებას ხმარობდენ არა მარტო იმისთვის, რომ თვით მათ არ დაეწყოთ მოლაპარაკება, არამედ სხვებისთვისაც ხელი შეეშალათ საბჭოთა სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენაში. გაზ. „ტან“-ი, რომელიც ხშირათ გამოხატავს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრს, სწერდა ინგლისის მიერ საბჭოების იურიდიულათ ცნობის მეორე დღესვე, რომ რადგან ინგლისთან ამ საკითხში საფრანგეთის თანამშრომლობა შეუძლებელი შეიქმნა ინტერესთა სხვადასხვაობის გამო, საჭიროა შეთანხმება სხვა სახელმწიფოებთან, რომლებიც წარსულში ადგენ იმავე გზას, როგორსაც პუანკარეს მთავრობა. დიდ სახელმწიფოთა შორის ასეთები იყვნენ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამერიკა და იაპონია და ჩვენ ვხედავთ დღეს, რომ ეს სამი „ტოლი“ ერთად გამოდიან დღეს ამ საკითხში, გამოდიან ერთად, რამდენადაც ამის თქმა შეიძლება ყოველ შემთხვევაში ჩინეთის მაგალითზე.

საქმე იმაშია, რომ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ამხ. კარახანისა და პეკინის მთავრობის წარმომადგენლებს შორის, ორივე მხარემ ხელი მოაწერა წინასწარ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ჩინეთმა იურიდიულად იცნო ჩვენი კავშირი. ამის შესახებ მკითხველები წაიკითხავდნენ ჩვენი გაზეთების გუშინდელ ნომერში. იქვე იყო მოთავსებული ცნობა პეკინიდანვე, რომ, რათა ჩაეშალა ორ სახელმწიფოთა შორის შეთანხმება, საფრანგეთის ელჩმა პეკინში გადასცა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა გაფრთხილებით, არ ეცნო საბჭოთა კავშირი, რადგან ეს გარემოება ძირითადათ სცვლის აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხის მდგომარეობას და მით ზიანს აყენებს საფრანგეთის ინტერესებს. დღეს კი მკითხველი გაეცნობა ჩვენს გაზეთში ამბავს იმის შესახებ, რომ ამერიკისა და იაპონიის მთავრობებმა მხარი დაუჭირეს ამ საკითხში საფრანგეთს და სამივე სახელმწიფოს ელჩები წინააღუდგნენ წინასწარ ხელშეკრულების დამტკიცებას (რატიფიკაციას) ჩინეთის მთავრობის მიერ.

და მართლაც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა ხელშეკრულების დამტკიცებაზე.

არ არის მოსალოდნელი ჯერ-ჯერობით მაინც, რომ ამხ. კარახანის ნოტამ რომლითაც მან მიმართავს პეკინის მთავრობისთვის, წინააღმდეგი გადაწყვეტილება მიაღებინოს ამ უკანასკნელს და ერთბაშად აიმხედროს ის სამი იმპერიალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთა კლანჭებში ფართხალობს ეს უძლური, შინაური უთანხმოებით დაფლეთილი კოლოსი. საინტერესოა აქ ის გარემოება, რომ უცხოელი იმპერიალისტური ავაზაკები ისე უფათურებენ ხელებს ჩინეთში, როგორც თავიანთ სახელმწიფოებში ან, უკეთესად რომ ვსთქვათ, კიდევ უფრო უპასუხისმგებლოთ, ვინემ „საკუთარ“ ქვეყნებში. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ, როგორც ზემოთ მოყვანილი „ტან“-ი სწერდა, საფრანგეთი სცდილობს დღეს ხელი შეუშალოს ყველა მისგან დამოკიდებულ ნახევრათ კოლონიებს და შეუთანხმდეს დიდ სახელმწიფოებს, რათა ერთათ გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საფრანგეთმა ვერაფერი გააწყო ევროპაში. სამოქმედო ასპარეზი გადაიტანა ახლა მან აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოებში. მაგრამ აქაც მის ცდას იგივე ბედი ეწვევა, როგორიც ევროპაში. ამის ერთი მაჩვენებელია სხვათა შორის ის საერთო პროტესტი, რომელიც გამოიწვია ჩინეთში ელჩების გამოსვლამ პეკინში. საზოგადოებრივი აზრი ვერ შეურიგდება, ვერ შეურიგდება თვით ჩინეთის მთავრობა და გავლენიანი წრეები უცხოელების ასეთ თარეშს იქ, ვერ შეურიგდება იმას, რომ დიდხანს დარჩეს ორი მეზობელი ქვეყანა ურთიერთ ნორმალურ დამოკიდებულების გარეშე. პუანკარე მოიტეხს აქაც კისერს მით უმეტეს, რომ თვით საფრანგეთში არის ძლიერი მიმდინარეობა ჩვენი კავშირის ცნობის გარშემო. ეს საკითხი გახდება მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც ერთ-ერთ მთავარ საკითხათ, რომლის გარშემო გაჩაღდება საარჩევნო ბრძოლა მმართველ „ნაციონალურ ბლოკსა“ და „მემარცხენე ბლოკს“ შორის.

მიუხედავათ იმპერიალისტური ყაჩაღების ცდისა და მათ წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის ცნობის საქმე გაიკაფავს გზას როგორც დასავლეთის ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებში, ისე აღმოსავლეთშიც. ამას მოითხოვს მსოფლიოს ეკონომიური ცხოვრება, ამას მოითხოვს აუცილებლობა და ვერავინ ამ ბუნებრივ აუცილებლობას ვერ შეაჩერებს დიდხანს.

X.

როგორი კოოპერაცია უნდა იყოს ჩვენში?*)

ლაპარაკია სოფელზე და არა ქალაქზე. ქალაქის შესახებ ჩვენ არ ვდავობთ. საკითხი ნათელია. აქ შესაძლებელია მხოლოდ სამომხმარებლო-მუშათა კოოპერაცია. უკანასკნელს შეუძლია იარსებოს, იცოცხლოს, განვითარდეს და ისუნთქოს მხოლოდ სამრეწველო ქალაქის ატმოსფერაში.

სულ სხვაა სოფელი. აი, აქ უკვე იწყება დავა და აზრთა სხვადასხვაობა. ამ დავას ხშირათ მეტათ გამწვავებული ხასიათი ეძლევა, მაშინ როდესაც საკითხის სწორათ დაყენება აქაც, უსათუოდ, აზრთა სასურველ თანხმობას მოგვცემდა.

რაშია საქმე? როგორი კოოპერაცია სჭირდება ჩვენ სოფელს? ერთნი ამბობენ—სამომხმარებლო, მეორენი—ინტეგრალური, და, დასასრულ—მესამენი იცავენ სოფელში კოოპერაციის სხვადასხვა სახეების პარალელურ არსებობას—საკრედიტოსას, სამომხმარებლოსას და სასოფლო-სამეურნეოსას—მისი სხვადასხვა დარგებით.

გლეხს სასოფლო კოოპერაცია ესაჭიროება. ორი მხრივ არის ის იმისთვის საჭირო: ჯერ ერთი, როგორც გამყიდველისთვის და მერმე როგორც მყიდველისთვის — მომხმარებლისთვის.

რომ იყიდოს რაიმე გლეხმა, უნდა გაყიდოს რაღაც თავის მეურნეობიდან. მასთან, ცხადია, რომ მას შეუძლია იყიდოს მხოლოდ თავის მსყიდველობითი უნარის ფარგლებში, ე. ი. იმ საშუალებებიდან, რომელნიც მას მიუღია თავის მეურნეობის ნაწარმოებთა გაყიდვისაგან. ამრიგათ, ეს ორი ძირითადი მომენტი—გაყიდვა და სყიდვა—გლეხისათვის, როგორც წვრილ მწარმოებლისათვის, ერთ მთლიან ორგანიულ რამეს წარმოადგენს. მათი გათიშვა, განკერძოება მხოლოდ თეორიაში, აბსტრაქციაში შეიძლება.

მაგრამ კავშირი ამ ორი მომენტის შორის უფრო მჭიდროა, ვიდრე ეს შეიძლება გვეჩვენოს ზერელე შეხედულებით. გამოდის რა როგორც მყიდველი - მომხმარებელი, გლეხს არ შეუძლია დაივიწყოს თავის თავი როგორც მწარმოებელმა—გამყიდველმა. თუ იგი ანგარიშს არ გაუწევს თავის თავს, როგორც მწარმოებელი, ის აუცილებლად დალუპავს თავის თავს, როგორც მომხმარებელიც.

მაგრამ თუ ეს ყიდვის და გაყიდვის ორი მომენტი წვრილ მწარმოებელ გლეხისთვის ერთ განუყრელ ერთეულს წარმოადგენს, მაშინ რამდენათ სწორი და მიზანშეწონილია მათი გათიშვა, როდესაც გლეხობას ვაერთიანებთ კოოპერატიულ ამხანაგობებში საზოგადოებრივ-მოწესრიგებულ ყიდვა-გაყიდვისათვის?

სყიდვის და გაყიდვის ორ თუ რამოდენიმე ორგანიზაციის შორის ასე ხელოვნურად განაწილებას თავის შედეგებით მხოლოდ გლეხის მეურნეობაში საჭირო წონასწორობის დარღვევა მოჰყვება. განა საკმაოთ არ გვეუბნება ამას ჩვენი მდიდარი კოოპერატიული პრაქტიკა, რომელიც იძლევა ათას მაგალითებს ამ აზრის საილუსტრაციოთ?

რით ვაჭრობს ჩვენი სასოფლო კოოპერაცია? თითქმის ყოველივეთი, იმის გამოკლებით, რაც გლეხს ესაჭიროება პირად და საწარმოო მოხმარებისათვის. ჩვენ ეხლა ბევრს ვლაპარაკობთ სასოფლო კოოპერაციისთვის საჭირო საქონლის ნორმალურ ასორტიმენტზე. ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ეს ასორტიმენტი მეტათ არანორმალურია. მაგრამ ყოველი ლაპარაკი ფუჭი იქნება მანამდი, სანამ კოოპერატიულ ამხანაგობებში სყიდვა ორგანიზაციულათ გათიშული იქნება გაყიდვისაგან. რა რაოდენობის, რა და როგორ იქნეს შესყიდული—ამ საკითხებს პრაქტიკულათ უკეთ გადაჭრის თვითონ შეკავშირებული, კოლექტიური გამყიდველი.

აი ერთად ერთი სწორი პასუხი, რომელიც შეიძლება გაიცეს ზემო დასმულ საკითხზე—როგორი კოოპერაცია ესაჭიროება ჩვენს სოფელს? კოოპერაცია, რომელშიაც გაერთიანებული იქნება როგორც გაყიდვა, ესე იგი გასაღება გლეხის მეურნეობის ნაწარმოებებისა, ისე შესყიდვაც სამეურნეო და პირად საჭიროებისათვის მოსახმარ საგნებისა.

ასე სწყდება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენათ მიზანშეწონილია ორგანიზაციულათ გათიშვა კოოპერაციის „გაყიდვის“ (გასაღების) დარგში კოოპერაციისაგან „შესყიდვის“ სფეროში, დამოუკიდებლათ იმისაგან, ეს შესყიდვა სწარმოებს პირად თუ სამეურნეო მოხმარებისათვის. ჩვენ აქ უკვე აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ საგლეხო მეურნეობის თითქმის ნატურალურ ხასიათის გამო პირადი მოხმარების საგნები გლეხის „შესყიდვებში“ შედარებით მცირე როლს თამაშობენ, ვიდრე წარმოებისათვის საჭირო საგნები.

მაგრამ გაყიდვის ანუ გასაღების საკითხთან მჭიდროთ დაკავშირებულია მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი—კრედიტის საკითხი. კრედიტი ესაჭიროება გლეხს, როგორც გამსაღებელს, რომ უზრუნველჰყოს იგი შესაძლებელ ზარალისაგან თავის პროდუქტის სასწრაფო გასაღების დროს, აგრეთვე უთავრესათ მის მეურნეობაში საჭირო საგნების შესაძენათ. ცხადია, რომ საკრედიტო ოპერაციების გამოყოფა სასოფლო კოოპერატივის საერთო მეურნეობიდან პრაქტიკულათ არამიზანშეწონილია. კრედიტი ეს ერთი ცხოველმყოფელი და საჭირო ფუნქციათაგანია უკანასკნელისათვის.

ამრიგათ საკითხზე—როგორი კოოპერაცია ესაჭიროება ჩვენ სოფელს—ჩვენ უნდა ვსთქვათ, თუ არ გვსურს უნაყოფო აბსტრაქციაში ჩავარდნა, რომ სოფელს ესაჭიროება კოოპერაცია, რომელიც ეხება საგლეხო მეურნეობის ყველა მხარეებს.

შეგნებულ კოოპერატორების ვალია არა თუ არ შეუშალონ ხელი ამ პროცესს, არამედ თავის აქტიური შემოქმედებითი ზეგავლენით დააჩქარონ იგი, მიმართონ სწორ ორგანიზაციულ კალაპოტში. და ეს საჭიროა მით უმეტეს, რომ ჩვენ ღარიბი ვართ არა მხოლოდ მატერიალური რესურსებით, არამედ ცოცხალ, შემოქმედებით, კულტურულ კოოპერატიულ მუშაკებითაც.

მთლიან კოოპერაციას უნდა იქნეს თავისი მთლიანი სამეურნეო და იდეურ ხელმძღვანელი რესპუბლიკანური ცენტრიც.

დუალიზმი აქ ისევე საზიანოა, როგორც პირველ საფეხურის კოოპერაციაში. კიდევ მეტი, თუ უკანასკნელის შესახებ კიდევ შეიძლება დავა, საკითხი რესპუბლიკანური ცენტრის მთლიანობაზე დავის გარეშე უნდა იქნეს. კოოპერატიული მოძრაობა მთლიანია, მთლიანია მისი ამოცანებიც. მთლიანი უნდა იქნეს მისი მიმმართავი ნებაც. სხვა მდგომარეობა შეუძლებელიც არის საბჭოთა რესპუბლიკაში.

გ. პ.

*) სადისკუსიო.

ყოფა-ცხოვრების საკითხებიდან

1. სოციალური რევოლიუციის ამოცანები

— თქვენ სულ რევოლიუციაზედ ლაპარაკობთ. მე 7 წელში გადავედით და კიდევ ამბობთ,—რევოლიუცია არის ჩვენს ქვეყანაშიო. ნუ თუ აღარ აქვს დასასრული თქვენს რევოლიუციას. რევოლიუცია ხომ საუკუნოებით არ იქნება. მოხდება იგი და შემდეგ ახალი წყობილება იკავებს მის ადგილს, რევოლიუციაც თავდება,—ასე აზროვნებს და ასე ლაპარაკობს როგორც მსხვილი, ისე წვრილი ბურჟუა. მას მობეზრდა რევოლიუცია. რევოლიუციის ჭანგები არ ასვენებენ მის სმენას. რევოლიუციის ხმა მას ნერვებს უშლის. მართლაც სულ ხომ რევოლიუცია არ არისო, იფიქრებს მოქალაქე. რევოლიუცია იყო, იგი მოხდა, მორჩა და გათავდა.

ამ აზროვნებაში არის ერთგვარი ლოღიკა. რევოლიუცია, როგორც ძველი პოლიტიკური ორგანიზაციის გამაუქმებელი და ახალის დამამკვიდრებელი, დასრულდა. მაგრამ რევოლიუცია მთლიანად ჯერ კიდევ არ დასრულებულა, რევოლიუცია დაუსრულებელია. ეს ასე იქნება მანამ, სანამ თანამედროვე მოძრაობა არ შეასრულებს თავის სოციალურს, საზოგადოებრივ მიზნებს. ამდენათვე, რევოლიუცია, როგორც სოციალური გარდაქმნის პროცესი და არა როგორც მარტო პოლიტიკური ძალაუფლების დამპყრობი, ჯერ კიდევ თავის განვითარების სტადიაშია. იგი ვითარდება ყოველ დღეს, იგი ეძებს ახალ-ახალ კუთხეებს, რომელიც დღემდე იყო დაუპყრობელი, იპყრობს მას, უმორჩილებს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარების მიზნებს, ახალი ცხოვრების პირობებს.

პოლიტიკური რევოლიუციები, რომლებიც ისახავენ მიზნად მხოლოდ სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლას, შესაძლებელია რამდენიმე თვეში, კვირაში, დღეში და, თუ გნებავთ, საათშიაც დასრულდეს. როდესაც ხალხის უკმაყოფილობა იზრდება, მთავრობას ძლიერი ძალა არა ჰყავს თავდასაცავად, იგი სთმობს ადგილს, მას იჭერს ახალი ძალა და საქმეც ამით თავდება. 1848 წ. გერმანეთის მთელ რიგ წვრილ სახელმწიფოებში შეშინებული მეფენი ეთანხმებოდენ ხალხის მოთხოვნებს. ამით სრულდებოდა რევოლიუცია. დღეს ეს ასე არ არის. დღეს მუშათა კლასისათვის პოლიტიკური ძალაუფლება მიზნად არ არის წარმოდგენილი, ეს საშუალებაა, ინსტრუმენტია ახალი ცხოვრების შექმნისათვის. ამ ინსტრუმენტით იგი ძველის სრულ დანგრევას ახალის დამყარებისათვის იყენებს. ამ შემთხვევაში რევოლიუციის ფარგლები ფართოვდება, სოციალური რევოლიუციის ამოცანები იზრდება. მან უნდა დაარღვიოს არა მარტო ძველი სახელმწიფო და ძველი მეურნეობა, არამედ ძველი ზნე-ჩვეულება, ძველი ოჯახი, ძველი ყოფა-ცხოვრება. ეს კი სოციალურ რევოლიუციას აძლევს ხანგრძლივი პროცესის ხასიათს. რამდენად შედარებით ადვილია ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის დამკვიდრება, იმდენად ძნელია ახალი სამეურნეო ორგანიზაციის სფეროში მოქცევა ქვეყნის საწარმოო ძალების, ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების. ამ უკანასკნელზე უფრო ძნელი საქმეა ყოფა-ცხოვრების შეცვლა. ძველი საზოგადოებრივი შეგნების, ტრადიციების, ზნე-ჩვეულების მოსპობა—მის ნაცვლად ახალის დამკვიდრება. მით უფრო ძნელია ეს ჩვენში და რუსეთში, სადაც ახალ კლასს, პროლეტარიატს, თავის განვითარების უმაღლეს წერტილისათვის არ მიუღწევია.

ამხ. ლ. ტროცკი სამართლიანად აღნიშნავს—ჩვენი პროლეტარიატი ღარიბია ისტორიითა და ტრადიციით. ამან უეჭველად ხელი შეუწყო მის რევოლიუციონურ მოძრაობას ოქტომბრისათვის. მაგრამ ესევე აძნელებს და აფერხებს მის ბრძოლას ოქტომბრის შემდეგო. აქ არის მოცემული ანალიზი საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასის. ეს მუშათა კლასი ჯერ კიდევ არ იყო „მოშინაურებული“ ბურჟუაზიული კულტურით, ჯერ კიდევ არ იყო შეიარაღებული უმაღლესი ტეხნიკითა და ბურჟუაზიული ტრადიციებით. ამიტომ მან ერთი დაკვრით დაამხო ძველი წყობილება. ამიტომვე მას უძნელდება ახალის შენება. იგი კიდეც სწავლობს და კიდეც აშენებს. ამ პროცესში შეცდომები კი აუცილებელია. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს მუშათა კლასს არ ჰქონდეს ტრადიციები, ჩვეულებანი, ყოფა-ცხოვრების თავისებური ფორმები. უამისოდ არ შეიძლება სოციალური ცხოვრების წარმოდგენა. ასეთი ტრადიციები ჩვენს მუშათა კლასს აქვს. ეს ტრადიციები უმეტესად უფრო მდაბალი ხარისხის და ხასიათისაა, ვიდრე დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ტრადიციები. ამიტომ ყოფა-ცხოვრების ფრონტზე ბრძოლა აქ მეტი სიმკაცრით, მეტი სიძლიერით და სიფრთხილითაც არის საჭირო.

გარდამავალი პერიოდის სივრცეზედ უნდა შემზადდეს როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურა ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის. ამ პერიოდში ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში მშრომელი ხალხის გაბატონებით, მისი კლასობრივი ინტერესის დაცვით და სოციალურ, საზოგადოებრივ სფეროში ახალი ყოფა-ცხოვრების ფორმათა ჩამოყალიბებით, ახალი საზოგადოებრივი აზრით ნიადაგი უნდა გაიწმინდოს მომავალი საზოგადოებრიობისათვის.

სოციალური რევოლიუციის ამოცანები ამ წინასწარი პირობების მომზადებაშია, ამ წინასწარი მასალის შემუშავებასა და დაგროვებაში. თავისთავად უდიდესი სირთულის არის გარდაქმნის პროცესი, ბრძოლა ძველსა და ახალ სახელმწიფოს, ძველსა და ახალ მეურნეობას, ძველსა და ახალს ყოფა-ცხოვრებას შორის მწვავე ხასიათს იღებს.

მუშათა კლასი აქ გამოდის შერჩეული ბრძოლის მეთოდებით. პოლიტიკის სფეროში მას გაბედული, გადაჭრილი და პირდაპირი გზა აქვს. იგი აქ არავის არაფერს უთმობს, იგი ანგრევს და აშენებს თავისი ინტერესის მიხედვით. ეს შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ პოლიტიკა უფრო ელასტიური, მოქნილი და მოძრავია. ეკონომიურ სფეროში მას უხდება უფრო მეტი კომპრომისი, მეტი ზიგზაგების დაშვება, ობიექტიური პირობებისათვის მეტი ანგარიშის გაწევა. იგი აქ სცდილობს მწვერვალების, საკომანდო პოზიციების დაჭერას, რომ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. ეს ბრძოლა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ბრძოლა პოლიტიკურ ფრონტზე. აქ იგი ნელი ნაბიჯით, ზომიერი შემოქმედებით, სისტემატიური და ხანგრძლივი მუშაობით იკაფავს გზას. ეს ხდება იმიტომ, რომ ყოფა-ცხოვრება უფრო კონსერვატიული, მყარბუნებოვანია, „უმოძრავოა“ და ევოლიუციონური, ვიდრე პოლიტიკა და ეკონომიკა. აქ არის მთელი საუკუნოების ჩვეულების, ტრადიციის, ფიქრისა და აზრის ნალექი, რომელიც დიდი სიმძიმით აწევს უდიდეს რევოლიუციონურ თავსაც კი.

სოციალური რევოლიუციის ამოცანაა როგორც პოლიტიკისა და ეკონომიკის, ისე ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის ხელმძღვანელობა.

ახალი ქვეყნის ჩირაღდანი ახალი ადამიანის მიერ უნდა დაინთოს. იგი ამოსული ძველი ქვეყნის ჭაობიდან და განწმენდილი ამ ჭაობის ნაცილებისაგან, ისე გადახედავს ახალი ცხოვრების სრულქმნილ მაღლობებს, როგორც მცხოვრები დაბლობისა, შესული მაღლობის პეიზაჟში, ახალი გრძნობით მიმოავლებს თვალს მის წინ გაშლილ სივრცეს უმდიდრესი სანახაობით და იგრძნობს აქამდე მისთვის მიუწვდომელ მშვენიერებას.

ხერ. ამალობელი.

დამსახურებული სასჯელი გლეხების შეწუხებისათვის

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობიდან.

გლეხებმა, რომლებიც მეტეხის ხიდისათვის (გორის მაზრაში) მიწის მუშაობას აწარმოებდენ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ვერ მოახერხეს სრულად მიეღოთ თავიანთი ფული, რაც ამიერ-კავკასიის წყლის მეურნეობის სამმართველოსაგან ერგებოდათ.

გლეხთა წარმომადგენელნი რამდენჯერმე ჩამოვიდენ ტფილისში ამიერ-კავკასიის წყლის მეურნეობის სამმართველოში ანგარიშის გასწორებისათვის, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ უკან ბრუნდებოდნენ, რაკი გადაჭრილი პასუხი ვერ მიიღეს. იუწყა თუ არა ამის შესახებ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, მაშინვე მოწყობილი იქნა საგამომძიებლო კომისია, რომელმაც გამოარკვია საქმის ყოველი გარემოება.

გაეცნო რა ამ საქმის მასალას და კომისიის დასკვნას, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ბრძანა:

ამიერ-კავკასიის წყლის მეურნეობის სამმართველოს საფინანსო განყოფილების გამგე და დროებითი მოადგილე ამიერ-კავკასიის წყლის მეურნეობის სამმართველოს გამგისა ქ. გ. ლოტგინოვი, რომელმაც გამოიწვია მეტეხის ხიდისათვის მომუშავე გლეხებისათვის ფულის მიცემის საქმის გაჭიანურება, მოხსნილ იქნეს თანამდებობისაგან და დათხოვნილი ამიერ-კავკასიის წყლის მეურნეობის სამმართველოს სამსახურიდან.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ივანიშვილი.

1924 წ. მარტის 17.

„ძირს ბოიკოტისტები და საბოტაჟნიკები“

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი. 18 მარტი. ამხ. სტეკლოვი „იზვესტია“-ში მოთავსებულ წერილში—„ძირს ბოიკოტისტები და საბოტაჟნიკები“,—რომელშიაც ეხება პეკინის მთავრობის მიერ რუსეთ-ჩინეთის შეთანხმებაზე თავის წარმომადგენლის—ვანის ხელისმოწერის დამტკიცებაზე უარის თქმას, აღნიშნავს, რომ ფორმალური მხრით პეკინის მთავრობის მოქმედების გამართლება არ შეიძლება, რადგანაც ვანი იყო მისი ოფიციალური წარმომადგენელი და ერთად ერთი რწმუნებული.

მაგრამ მისი მოქმედება გასაგები გახდება, როდესაც ჩვენ მოვიგონებთ იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომელთაც ნორმალური ურთიერთობის აღდგენა ორთავე რესპუბლიკებს შორის მიაჩნიათ ლახვარის ჩაცემათ თავიანთი მტაცებლურ ანგარებით პოლიტიკისათვის. ჩინეთის ხალხის და საბჭოთა კავშირის მშრომელთა მეგობრობა ემუქრება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ჩინეთში მათი პოზიციის შესუსტებით. ამიტომ არის, რომ საფრანგეთის, ამერიკის და იაპონიის მთავრობები დიდ ზეგავლენას ახდენენ ჩინეთის მთავრობაზე იმ მიზნით, რათა არ დაუშვან მისი შეთანხმება საბჭოთა კავშირის მთავრობასთან.

მაგრამ ჩინეთის ხალხის ფართო მასები, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკაში ხედავენ ჭეშმარიტს გულწრფელ და უანგარო მეგობარს, არ დაუშვებენ იმ შეთანხმების ჩაშლას, რომელიც დიდ სარგებლობას უქადის ჩინეთს.

რადიო-ტელეგრამები

(„საქრისტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ბელგია და ჰოლანდია ახლო ხანში აპირებენ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დაწყებას.

საფრანგეთის გაზეთები იუწყებიან, რომ პუანკარე სენატორ დე-მონზის რჩევის თანახმად, მხარს დაუჭერს საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას.

რუსეთის ნავთსადგურებში უკვე მოდის ცენტროსოიუზის მიერ ამერიკაში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ჩინეთის რწმუნებულმა ვანმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ჩინეთის მთავრობამ არ დაამტკიცა მისი ხელისმოწერა. პეკინის პროფესორები, სტუდენტები და საზოგადოებრივი წრეები ძალების მობილიზაციას ახდენენ მთავრობაზე გავლენის მოსახდენათ, რათა მან დაამტკიცოს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან.

შვეციაში დიდი კმაყოფილება გამოიწვია საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებამ. გაზეთი „სოციალ-დემოკრატ“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შვეციამ ბევრი წააგო საბჭოთა კავშირის ცნობის დაგვიანებით.

ბელგია და ჰოლანდია ერთმანეთს ეცილებიან

პარიზი. 17 მარტი. ბელგიაში შეშინებული არიან ახლო ხანში ჰოლანდიასა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკების დაწყების შესაძლებლობით.

ანტვერპენის სამრეწველო გაზეთი „ნეპტუნ“ შიშობს, რომ ანტვერპენის ადგილს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში დაიჭერს როტერდამი და მოითხოვს საბჭოთა კავშირთან დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყებას.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთი

იმპერიალისტების პროპაგანდა.

პეკინი. 17 მარტი. საფრანგეთის, იაპონიის და ამერიკის ელჩებმა მუქარით მოსთხოვეს ჩინეთის მთავრობას არ დაამტკიცოს შეთანხმება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. პეკინის პროფესორები, სტუდენტები და ხალხის ფართო მასები ახდენენ ძალების მობილიზაციას იმპერიალისტების ძალადობის წინააღმდეგ.

მოულოდნელი დაბრკოლება.

პეკინი. 17 მარტი. 14 მარტს ჩინეთის მთავრობის დელეგატმა ვანმა ხელი მოაწერა შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. იმავე დღეს ვანს და ამხ. კარახანს დამატებით უნდა მოეწერათ ხელი კალიგრაფების მიერ გადაწერილ დოკუმენტებზე. მაგრამ, ვანის მიერ შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ ჩინეთის მთავრობამ დაადგინა არ დაემტკიცებინა მისი ხელის მოწერა.

ამის გამო კარახანმა გადასცა ვანს ნოტა, რომ ის მზად არის სამი დღის განმავლობაში უცადოს ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დამტკიცებას.

კარახანი ჩინეთის მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას მოლაპარაკების ჩაშლისათვის.

იმპერიალისტები უნდა აილაგმონ.

ვიატკის მუშების პროტესტი.

ვიატკა. 19 მარტი. ვიატსკის მუშების მრავალრიცხოვანმა კრებამ, რომელიც მოწვეული იყო პარიზის კომუნის 53 წლის თავის აღსანიშნავად პროტესტი განაცხადა საფრანგეთის, ამერიკისა და იაპონიის იმპერიალისტების ჩარევის წინააღმდეგ რუსეთ-ჩინეთის საქმეებში. კრება მოუწოდებს ჩინეთის მუშებს ალაგმონ წრეგადასული იმპერიალისტები.

ურთიერთობის აღდგენა შვეციასთან

შვეციაში კმაყოფილი არიან.

სტოკჰოლმი. 17 მარტი. შვეციის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა საბჭოთა ხელშეკრულების დადების, საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის და მასთან დაუყოვნებლივ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს შვეციის დელეგაციის წარმომადგენელმა ლინდგრენმა კმაყოფილება გამოსთქვა ორ ქვეყანას შორის შეთანხმების გამო.

საუბარი ამხ. ოსინსკისთან

სტოკჰოლმი. 17 მარტი. ამხ. ოსინსკიმ, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა შვეციაში, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს სთქვა, რომ ამჟამად მხოლოდ საფუძველი ჩაეყარა ორივე ქვეყანას შორის ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებას. მოლაპარაკების ნელმა მიმდინარეობამ და სიძნელემ უარი ათქმევინა საბჭოთა კავშირს თავისი დაკვეთების შვეციისათვის გადაცემაზე. ახლა საბჭოთა კავშირი განაახლებს საქმიან ურთიერთობას შვეციასთან.

დანაშაული აღიარეს.

სტოკჰოლმი. 17 მარტი. გაზეთი „სოციალ-დემოკრატ“ ხაზს უსვამს, რომ შვეციის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის დაყოვნების გამო, შვეციამ დაკარგა ის უპირატესობანი, რომელსაც მიიღებდა ამ ნაბიჯის დაჩქარებით.

რა ხდება გერმანიაში

ახალი არჩევნები რეისხტაგში დანიშნულია 4 მაისისათვის.

კომუნისტები ენერგიულად ემზადებიან არჩევნებისათვის.

ჰამბურგში, ბრემენში და კილის ნავთსადგურში გაფიცულია 120,000 მუშა.

ბრემენში გაიმართა უმუშევართა დემონსტრაცია. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. მრავალი დაიჭრა.

ჰამბურგის სენატში კომუნისტებმა პროტესტი განაცხადეს სოციალ-დემოკრატების მოღალატეობის გამო. სოციალ-დემოკრატებს გაფიცულების ნაცვლად სამუშაოდ შტრეიკბრეხერები მოჰყავთ.

ჰიტლერის საქმის გარჩევა გრძელდება.

ახალი არჩევნების მოლოდინში

არჩევნების წინ.

ბერლინი, 15 მარტი. მემარჯვენე პრესა ზეიმობს რეისხტაგის დათხოვნის გამო და წინასწარმეტყველებს მემარჯვენეების გამარჯვებას მომავალ არჩევნებში.

კომპარტია გაფაციცებით ემზადება არჩევნებისათვის და იმედი აქვს, რომ მოიპოვებს დიდ გამარჯვებას.

რეისხტაგის არჩევნები.

ბერლინი, 15 მარტი. გამოქვეყნდა ებერტის დეკრეტი, რომლითაც რეისხტაგის არჩევნები დანიშნულია 4 მაისს.

ბრძოლა ადგილებისათვის.

ბერლინი, 17 მარტი. გრძელდება ბრძოლა ბურჟუაზიულ პარტიების მემარჯვენე და მემარცხენე ჯგუფებს შორის, რეისხტაგში კანდიდატურის მიღებისათვის. ცენტრის პარტია სცდილობს ერთსადაიმავე დროს დააკმაყოფილოს მრეწველობის, მემამულეების, გლეხების და მუშების ინტერესები და იძლევა დაპირებას, რომ იბრძოლებს 8 საათის სამუშაო დღის დაცვისათვის.

კომპარტიის გაძლიერებული საგიტაციო მუშაობა.

ბერლინი, 17 მარტი. კომპარტია ანვითარებს საარჩევნო კამპანიას. კომუნისტები გამოდიან სოციალ-დემოკრატების, რესპუბლიკანელების, ნაციონალისტების და ცენტრის პარტიების ყველა კრებებზე. ბურჟუაზიული პარტიები შეშფოთებული არიან კომუნისტური პარტიის გაძლიერებული აგიტაციის მოზრდის გამო.

სკანდალი ჰამბურგის სენატში

ბერლინი, 15 მარტი. ნავთსადგურების მუშების გაფიცვასთან დაკავშირებით, ჰამბურგის ნავთსადგურში შეჩერებულია ადგილობრივი მოძრაობა.

ჰამბურგის სენატში კომუნისტებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ პოლიციის სოციალ-დემოკრატ პრეზიდენტს განზრახული აქვს განაახლოს მუშაობა შტრეიკბრეხერების დახმარებით. პროტესტს მოჰყვა მღელვარე სცენები. შემდეგ თავმჯდომარის განკარგულებით, მთელი კომფრაქცია პოლიციამ გაიყვანა სხდომის დარბაზიდან.

ცეიგნერის საქმე

ბერლინი, 17 მარტი. ცეიგნერის პროცესზე მცმა თანაშემწემ მეზუსმა აღიარა, რომ ცეიგნერის დაუკითხავად იღებდა ქრთამებს და ეწეოდა გამოტყუებას. ცეიგნერს გაუბედავად უპირავს თავი სასამართლოში და სცდილობს თავის მართლებას.

ბრძოლა ხელფასისათვის

ფოსტის მოსამსახურეების გრანდიოზული გაფიცვა.

ბერლინი, 15 მარტი. ფოსტის მუშების გაფიცვა ჰამბურგში, ბრემენში და კილში ფართო ხასიათს ღებულობს. გაფიცვაში მონაწილეობას ღებულობს 120,000 კაცი. ბრემენში გაიმართა გაფიცულების მასიური დემონსტრაცია, რომელსაც შეუერთდნენ მელითონეები და უმუშევრები. დემონსტრაციამ გაიარა ყველა ქუჩებზე. მოხდა შეტაკება პოლიციასთან, რომელმაც იხმარა ცეცხლ იარაღი. დაჭრილია მრავალი დემონსტრანტი, მოხდა დაპატიმრებანი.

განუკითხავად.

ბერლინი, 15 მარტი. დარმშტადში, რკინის-გზათა სახელოსნოებში, რომელთაც განაგებენ ფრანგები, დაითხოვეს 800 მუშა, რომლებმაც მოითხოვეს სამუშაო ხელფასის გასტუმრება მტკიცე ვალიუტით.

მუშების წინააღმდეგობა დროებით შეწყდა.

ბერლინი, 15 მარტი. ლეიპციგის საფეიქრო მრეწველობის მუშები, რომლებიც გაფიცული იყვნენ 4 კვირის განმავლობაში, შეუდგნენ მუშაობას და დამორჩილდნენ სამუშაო დღის გაგრძელებას.

რურის ოლქის მემადნეობის კავშირი დათანხმდა სატარიფო განაკვეთის შემცირებაზე.

ჰიტლერის საქმე

ლოსოვის და ჰიტლერის შეჯახება

ბერლინი. 15 მარტი. ჰიტლერის პროცესზე მოხდა სასტიკი შეჯახება ლოსოვსა და დამცველებს შორის. ლოსოვი ბრალს სდებდა ჰიტლერს დაპირების შეუსრულებლობაში, ჰიტლერმა კი თავის მხრივ ლოსოვს ბრალი დასდო სიტყვის შეუსრულებლობაში, რის შემდეგაც ლოსოვმა დასტოვა სხდომის დარბაზი. სხდომა შესწყდა.

ლოსოვი დაჯარიმებულია გამოუცხადებლობისათვის.

ბერლინი. 15 მარტი. ლოსოვი, რომელიც არ გამოცხადდა მეორეჯერ ჰიტლერის საქმის შესახებ ჩვენების ჩამორთმევის გასაგრძელებლად დააჯარიმა სასამართლომ 50 მარკით.

„სამშობლოს კავშირების“ ლიდერის ჩვენება.

ბერლინი. 15 მარტი. „სამშობლოს კავშირების“ ლიდერმა პროფესორმა ბაუერმა დაკითხვის დროს განაცხადა, რომ „სრულიად გერმანიის კავშირი“ ამზადებდა გამოსვლას ბერლინში, დირექტორიის გამოცხადების მიზნით. სექტი ეწინააღმდეგებოდა ამ გეგმას, რის გამო კავშირმა დაადგინა სექტის გადაყენება.

ბესარაბიის საკითხის გარშემო

ბოიარების ძალადობამ ვერ ჩაკლა მუშათა მოძრაობა.

ვინიცა. 19 მარტი. რუმინეთიდან ვინიცაში ჩამოსული უკრაინელი მუშები იუწყებიან, რომ მიუხედავად სასტიკი დევნისა, მუშათა მოძრაობა ბესარაბიასა და ბუკოვინაში არ სწყდება. უკრაინის მუშებმა შეადგინეს კომპარტია „ვოლია“, ებრაელმა მუშებმა—კომპარტია „ფორვერტსი“, რუმინეთის მუშებმა კომპარტია „სარაპული“ ყველა სამივე ორგანიზაცია შედიან კომინტერნში. კომპარტიის გავლენა მუშათა წრეებში დღითი-დღე იზრდება.

რუმინეთის ლტოლვილები იუწყებიან უკრაინელ მუშების მოთხოვნილების შესახებ, მიაღწიონ ბესარაბიის და ბუკოვინის სრულ გაწმენდას საოკუპაციო ჯარებისაგან და ბუკოვინის და ბესარაბიის პროლეტარიატის და გლეხობის წარმომადგენელთა ციხეებიდან განთავისუფლებას.

ვინიცას ბესარაბიელების ნაკაზი.

ვინიცა. 19 მარტი. ბესარაბიის და ბუკოვინის მოქალაქეთა და ლტოლვილთა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა დაადგინა მისცეს ნაკაზი საბჭოთა დელეგაციას ვენის კონფერენციაზე,—მოითხოვოს ბესარაბიის შეერთება საბჭოთა კავშირთან.

ლენინგრადის ბესარაბიელების კრება.

ლენინგრადი. 19 მარტი. ლენინგრადში მცხოვრებმა ბესარაბიელებმა გამოიტანეს დადგენილება შეუერთდნენ მოსკოველ ბესარაბიელების დადგენილებას და პროტესტი განაცხადონ ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების წინააღმდეგ.

კრებამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები ამხ. ტროცკის და ფრუნზეს.

საბერძნეთის მეფის გადაყენება

შეთანხმება მთავრობის და მონარქისტებს შორის.

ვენა. 17 მარტი. საბერძნეთის მთავრობის და მონარქისტულ პარტიის შორის მიღწეულია შეთანხმება მეფის გადადგომის შესახებ. მეფეს რჩება ტიტული და ეძლევა კმაყოფა 7 მეხუთედი საცივილო ლისტის. დინასტიის წევრები უარს ამბობენ ტახტზე. მთავრობა ვალდებულია გამოაცხადოს საყოველთაო ამნისტია და შეიძლებისდა გვარად მიიღოს უკან სამსახურში დათხოვნილი ოფიცრები და წინედ მონარქისტები.

მონარქისტები დათანხმდნენ შეთანხმებაში პრეზიდენტად ნეიტრალურ პოლიტიკურ მოღვაწის არჩევას და პარლამენტის დაარსებას, სადაც მონარქისტებმა უნდა მიიღონ საყოველთაო წარმომადგენლობა.

შეთანხმების პროექტს გადასცემს მეფეს ბუქარესტში მყოფი საბერძნეთის ელჩი.

მეფეს წინადადება მისცეს გადადგომის შესახებ.

ბერლინი. 19 მარტი. საბერძნეთის პრემიერმა მოსთხოვა მეფე გეორგს უარი სთქვას ტახტზე თავისი ნებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩამოერთმევა უძრავი ქონება საბერძნეთში. როგორც ათენიდან იუწყებიან, მეფე მზად არის გადადგეს, რათა უზრუნველყოს თავისი საცივილო ლისტის და თავისი მამულების 60 პროც. ამასთანავე გეორგი სცდილობს დაარწმუნოს სამეფო სახლის დანარჩენი წევრები უარი სთქვან საბერძნეთის ტახტზე.

პარიზი. 19 მარტი. ბუქარესტიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მეფეს არ სურს თავისი ნებით განაცხადოს უარი ტახტზე კომპენსაციის პირობებშიც კი.

ყვითელი სოციალისტების კონფერენცია

უშედეგო გამართლება.

ვენა. 17 მარტი. ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიების კონფერენციის პირველ სხდომაზე, რომელიც გაიმართა ბუქარესტში, ირჩეოდა ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საკითხი. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ისინი ცანკოვის კაბინეტში შევიდნენ სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მიზნით. წესრიგის და ნორმალური მდგომარეობის აღდგენის შემდეგ, სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ მთავრობის შემადგენლობიდან და ჩადგნენ ოპოზიციის რიგებში, დემოკრატიის შენარჩუნების მიზნით.

კონფერენციის მიღწევები

ვენა 17 მარტი. ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიების ბუქარესტის კონფერენცია დასრულდა. სამხრეთ-სლავიის და ბულგარეთის დელეგატებს შორის მიღწეულია შეთანხმება მაკედონიის საკითხის შესახებ. განზრახული მასიური მიტინგები აღარ შესდგება იმის გამო, რომ ადლერი გაიწვიეს ლონდონში და წერეთელი—რუსეთის მენშევიკების ბერლინის ყრილობაზე.

ფულის რეფორმის გარშემო

შრომის რეალური ხელფასის დასაცავად

ოქროს მანეთის სყიდვითი უნარიანობის და ოქროს ვალიუტაზე ხელფასის გადასაყვან პარიტეტს შორის არსებულ შეფარდების შემოწმების შესახებ

მოსკოვი. 7 მარტი. საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს 1924 წ. 11 მარტის დადგენილებისა ასასრულებლად საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულების განსაზღვრის შესახებ (ცაკის „იზვესტია“ 12 მარტის თარიღ.) საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1) დაევალოს საბიუჯეტო შენაწყობის განმსაზღვრელ ადგილობრივ კომისიებს დაუყოვნებლივ შემოწმონ შეფარდება ოქროს მანეთის ფაქტიურ სყიდვითი უნარიანობის და შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ 1924 წ. 1 მარტის თარ. დაწესებულ მტკიცე პარიტეტს შორის (ცაკის „იზვესტია“ 2 მარტ.) ოქროს ვალიუტაზე იმ ხელფასის გადასაყვანად, რომელიც გათვალისწინებულია კოლექტიურ ხელშეკრულებებში „საქონლის მანეთებით“.

2) დაევალოს საბიუჯეტო შენაწყობის განმსაზღვრელ ადგილობრივ კომისიებს პირველ მუხლში აღნიშნულ შემოწმების შედეგების შესახებ აცნობონ საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დეპეშით არა უგვიანეს 1924 წ. 17 მარტისა.

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ—ცურიუპა

საბჭ. კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს მდივანი—ფოტიევა.

მოსკოვი, კრემლი, 1924 წ. 15 მარტი.

დამატება სიძვირისათვის

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს ინსტრუქცია მარტის განმავლობაში სიძვირის გამო სპეციალურ დამატებათა განსაზღვრელ კომისიებისათვის.

მოსკოვი. 17 მარტი. მომატება სიძვირის გამო განისაზღვრება კომისიების მიერ შრომის და თავდაცვის 11 მარტის დადგენილების თანახმად საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულების მიხედვით, რომელიც უნდა იქნას გამოანგარიშებული შემდეგნაირად:

2) შენაწყობის ღირებულების ანგარიშს საფუძვლად უნდა დაედოს საშუალო საწვრილმანო ფასები, რომელიც არსებობს 15, 16 და 17 რიცხვებში კერძო ბაზარზე, სახელმწიფო მაღაზიებში და კოოპერატივებში.

3) შენაწყობის შემადგენლობა და ფასების შეკრების წესი განისაზღვრება საუწყებათაშორისო საინდექსო კომისიის მოქმედ ინსტრუქციების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ და გამოქვეყნებულია „ტრუდის“ 1923 წლის 257,276,278 ნომრებში და 1924 წ. 36,58 ნომრებში შემდეგი დამატებებით და ცვლილებებით.

4) შენაწყობის ღირებულება გამოანგარიშებული იქნება ცალ-ცალკე: ა) ბაზრის ფასების, ბ) კოოპერატივების და სახელმწიფო მაღაზიების ფასების მიხედვით და შემდეგ აქედან გამოყვანილი იქნება საშუალო ფასი, რომელიც აწონილ-დაწონილი იქნება შეფარდებით იმ როლთან, რომელსაც სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო ვაჭრობა თამაშობს იმ რაიონის მუშათა მოსახლეობის სამსახურის საქმეში, რომლისთვისაც მომატება არის გამოანგარიშებული.

5) შენაწყობის ღირებულების გამოანგარიშების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ საჭიროა ადგილობრივ პირობების მიხედვით შენაწყობ შემადგენლობაში შეცვლილ იქნას ერთი საქონელი მეორეთი, რომელიც უფრო შეეფერება ამა თუ იმ რაიონის მუშათა ფაქტიურ მოხმარებას.

ასეთი შეცვლა სწარმოებს საინდექსო კომისიების ინსტრუქციის 10-ე და 11-ე მუხლების თანახმად („ტრუდ“ 276, 278 ნომრები) და შრომის და თავდაცვის საბჭოს 1924 წ. 11 მარტის დადგენილების 1-ლი მუხლის მიხედვით.

6) კოოპერატიულ ფასების რეგისტრაცია სწარმოებს ამა თუ იმ რაიონის ყველაზე უფრო დიდ სავაჭრო კოოპერატივში, რომელიც მოთავსებულია მუშათა უბნებში ან უშუალოთ ფაბრიკებსა და სამრეწველოებთან. ფასები ჩაიწერება ჩვეულებრივი შეფასებით ამა თუ იმ საქონელზე, რომელიც წევრებს და პაების შემტანთ ეძლევათ.

7) კოოპერატივებში რეგისტრაციაში ტარდება მხოლოდ იმ საქონლის ფასები, რომელიც ფაქტიურად იყიდება ნამდვილ მოთხოვნილების ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო შენაწყობის ზოგიერთ საქონელზე არ არსებობს კოოპერატიული ფასები, ასეთები აღირიცხება სახელმწიფო მაღაზიებში.

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მაგ. ცურიუპა.

საბჭ. კავშ. შრ. და თავდ. საბჭოს მდივანი ფოტიევა.

მოსკოვი—კრემლი, 1924 წ. 15 მარტი.

ფულის რეფორმის პერსპექტივები

ს. ს. რ. კ. ფინანსკომის სავალიუტო სამმართველოს უფროსის მოხსენება.

მოსკოვი. 17 მარტი. თავის მოხსენებაში ფულის რეფორმის წინასწარ პირობების და პერსპექტივების შესახებ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს უფროსმა პროფესორმა ლევიცკიმ განაცხადა, რომ ფულის რეფორმა აუცილებელი შეიქნა, ვინაიდან საბჭოთა ფულის ნიშნები სტიქიურად გამოდიოდენ ხმარებიდან. რეფორმას აქვს ხელისშემწყობი პირობები წარმატებით ჩატარებისათვის: განვითარების გზაზე დამდგარი სახალხო მეურნეობა და აქტიური სავაჭრო ბალანსი კარგ ბაზას წარმოადგენს. მთელი რიგი პირობებისა სავსებით უზრუნველყოფენ სახაზინო ბილეთების სიმტკიცეს და ისინი გამოშვებულნი იქნებიან მხოლოდ საქონლის ტრიალის საჭიროებისათვის. ყველა საკრედიტო დაწესებულებები დაუბრკოლებლად ახურდავებენ მათ ჩერვონცებზე. ფულის ტრიალის თვალსაზრისით, რეფორმას არავითარი ახალი საფრთხე არ მოელის, რადგანაც დაცულია თეორიის და პრაქტიკის ყველა წესები.

რეფორმა გატარდება რკინისებური ნებისყოფით, დასახული გეგმისაგან გადაუხვევლად. რეფორმის გამარჯვება დიდათ არის დამოკიდებული ფასების დაწევის და საქონლის მანეთის მოსპობის კამპანიაზე, ის დაინტერესებს მცხოვრებთა ფართო მასებს ჩერვონეცის და მანეთის მტკიცე კურსის შენარჩუნებაში.

მონოპოლიური უფლება ოქროზე.

მოსკოვი. 17 მარტი. ფინანსთა სახალხო კომისარიატის განმარტებით, ოქროს ფულით თავისუფალი სარგებლობა შეზღუდულია სახელმწიფო ბანკის მონოპოლიური უფლებით მის ყიდვა-გაყიდვაზე. ოქროს ფულის ყიდვა თავისუფალ ბაზარზე და მისი გაყიდვა, სახელმწიფო ბანკის გარეშე, არის კანონის დარღვევა და დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის წესით.

ინგლისის ამბები

მუშათა მთავრობა სინგაპურის ბაზის წინააღმდეგ.

ლონდონი. 19 მარტი. მაკდონალდმა, რომელიც გამოვიდა თემთა პალატაში სინგაპურის საზღვაო ბაზის საკითხის შესახებ, განაცხადა, რომ მთავრობა, რომელმაც ყოველმხრივ განიხილა საკითხი, წინააღმდეგია დასახული გეგმის შესრულების. მთავრობა ემხრობა საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას გაფართოებულ ერთა ლიგის მეთაურობით და ყველა სადავო საკითხების შეთანხმების და არბიტრაჟის გზით გადაჭრას; მთავრობა ემხრობა აგრეთვე ისეთ პირობების შექმნას, რომლებიც შესაძლებლად გახდიდენ შეთანხმებას შეიარაღების შემცირების შესახებ.

მაკდონალდმა გამოაქვეყნა პასუხები, რომლებიც მიღებულია ბრიტანეთის სამფლობელოების მთავრობებისაგან სინგაპურის საკითხის შესახებ. ავსტრალია, ახალი ზელანდია და ნიუფაუნლენდი მოითხოვენ ბაზის მოწყობას, რადგანაც ინგლისის საზღვაო ძალების შემცირება შეამცირებს მის გავლენას. მეორე მხრით სამხრეთ-აფრიკის შტატების პრემიერი სმიტსი ფიქრობს, რომ ბაზის მოწყობა სინგაპურში საგრძნობ ზიანს მოუტანს ინგლისის მშვიდობიანობის პოლიტიკას. კანადამ, ინდოეთმა და ირლანდიამ თავი შეიკავეს პასუხიდან.

ბრიტანეთის არმიის გაუქმების შესახებ.

ბერლინი. 19 მარტი. თემთა პალატამ უარჰყო პაციფისტ-ექსტრემისტების წინადადება ბრიტანეთის არმიის გაუქმების შესახებ.

სახადი ინგლისის ფლოტში.

ბერლინი. 19 მარტი. ხმელთა-შუა ზღვაზე ინგლისის ფლოტის შემადგენლობიდან ორი ჯავშნიანი გემი, რომლებიც მოგზაურობდენ ბალეარის კუნძულებთან, შეიყვანეს კარანტინში, რადგანაც ამ გემებზე გავრცელებულია სახადის ეპიდემია. თვითეულ გემზე დაავადმყოფებულია 60 კაცი; გარდაცვალებულთა პროცენტი დიდია.

ეგვიპტე და ინგლისი.

ბერლინი. 19 მარტი. ეგვიპტის პარლამენტის გახსნის გამო, მაკდონალდმა ზაგლულ-ფაშას გაუგზავნა მისალმება, რომელშიაც აუცილებლად სცნობს ინგლისის და ეგვიპტეს მჭიდრო თანამშრომლობას.

ლონდონი, 19 მარტი. მაკდონალდის მისალმებაზე საპასუხოდ, ზაგლულ-ფაშა აღნიშნავს, რომ მისალმებას ენტუზიაზმით შეხვდა მთელი ეგვიპტე. მაკდონალდის განცხადებამ მოლაპარაკების შესახებ გამოძახილი ჰპოვა მეფის სიტყვაში პარლამენტის გახსნის დროს. როგორც სჩანს, ორთავე მხარე ფიქრობს, რომ დადგა დრო მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის ორთავე მხარის დამაკმაყოფილებელ საფუძველზე.

სამხრეთ-ამერიკა

მიწისძვრა ჩილეში.

ბერლინი. 17 მარტი. ჩილიდან იუწყებიან, რომ ანდებში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. მრავალი შენობები დაინგრა, დიდია ადამიანთა მსხვერპლიც.

პოლონეთი

ბორკილები-პოლონეთის სახელმწიფოებრიობის სიმბოლო.

ვარშავა. 17 მარტი. სეიმის საბიუჯეტო კომისიაში, სახელმწიფო პოლიციის ხარჯთ აღრიცხვის განხილვის დროს, უკრაინელმა ვასინჩუკმა წინადადება შეიტანა ამოშლილ იქნას ხარჯთაღრიცხვიდან ბორკილების შესაძენი თანხა და განაცხადა, რომ ბორკილები პოლონეთის სახელმწიფოებრიობის „სიმბოლოა. კომისიამ უარყო წინადადება.

შემდეგ ვასინჩუკმა წინადადება შეიტანა გაუქმებულ იქნას ხარჯები „ოხრანკის“ შესანახად. ამ წინადადებამ მემარჯვენეების დიდი აღშფოთება გამოიწვია. უკრაინელმა დეპუტატებმა დასტოვეს სხდომის დარბაზი.

სამხრეთ-სლავია

ბულგარეთის ჩეტნიკები სამხრეთ-სლავიის საზღვარზე

ვენა 8 მარტი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სოფიაში მყოფ სამხრეთ - სლავიის ელჩს დაევალა გადასცეს ბულგარეთის მთავრობას, რომ სამხრეთ-სლავია ვერ მოითმენს ბულგარეთის ჩეტნიკების შეჭრას სამხრეთ-სლავიის ტერიტორიაზე და მთელ პასუხისმგებლობას ამისათვის დააკისრებს ბულგარეთს.

ვრანგელის გენერალური შტაბი რჩება სამხრეთ-სლავიაში.

ვენა. 17 მარტი. ბელგრადის გაზეთის „ვრემიას“ ცნობით, ვრანგელის გენერალურმა შტაბმა გადასწყვიტა სამხრეთ სლავიაში დარჩენა.

კომუნისტები პირველ ადგილს იჭერენ.

პრაღა 17 მარტი. პარლამენტის და სენატის არჩევნებში პრიკარპატის რუსეთში პირველი ადგილი უჭირავთ კომუნისტებს. კოალიციონური პრესა შეშფოთებულია.

სხვადასხვა ამბები

ნორვეგია

ერთიანი ფრონტისათვის.

ქრისტიანია. 17 მარტი. ნორვეგიის კომპარტიამ წინადადება მისცა ე წ. მუშათა პარტიას და ისდეკებს ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ პარლამენტის არჩევნებში შემოდგომაზე.

იტალია

პარლამენტის კანდიდატის დაპატიმრება.

რომი. 17 მარტი. ნეაპოლში, სადგურზე დაპატიმრებული იქნა კომუნისტი ნიკოლა ფიორე, რომელიც ბრუნდებოდა საარჩევნო აგიტაციის შემდეგ. ნიკოლა ფიორე დასახელებულია კანდიდატად პარლამენტში.

ფიუმეს შეერთება.

პარიზი. 17 მარტი ფიუმეში მეფის თანდასწრებით მოხდა ქალაქის საზეიმო შეერთება იტალიასთან. მეფემ მისცა დ'ანუნციოს მისი განსაკუთრებული დამსახურებისათვის სამშობლოს წინაშე თავად მონტე-ნევროზოს სახელწოდება

საფრანგეთი

საყოველთაო არჩევნები.

ბერლინი. 19 მარტი. გაზეთების ცნობით, პარლამენტის არჩევნები საფრანგეთში დანიშნულია 18 მაისისათვის.

სირია

ფრანგების დამარცხება.

ბერლინი. 19 მარტი. „ტაიმსის“ ცნობით, საფრანგეთის რაზმი დამარცხდა სირიის საზღვარზე ფრანგებმა დასტოვეს მრავალი მოკლული და ამუნიცია, შეტაკების ადგილას.

ინდოეთი

მოთმინების ფიალა აივსო.

ქაბული. 17 მარტი. სირამპურში გაიფიცა 20,000 მუშა.

ბომბეიში გაფიცულმა მუშებმა ცეცხლი წაუკიდეს ბამბის მარაგს და გაანადგურეს ფაბრიკის ინვენტარი. პოლიციამ ესროლა გაფიცულებს მოკლულია სამი, რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ამერიკა

გამოძიება ნავთის სკანდალის საქმის შესახებ.

ნიუ-იორკი 15 მარტი. იუსტიციის დეპარტამენტის ყოფილმა აგენტმა გასტონ მინსმა თავის ჩვენებაში, რომელიც მან მისცა სენატის კომისიას, ბრალი დასდო გენერალურ პროკურორს დოგერტის და დეპარტამენტის სხვა დამნაშავეებს მთელ რიგ ბოროტმოქმედებებში: მოსყიდვაში, სასამართლო საქმების შეჩერებაში, ქრთამის აღების შემდეგ, მაგარი სასმელების შესახებ არსებულ კანონების დარღვევაში და სხვ. მინსმა აღიარა, რომ მან მიიღო ფულები სხვადასხვა პირებისგან, რომელთაც სურდათ იუსტიციის დეპარტამენტის მოსყიდვა და განაცხადა, რომ მიღებულ ფულს ის აძლევდა დოგერტის მეგობარს სმიტს, რომელიც ცხოვრობდა დოგერტისთან. შემდეგ მინსმა განაცხადა, რომ მან მიიღო 100,000 დოლარი „საზოგადოება მინუი“-დან და გადასცა ის სმიტს. „საზ. მინუი“ დაინტერესებული იყო მით, რომ იუსტიციის დეპარტამენტს შეეწყვიტა გამოძიება ამ საზოგადოების ამერიკულ განყოფილების წინააღმდეგ, რომლისთვისაც ამერიკის მთავრობას უნდა გადაეხდევინებია რამდენიმე მილიონი დოლარი ზედმეტი ხარჯის გაწევის გამო სამხედრო ნივთების მიწოდებისათვის. დოგერტიმ არ აღძრა საჩივარი „საზ. მინუის“ წინააღმდეგ.

კომინტერნში

იტალიელ კომუნისტის საქმე.

მოსკოვი. 17 მარტი. გასული წლის დეკემბერში იტალიის კომპარტიის წევრმა ბომბაჩიმ წარმოსთქვა პარლამენტში სიტყვა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ გამართულ დისკუსიის დროს. იტალიის კომპარტიამ, რომელმაც ეს სიტყვა სცნო ანტი-კომუნისტურად, წინადადება მისცა ბომბაჩის ხელი აეღო დეპუტატობის სახელწოდებაზე. ბომბაჩიმ ეს გაასაჩივრა კომინტერნის აღმასკომში, რომელმაც სცნო, რომ ბომბაჩი, იმის მაგიერ, რომ მას გაეკრიტიკებია მუსოლინის პოლიტიკა, სცდილობდა დაემტკიცებია რუსეთ-იტალიის ხელშეკრულების დადების აუცილებლობა ფაშისტური მთავრობის ინტერესების თვალსაზრისით. ბომბაჩის სიტყვის მოტივიროვკა სავსებით შემცდარია, ვინაიდან საბჭოთა კავშირის ცნობა ფაშისტური მთავრობის მიერ გამოწვეულია მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატის შეურყეველი რევოლიუციონური ძლიერებით და მასთან ერთად კაპიტალისტურ სახელმწიფოების ბლოკის პოლიტიკის მარცხით.

კომინტერნის აღმასკომმა ამავე დროს აღიარა, რომ იტალიის კომპარტიის ცკას მიერ მიღებული ზომა მეტად სასტიკი იყო, ვინაიდან ბომბაჩი, რომელმაც თავისი სიცოცხლის მეტი ნაწილი შესწირა მუშათა კლასის საქმისადმი სამსახურს, წინანდებურად რჩება სინდისიერ, გულწრფელ კომუნისტად; მისი გამოსვლა პარლამენტში გამოწვეული იყო პროლეტარული სახელმწიფოს ცნობის დაჩქარების სურვილით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

2—3 კვირის შემდეგ ამხ. ტროცკი შეუდგება მუშაობას.

მოსკოვი. 17 მარტი. ამხ. ფრუნზემ განაცხადა, რომ ამხ. ტროცკის ჯანმრთელობის მდგომარეობა საშიშროებას არ წარმოადგენს. მოსალოდნელია, რომ 2—3 კვირის შემდეგ ის შეუდგება მუშაობას.

აზნავთის და გროზნავთის დათვალიერება.

მოსკოვი. 17 მარტი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ბრძანებით დანიშნულია კომისია ჩუბაროვის თავმჯდომარეობით აზნავთის და გროზნავთის ადგილობრივ დასათვალიერებლად. კომისიამ უნდა შეკრიბოს ცნობები ნავთის ტრესტების გადასასინჯავად.

კომისიაში შედიან ცენტრალურ საკონტროლო კომისიის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სამთომადნო მუშაკთა ცკას, გზათა სახ. კომისარიატის, სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს წარმომადგენლები.

ძლიერი ქარ-ბუქი უკრაინაში.

ხარკოვი. 17 მარტი. უკრაინაში ძლიერი ქარბუქია, რომელიც განსაკუთრებულ სიძლიერისაა დონის ოლქში, სადაც დაიხურა რკინის გზის 30 სადგური.

კრედიტი სასოფლო არტელებს და ამხანაგობებს.

მოსკოვი. 17 მარტი. მიწისმოქმედთა კავშირმა ნისიად დაუთმო სასოფლო არტელებს და ამხანაგობებს 12.000 ჩერვონეცის საღირალი გუთანი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

კიევის საკონტრაქტო ბაზრობის გახსნა.

კიევი. 17 მარტი. 15 მარტს გაიხსნა მეორე საბჭოთა საკონტრაქტო ბაზრობა. საბჭოთა უკრაინის მთავრობისათვის გაგზავნილ მისალმებაში ბაზრობის მონაწილეთა კრება აღნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების საწარმოო ძალთა ზრდა, გლეხობის კეთილდღეობის წარმატება და სყიდვითი უნარიანობის გაძლიერება იძლევა ბაზრობის სასურველად ჩატარების იმედს.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა

(ს. დევდარიანის მოხსენების გამო ნაძალადევის თეატრში მუშათა კრებაზე)

ს. დევდარიანის მოხსენების შესახებ?

როცა სეით დევდარიანმა თავის პირველი მოხსენება გააკეთა საოპერო თეატრში, ჩვენ გადავსწყვიტეთ არ გამოვხმაურებოდით მის წინააღმდეგ. მხოლოდ ერთმა მისმა განაცხადებამ, რომ თითქოს ჩვენ ქართველ ერს უნდობლობის თვალით უყურებდით, გვაიძულა ჩვენ ამ კითხვის შესახებ გვეთქვა ორი სიტყვა. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ არსებით არ შევეხეთ ს. დევდარიანის მოხსენებას საოპერო თეატრში. მან კი გვისაყვედურა პრინციპიალურ კითხვებზე პასუხი ვერ მივიღეო. დღეს ჩვენ ვეხებით დევდარიანის მოხსენებას არსებითად.

რა სთქვა ახალი ს. დევდარიანმა?

ჩვენ არა ერთხელ და ორჯერ გვითქვამს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა როგორც აქ, ისე საზღვარგარეთ დაჰკარგეს ყოველივე კავშირი მუშათა კლასთან და შეიქნენ ბანდიტიზმის მოკავშირენი და პუანკარეს ყურმოჭრილი მონები. ამ დარბაზში არა ერთხელ გვითქვამს, რომ საზღვარგარეთ ნოე ჟორდანია და მისი მეგობრები რეაქციასთან არიან დაკავშირებული და არავითარი კავშირი რევოლიუციასთან მათ არა აქვთ-თქო.

ამ მხრივ ჩვენთვის სეით დევდარიანს არაფერი ახალი არ უთქვამს. კიდევ მეტი—არა თუ ჩვენთვის, არამედ იმ 15.000 მუშა და გლეხისათვის, რომლებმაც მიატოვეს ამ 7—8 თვის წინათ მენშევიკური პარტია—მათთვისაც აქ არავითარი ახალი არ არის. მათმა ყრილობამ და კონფერენციებმა უფრო ადრე სთქვეს ეს ამ დარბაზში, ქუთაისში, ბათომში, ჭიათურაში და სხ. სთქვეს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ მუშათა ინტერესებს უღალატა და გადავიდა აქ ბანდიტების ბანაკში და იქ, ევროპაში კი, მეიმხრო ხელადებით რეაქციას. აქ საყურადღებოა, მხოლოდ ის, რომ დღეს იძულებულია იგივე სთქვას მენშევიკების ერთ ბელადთაგანმა, სეით დევდარიანმა.

ს. დევდარიანის ძირითადი შეცდომა

მოგეხსენებათ სეით დევდარიანი იყო ერთი ბელადთაგანი საქართველოს მენშევიკური პარტიის (ხმა: ნაკლები!) ნაკლები არის ეხლა, როდესაც ის თქვენს წინააღმდეგ გამოდის, მხოლოდ, როცა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეთ გყავდათ, მაშინ მეორე ჟორდანიას უძახოდით მას. სეით დევდარიანს აქვს ერთი დიდი შეცდომა და ეს არის მისი ძირითადი შეცდომა. ის იღებს უკანასკნელ სამი წლის მოქმედებას საქართველოს მენშევიკური პარტიისას და ამბობს, რომ ეს 3 წლიწადი მენშევიკური მოქმედებისა არ ვარგა, რომ ამ ხნის განმავლობაში მენშევიკური პარტია დაადგა არა მუშათა, არა მარქსისტულ გზას. დანარჩენ შემთხვევაში დევდარიანი ცდილობს დაამტკიცოს რომ ძველი მენშევიზმი კარგი იყო. თუ ასე დააყენებს სეითი საკითხს, მაშინ ის ვერ დაიხსნის თავს მეორე ინტერნაციონალს, რამდენიც არ უნდა აგინოს მან იგი.

მართალია თუ არა რომ მარტო ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ნოე ჟორდანიამ და მისმა მთავრობამ დაჰკარგა მარქსისტული გზა და ხაზი.

ჩვენ კიდე 20 წლის წინედ ვუმტკიცებდით მენშევიკებს, რომ ისინი რევოლიუციონური მარქსისტები არ არიან, მაგრამ ეხლა ამაზე არ ვკამათობთ. მე შევეხები მხოლოდ პირველ 3 წელიწადს, სწორედ იმ სამ წელიწადს როდესაც ჟორდანიას მთავრობა იყო საქართველოში და არა პარიზში.

არა მხოლოდ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ღალატობდენ მენშევიკები პროლეტარიატს

რას უკიჟინებს ს. დევდარიანი ნ. ჟორდანიას. ის ამბობს: ნ. ჟორდანიამ თავისი პოლიტიკა დაუკავშირა დასავლეთ ევროპის მმართველ წრეებსო, ნოე ჟორდანია ცძებს თავის მიზნების განხორციელებას საქართველოს საკითხში დასავლეთ ევროპის მმართველ წრეებთან შეკავშირების გზით და ამბობს, ეს მმართველი წრეები ევროპის რეაქციის წარმომადგენელი არიანო.

ეს ჭეშმარიტებაა.

მაგრამ გადაიხედოთ ეხლა პირველ სამ წელიწადს, როდესაც აქ არსებობდა მენშევიკური მთავრობა. ვისი წყალობით ბრძანებლობდა ის აქ? ვინ ჯომაგრებდა ზურგს ნ. ჟორდანიას მთავრობას? პირველ ხანებში ვილჰელმის ჯარი, მერმეთ ინგლისელების ჯარი. ვისთან იყო დაკავშირებული საქართველოს მთავრობა—რევოლიუციასთან თუ რეაქციასთან? სეით დევდარიანმა უნდა აგვიხსნას ეს ისე გაბედულად, როგორც ის ლაპარაკობს მენშევიკების ამ უკანასკნელი სამი წლის მოქმედებაზე.

სეით დევდარიანმა უნდა აგვიხსნას ის, თუ რომელი სოციალისტური პარტიის ინტერესი მოითხოვდა, რომელი პროლეტარიატის ინტერესი მოითხოვდა იმას, რომ სასახლიდან ჩამოხსნილი ყოფილიყო წითელი დროშა. არ მახსოვს ინგლისის თუ გერმანიის გენერლის მოთხოვნით იყო ეს (ხმები: ინგლისის, გერმანიის). რომელი პროლეტარიატის ინტერესი მოითხოვდა ამას. შეიძლება, ამხანაგებო, ვინმემ სთქვას: რა მნიშვნელობა აქვს, რომელი დროშა იქნებაო. უკაცრავად ნუ ვიქნები, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამას. აქ მუშები არიან და ძალიან კარგათ იციან თუ რამდენი სისხლი დაღვრილა წითელი დროშის ასაფრიალებლად. და როდესაც იგი აფრიალებული არის და შემდეგ კი ძირს უშვებენ მას თანახმათ ბურჟუაზიის წარმომადგენლის ბრძანებისა—ეს ნიშნავს მუხლის მოდრეკას ამ ბურჟუაზიის წინაშე. რით აგვიხსნის სეით დევდარიანი ამ მოვლენას ან კიდე შემდეგს:

როდესაც ბაქო აიღეს სულთანის, ხონთქარის ჯარებმა, რომელიც ებრძოდა ბაქოს პროლეტარიატს (არ მგონია რომ ვინმემ თქვას ბაქოს პროლეტარიატი რეაქციონური არისო), ნ. ჟორდანიამ და მისმა სამხედრო მინისტრმა, მგონი, გიორგაძე იყო, მიულოცა ფაშას გამარჯვება: მოგილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებასო. ჰკლარა ნ. ჟორდანია მივიდა იქამდის, რომ ბაქოს პროლეტარიატის სისხლში ცეკურავა ფაშის ჯარებმა და ის კი ულოცავს ჯალათებს გამარჯვებას.

უნდა დაამტკიცოს ს. დევდარიანმა, რომ ამას მოითხოვდა მსოფლიო რევოლიუციის და პროლეტარიატის ინტერესი. თუ ვერ დაამტკიცა, მაშინ უნდა აღიაროს, რომ, როგორც ამ 3 წლის განმავლობაში მენშევიკური პარტიის პოლიტიკა არ იყო პოლიტიკა მარქსისტული, არ იყო აგრეთვე ის იმ სამი წლის განმავლობაში, როდესაც ნ ჟორდანიას მთავრობა არსებობდა აქ. კიდევ მეტი ნოე ჟორდანიას პოლიტიკა და საერთოდ მენშევიკური პარტიის პოლიტიკა არა თუ არ იყო პროლეტარული, მარქსისტული დიდი იმპერიალისტური ომის დროს, არამედ ის იყო მუშათა კლასის მოღალატეთა პოლიტიკა.

მეორე და მესამე ინტერნაციონალის შესახებ

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მეორე და მესამე ინტერნაციონალზე, ჩვენ საკითხი უნდა დავსვათ, რატომ შეიქნა მესამე ინტერნაციონალი? რათ მოხდა ეს?

როდესაც დაიწყო დიდი იმპერიალისტური ომი, მაშინ გამოირკვა რომ დიდმა უმრავლესობამ მეორე ინტერნაციონალისა, თითქმის მთლიანად უმნიშვნელო გამოკლებით. აშკარად უღალატა როგორც მარქსიზმს, ისევე თავის დადგენილებებს, სწორედ იმ შტუტგარტის და ბაზელის კონგრესის დადგენილებებს, რომლებზეც აქ ილაპარაკა სეით დევდარიანმა.

ბაზელის კონგრესზე, 1912 წელს გამოტანილი იყო დადგენილება, სადაც ერთხმად იყო აღიარებული, რომ თუ ვინიცობაა ომი გამოცხადდებოდა, მაშინ ყველა ქვეყნის რევოლიუციონერები უნდა ამხედრებულიყვნენ მის წინააღმდეგ.

როგორ შეასრულეს სოციალ-დემოკრატებმა ეს თავისი დადგენილება? უშველებელმა დიდმა ინტერნაციონალმა, რომლის დროშის ქვეშ რამოდენიმე მილიონი მუშები იდგნენ, უღალატა თავის დადგენილებებს, მარქსიზმის მოძღვრებას და მათ შორის მოღალატე იყო ნოე ჟორდანიაც. ის იყო სწორეთ ის პიროვნება, რომელიც ამბობდა, რომ ანტანტის ე. ი. ნიკოლოზის გამარჯვება უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, ვიდრე გერმანიის კოალიციისა.

ჩვენთვის კი, კომუნისტებისათვის და ლენინისათვის საკითხი ასე არ იდგა, ასეთ შეხედულებას ჩვენ შორის არ ჰქონდა ადგილი. ჩვენ ვამბობდით: ომი არის იმპერიალისტური და ჩვენ ეს ომი უნდა გადავაქციოთ სამოქალაქო ომათ. ეს არ არის ჩვენი ომი. აქ მუშის მოღალატე არის ის, ვინც მოუწოდებს ამ მუშას, რომ მან თოფი აიღოს ხელში და იბრძოლოს „თავის" ბურჟუაზიის დასაცავად.

საჭიროა ს. დევდარიანმა აქაც გაგვცეს პასუხი, მართალი იყო მეორე ინტერნაციონალი და მასთან ნოე ჟორდანია თუ არა.

საქართველო და მენშევიკები

სეით დევდარიანი თავის მოხსენების პირველ ნახევარში კითხვას ასე აყენებს:

ჩვენ, ქართველები, ვიყავით ჩვენთვის, ვცხოვრობდით, დაგვესხნენ თავზე, დაგვიპყრეს და ამის შემდეგ კითხულობს: რანაირათ შეგვიძლიან გავინთავისუფლოთ ჩვენ თავი. იმ საშუალებებით, რომელსაც ჟორდანია გვაწოდებს—შეუძლებელია. იქიდან ჯარ არ დაგვეხმარებიან და რომ დაგვეხმარონ—რა ხეირს დაგვაყრიანო. ნოე ჟორდანიამ ბათომში გამოუშვა წოწოდებაო—ამბობს დევდარიანი—სადაც მოუწოდებდა ახალ მთავრობას ნუ დაემორჩილებითო. აბა თუ ბიჭი ხარ, ნუ დაემორჩილები, ძალით დაგიმორჩილებენო - ათავებს დევდარიანი.

აქედან გამოდის, თითქოს, რომ იყოს ისეთი ძალა, რომელიც დაეხმარება ყოფილ მენშევიკურ მთავრობას, ძალიან დიდ ბედნიერებას მოუტანდა საქართველოს ნოე ჟორდანიას პარიზიდან დაბრუნება (დევდარიანი: მე არ ვამბობ ამას) სეითი მეუბნება მე არ ვამბობ ამასო. კი, მაგრამ თქვენი მოხსენების პირველი ნაწილი ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, ხოლო მეორე ნაწილში თქვენ ამბობთ: ქეც რომ მოხდეს და ნოე ჟორდანია დაბრუნდეს ერი გაწყდება. გლეხს პურს ვერ მივაწოდებთ და პერანგსაც ვერ ჩავაცმევთო.

ორი შეხედულება რუსეთის რევოლიუციაზე

თავის მოხსენების მეორე ნახევარში დევდარიანი სწორეთ აყენებს კითხვას: პროლეტარიატის დიქტატურა თუ დემოკრატია?

კითხვის ასე დაყენება, იგივე ბოლშევიზმის და მენშევიზმის კითხვაა.

დღეს ჩვენ არ ვფიქრობთ მთლიანად შევეხოთ ჩვენს წარსულ ბრძოლას, მხოლოდ გავკვრით შევეხებით ერთად ერთ კითხვას, რომლის გაუშუქებლათ შეუძლებელია სწორათ გაგება ჩვენი ბრძოლის მიზეზებისა. ეს კითხვა არის, თუ რა შინაარსის არის რუსეთის რევოლიუცია: ბურჟუაზიულია იგი თუ სოციალისტური.

მენშევიკები მუდმივ ამტკიცებდნენ: რუსეთის რევოლიუცია ბურჟუაზიულია და მისი მესვეური, ბელადი, წინამძღოლი ბურჟუაზია იქნებაო. აქედან გამოდიოდენ მენშევიკები, როცა დაჟინებით მოითხოვდენ არჩევნებში შეთანხმებას, ბლოკს ლიბერალურ ბურჟუაზიასთან. ამიტომ იყო რომ, მენშევიკები თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, შევიდენ დროებით მთავრობაში, სადაც მათ მხარს უმშვენებდენ მილიუკოვის პარტიის წარმომადგენელნი—ტერეშჩენკო, ნეკრასოვი, პალჩინსკი და სხვ.. აქედან გამოდიოდენ მენშევიკები, როდესაც ირაკლი წერეთელი მოითხოვდა იარაღი აეყარათ პეტერბურგის მუშებისათვის. ამავე მოსაზრებიდან გამოდიოდენ მენშევიკები, როდესაც იგივე ირაკლი წერეთელი მოსკოვის თათბირზე ეხვეოდა და კოცნიდა რუსეთის მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელს ბუბლიკოვს. ეს იყო ერთ ულოვების დემონსტრაცია მენშევიკებისა ბურჟუაზიასთან, იგივე მნიშვნელობა ჰქონდა იუნისის დღეებში დროებით მთავრობის მიერ გამოცემულ ბრძანებას ლენინის დაჭერის შესახებ.

ასე იქცეოდა მენშევიზმი ოქტომბრის დღეებამდის. მას შემდეგ კი ერთი ნაწილი მენშევიკებისა იარაღით ხელში კოლჩაკთან ერთად გვებრძოდა ჩვენ, მეორე ნაწილი კი ხელს გვიშლიდა ბრძოლაში იმავე კოლჩაკთან.

მეტია, ამხანაგებო, ლაპარაკი იმაზე, თუ ვინ დამარცხდა ამ დიდ ბრძოლაში. მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენათ მართალი ვიყავით ჩვენ, როდესაც ვამბობდით: რუსეთის რევოლიუცია სოციალისტური რევოლიუცია თქო.

სეითმა სთქვა, მეორე ინტერნაციონალს პრინციპი კარგი აქვს, მაგრამ პრაქტიკა არ ვარგაო. ეს საოპერო თეატრში სთქვა. დღეს ვითომ უფრო გაბედულათ სთქვა მეორე ინტერნაციონალი სულ არ ვარგაო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მეორე ინტერნაციონალზე მხედველობაში გვაქვს არსებული მეორე ინტერნაციონალი და არა მეორე ინტერნაციონალი, რომელიც არსებობდა 1914 წლამდე.

არსებულ მეორე ინტერნაციონალი კი პროლეტარიატის დიქტატურას უარყოფს.

აიღეთ კაუცკის წიგნაკი „პროლეტარიატის დიქტატურა", რომელიც მიმართულია ჩვენს წინააღმდეგ და იქ ნახავთ, რომ მთელი წიგნაკი გატენილია იმ აზრით, რომ დიქტატურა უარყოფილი უნდა იქნეს და მშვიდობიანი დემოკრატიზმის გზით უნდა წავიდეთ სოციალიზმისაკენ.

გწამთ თქვენ ეს თუ არა?

ბევრს ლაპარაკობს დემოკრატიზმზე სეით დევდარიანი: „წმინდა დემოკრატია", „სახალხო დემოკრატია", „მუშური დემოკრატია" და სხვა. რაშია საქმე? რომელ დემოკრატიაზე არის ლაპარაკი? ჩვენ ვლაპარაკობთ იმ დემოკრატიაზე, რომელზეც ლაპარაკობს მეორე ინტერნაციონალი, ჩვენ ვლაპარაკობთ იმ დემოკრატიაზე, რომელზეც ლაპარაკობს გერმანიის სოციალ-დემოკრატია, ჩვენ სახეში გვაქვს დაბოლოს ის დემოკრატია, რომელზეც ლაპარაკობდა საქართველოს სოც. დემოკრატია როგორც დღეს, ისე გუშინ, ისე სამი წლის წინათ და ისე ათი წლის წინათ.

რანაირათ ჰქონდათ მათ წარმოდგენილი დემოკრატია. დემოკრატია—საყოველთაო არჩევნები, რომლის გამოხატულება უნდა ყოფილიყო პარლამენტი, დამფუძნებელი კრება.

რას წარმოადგენს ეს დემოკრატია? ეს დემოკრატია არის დიქტატურა ბურჟუაზიული კლასის. არ მოიპოვება დღეს, გარდა საბჭოთა კავშირისა, არც ამერიკაში, არც საფრანგეთში, არც გერმანიაში და ინგლისში არსად ისეთი დემოკრატია, რომელიც არ გამოხატავს ბურჟუაზიულ კლასის დიქტატურას. აი ამ დემოკრატიაზე გვქონდა ჩვენ მუდამ ლაპარაკი, ამის წინააღმდეგ ვიბრძოდით ჩვენ. და ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში არ არსებობს დემოკრატია, ეს რა თქმა უნდა, სიმართლეს მოკლებულია.

მართალია, ჩვენში არ არსებობს ტრადიციული დემოკრატია, „დემოკრატია" დამფუძნებელი კრებით, „დემოკრატია" პარლამენტარული, მაგრამ მის მაგიერათ არსებობს დემოკრატია მუშურ-გლეხური, რომლის მსგავსიც კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა.

აი, როგორ ახასიათებს დემოკრატიას ენგელსი თავის წერილში ბებელის მიმართ 1882 წელს 2 დეკემბრის თარიღით:

„წმინდა დემოკრატია ხდება მნიშვნელოვანი რევოლიუციის მომენტში, როგორც უკანასკნელი ბურჟუაზიული პარტია, რომელიც უკვე ფრანკფურტში შეიქნა მთელი ბურჟუაზიული და ფეოდალური მეურნეობის გადარჩენის უკანასკნელი საშუალება. ასე, მაგალითად, მთელი ბიუროკრატიული მასა 1848 წ. მარტიდან სექტემბრამდე მხარს უჭერდა ლიბერალებს რევოლიუციონური მასების გასანადგურებლად. ყოველ შემთხვევაში კრიზისის მომენტში და მის მომყოლ ხანაში შეიქნება ერთად-ერთი მოწინააღმდეგე წმინდა დემოკრატიის გარშემო დარაზმული რეაქცია, და ეს ჩემის აზრით, ყურადღებოთ არ უნდა იქნეს დატოვებული".

სწორედ ეს დემოკრატიაა ის, რომლის გულისთვის მენშევიკები მზათ არიან ჩვენ ჯვარზე გვაცვან.

ამ დემოკრატიაზეა ლაპარაკი, თორემ მუშურ-გლეხურ დემოკრატიის დამბადებელი და შემქმნელი ხომ ლენინი გახლავთ. მუშურ-გლეხურ დემოკრატიას ჩვენ ვაწარმოებთ, ჩვენ ვიბრძვით მისთვის. გვიბრძანოს სეით დევდარიანმა სად და რომელ ქვეყანაში მოიპოვება ასეთი დემოკრატია, როგორიც არის ჩვენი მუშურ-გლეხური დემოკრატია. შეადაროს თავისი მენშევიკური დემოკრატია ჩვენ დემოკრატიას და გვიბრძანოს სად უფრო მეტი მუშურ გლეხური დემოკრატიაა.

ვინ მართავს ჩვენ სახელმწიფოს? მუშა და გლეხი. ამას ვერავინ ვერ უარყოფს. სეით დევდარიანი გვეტყვის, მართალია მუშა და გლეხი მართავს საბჭოთა სახელმწიფოს, მაგრამ მხოლოდ ის მუშა და გლეხი, რომელიც თქვენს პარტიაშია. სხვებს თქვენ არც ძალაუფლებას უზიარებთ და არც თავისუფლებას აძლევთო. ეს მართალია, მხოლოდ ერთი დამატებით: ჩვენს ფედერაციულ კავშირს, რომელიც შეადგენს 1/6 დედამიწისას მართავენ არა მარტო პარტიული მუშა და გლეხი, არამედ ამაში მონაწილეობას ღებულობს არა ერთი ათასი უპარტიო მუშა და გლეხი. ამით რა თქმა უნდა, რომ მე არ უარვყო კომუნისტური პარტიის დიქტატურას. მე ვუყენებ სეით დევდარიანს კითხვას, არის თუ არა ჩვენი პარტია გამომხატველი და მატარებელი პროლეტარიატის დიქტატურისა. თქვენ გვეუბნებით სხვა პარტიას არ აძლევთ თავისუფლებასო. რომელ პარტიას, რომელიც უჭერს მხარს რეაქციას? რომელიც ხელს უწყობს ევროპის მმართველ კლასებს? მენშევიკურ პარტიას, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ აწყობს ამბოხებებს? აი სეითი ამბობს, რომ ჩვენ ამათ არ ვაძლევთ უფლებებს და ეს, რასაკვირველია, მართალია. ამათ ვერაფერ უფლებას ვერ მივცემთ, ვინაიდან მენშევიკები ყველგან, არა მარტო საქართველოში და რუსეთში, არამედ ყველგან, რეაქციის, ბურჟუაზიის ზურგად გადაიქცა.

ავიღოთ ყველაზე უფრო მძლავრი ს.-დ. გერმანიის მენშევიკები. ვის უმაგრებენ იგინი ზურგს და ვის წინააღმდეგ იბრძვიან?

„მარქსის მთავრობის შედგენის შემდეგ გერმანიამ ფეხი შედგა ბრძოლობიანი ბურჟუაზიული რეაქციის ხანაში"-ო ასე სწერს რუსეთის მენშევიკების ორგანო „სოციალისტური ვესტნიკი", რომელიც აქ ახსენა ს. დევდარიანმა.

როგორ პოლიტიკას აწარმოებს ეს მთავრობა?

მოვუსმინოთ ამავე ორგანოს.

„არ დაკმაყოფილდა რა „გამარჯვებებით" სოციალურ-ეკონომიურ ფრონტზე, გამარჯვებულმა ბურჟუაზიის მთავრობამ თავის საერთო შინაურ პოლიტიკაში გამოიჩინა იგივე ანტისოციალური და რეაქციონური ტენდენციები, რომლითაც ხასიათდება მისი ეკონომიური და, კერძოთ, მუშათა პოლიტიკა. შეინარჩუნა რა სამხედრო მდგომარეობა თითქოს გამოუდეგავი რა ის, მან საბოლოოდ გადააქცია იგი ძალით გადატრიალებისაგან სახელმწიფოს თავდაცვის იარაღიდან, (როგორიც იგი იყო თავიდანვე უფრო იდეურად ვიდრე პრაქტიკულად) დიქტატურის ლეგალურ საშუალებათ და ფართოთ გამოიყენა იგი პოლიტიკურ რეაქციის გასატარებლად. რამდენადაც Ermächtigungsgesetz (განთავისუფლებული უფლებების კანონი არ ხლდა ვდა მთავრობის კანონმდებლობით მოქმედებას წმინდა ეკონომიური ჩარჩოებით, არამედ ითვალისწინებდა სახარჯაღ ბიუჯეტის შემცირების საჭიროების გამო, საერთო რეფორმების გატარებასაც, მთავრობამ გამოიყენა ეს შესაძლებლობაც და მის მიერ გატარებული მაგ. სასამართლოს რეფორმა, რომელიც გამოიხატა სრულ ბიუროკრატიზაციაში და მართლმსაჯულებისაგან სახალხო ელემენტის ჩამოშორებაში, არა მარტო სოციალისტური, არამედ პროგრესიულ ბურჟუაზიულ პრესის მიერ შეფასებულია, როგორც უდიდესი რეაქციონური ზომა". („სოც. ვესტნიკი" № 3. ქ. ლ-ს წერილი).

როგორ უყურებს ამ მთავრობას გერმანიის ს.-დ.? იგი თავიდან ბოლომდის მხარს უჭერს ამ მთავრობას. მან რეიხსტაგში მხარი დაუჭირა განუსაზღვრელი უფლებების მიცემას ამ მთავრობისათვის. აი რას სწერს იგივე „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი": „დამახასიათებელია ის, რომ სოციალ დემოკრატია კრინტსაც

რა უნდა იცოდეს და ახსოვდეს ყოველ მუშას, რომელიც შედის კომუნისტურ პარტიაში

(ამხ. ზინოვიევის მოხსენებიდან, რომელიც წაიკითხა მან 1924 წ 24 თებერვალს ვოლოდარსკის რაიონის იმ კანდიდატთა კრებაზე, რომელნიც გადაყვანილი არიან კომპარტიის წევრებათ)

პარტიაში შედიხარ არა პირადი სარგებლობისათვის

პირველი—რაც უნდა იცოდეს და ახსოვდეს თვითეულ მუშას, რომელიც შედის პარტიაში, არის ის, რომ ის პარტიაში შედის არა პირადი სარგებლობისათვის და პირადი ლეკეიებისათვის, არამედ სამუშათო მუშათა კლასის სასარგებლოთ. ამხანაგი ლენინი 1919 წელს სწერდა: „ჩვენ არ გვინდა პარტიის ისეთი წევრები, რომლებიც მხოლოდ სახელისთვის არიან შემოსული პარტიაში. ჩვენ არაფერს არ გპირდებით, ჩვენ მოგიწოდებთ დიად სამუშაოსათვის მუშათა კლასის სასარგებლოდ".

პარტიაში უნდა ჩაება მთლიანად

მეორე—თუ შედიხარ პარტიაში, უნდა იცოდე, რომ პარტიაში უნდა ჩაება მთლიანად. შენ ვალდებული ხარ წახვიდე იქ, სადაც გაგზავნიან. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ მოვიქცევით ისე, როგორც გვასწავლიდა ამხ. ლენინი: თუ შედიხარ პარტიაში, შენ მთლიანად უნდა მიეცე ამ პარტიას. ჩვენ გვქონდა ისეთი დრო, როდესაც ჩვენი ამხანაგები ფრონტზე გავგზავნეთ, ეხლა ფრონტები აღარ არის, მაგრამ პარტია მაინც მეტის მეტად სერიოზულ მოთხოვნილებებს უყენებს თავის წევრებს. ამას უნდა შეეჩვიოს პარტიის თვითეული წევრი. ყოველი ჩვენთაგანი შესისხლხორცებული უნდა იყოს პარტიასთან, უნდა იცოდეს, რომ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებით გაუმჯობესდება ჩვენი მდგომარეობაც. ვისაც არ შეუძლია მთლიანად მისცეს თავისი თავი პარტიას, მაშინ უკეთესია არ შევიდეს პარტიაში, არამედ დაეხმარეს პარტიას დროგამოშვებით.

პარტია და რელიგია

მესამე—გაირკვიეთ რელიგიის საკითხში. ეს მეტად საჭირბოროტო საკითხია და მისი დასმა აუცილებელია. ვერ იქნები პარტიაში, თუ შენ მორწმუნე კაცი ხარ. პარტია არ სდევნის რელიგიას, ის მას ითმენს. პარტიას ესმის, თუ რატომ გვყავს ჩვენ ჯერ კიდევ ამდენი მორწმუნე ხალხი და უარს არ ამბობს იმუშაოს იმ მუშებთან და გლეხებთან, რომელნიც მორწმუნე არიან. მაგრამ პარტიაში ჩვენ ასეთ კაცს არ მივიღებთ. შენ თუ მორწმუნე კაცი ხარ,—დაიცადე, ნუ შეხვალ ჯერ პარტიაში, რადგან პარტია ისეთ რთულ და მძიმე მიწიერ საკითხებს არკვევს, რომ თუ აქ გადამწყვეტ მომენტში საქმეში ჩაერია კიდევ ღმერთი, მაშინ აქედან არაფერი კარგი არ გამოვა. თუ შენ შეხვალ პარტიაში და იფიქრებ, რომ ამისათვის შენ იმ ქვეყნათ ცეცხლის ალში ჩაგაგდებენ, მაშინ უმჯობესია სულ არ შეხვიდე პარტიაში. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, რთულია. არ შეიძლება უბრძანო კაცს, რომ ის არ იყოს მორწმუნე. მე ამას წინათ მიამბეს ასეთი შემთხვევა. ერთ კრებაზე, სადაც ირჩეოდა პარტიაში ახალი წევრების მიღების საკითხი, ერთმა ხნიერმა მუშა-ქალმა განცხადება შეიტანა პარტიაში შესვლის შესახებ იაჩეიკაში დასვეს კითხვა: „არის ვინმე წინააღმდეგი"? გამოვიდა ერთი და სთქვა: „მე ვარ წინააღმდეგი". აღმოჩნდა, რომ ის მისი შვილია. მას ეკითხებიან: „რატომ ხართ თქვენ წინააღმდეგი"?—„ეს,—უპასუხა მან,—ძალიან კარგი დედაა, მაგრამ ხატებს ჩამოხსნის ნებას არ მაძლევს, სწამს ღმერთი და, წარმოიდგინეთ, როდესაც ვლადიმერ ილიჩი გარდაიცვალა, ის ჩუმათ წავიდა და შეუკვეთა ღმერთს მისთვის! ეკითხებიან ამ მუშა-ქალს, ის ამბობს: „იყო ასეთი შემთხვევა; შეჩვეული ვარ ლოცვას, ვფიქრობდი, რომ ეს ვლადიმირ ილიჩს დაეხმარებოდა, წავიდი და ვილოცე". პარტიაში ის მიიღეს, რადგან ის მეტის-მეტათ კარგი ადამიანია. მაგრამ დანიშნეს, როგორც იქ იყო ნათქვამი, ანტირელიგიური რიგი თვე, რომ ის ამ თვის განმავლობაში დაფიქრდეს ამ საკითხს. ამ მაგალითიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა კლასში არიან მეტის მეტად კარგი ადამიანები, რომელნიც მზად არიან შესწირონ ყოველივე მუშათა კლასის ინტერესებს, მაგრამ რომელთაც ჯერ კიდევ სავსებით არ გაუწყვეტიათ კავშირი წარსულთან. რასაკვირველია, ჩვენ ასეთ ხალხს ვერ ვკრავთ ხელს. საჭიროა მათთან მოლაპარაკება, უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ რელიგია საჭირო არ არის. მაგრამ საერთოდ ყველამ უნდა იცოდეს, რომ პარტია და რელიგია ორი სხვადასხვა ცნებაა: ან რელიგია, ან პარტია.

ჩვენი პარტია—მუშათა პარტიაა.

მეოთხე, რაც ჩვენ უნდა გვახსოვდეს, ეს არის ის, რომ ჩვენი პარტია არის მუშათა პარტია; ჩვენ ვიღებთ პარტიის რიგებში გლეხებსაც, მოსამსახურეებსაც და სხვადასხვა ინტელიგენტებსაც, მაგრამ თავის საფუძვლებით ჩვენი პარტია უნდა დარჩეს მუშათა პარტიად. ჩვენში მუშათა რიგებს დაეტყოთ შემცირება. ეხლა კი ისინი ისევ იწყებენ განმტკიცებას, მუშათა ახალ ელემენტების შესვლის შემდეგ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რათა ჩვენი პარტია დარჩეს უწინარეს ყოვლისა პროლეტარულ მუშათა პარტიად.

რუსეთის კომპარტია არის კომინტერნის ნაწილი.

მეხუთე.—ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ საერთაშორისო პარტია. ჩვენ ვართ—კომუნისტური ინტერნაციონალის ნაწილი. ჩვენ ვდღესასწაულობთ კომინტერნის 5 წლისთავს, კომინტერნის, რომლის შემადგენლობაში შედის 52 პარტია. ჩვენ ვართ ერთი ამ 52 თაგანი, ჩვენ ვართ მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ნაწილი და გარდა მოვალეობათა ჩვენი ქვეყნის წინაშე, გვაწევს საერთაშორისო ხასიათის მოვალეობანიც პარტიაში შესვლის შემდეგ ყოველი თქვენგანი ხდება კომინტერნის წევრად, ის უკვე არის პროლეტარიატის საერთაშორისო არმიის ჯარისკაცი.

პარტია და დისციპლინა.

მეექვსე—დისციპლინის შესახებ. მუშებს, საერთოდ, დისციპლინა არ აშინებს. მუშები შეეჩვივენ დისციპლინას მაგრამ, ამხანაგებო, უნდა ვსთქვათ პირდაპირ, რომ დისციპლინა არც ისეთი სასიამოვნო რამ არის, რომ თვითეულმა შეილოს იგი ალტაცებით. დისციპლინის უღელი ზოგჯერ გვეხეხავს კისერს.

და მე ვფიქრობ, რომ მთავარი განსხვავება პარტიის ძველსა და ახალ წევრებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ძველ წევრთა უმრავლესობას აქვს ამ მხრივ თავისი ხაზი, ისინი შეეჩვივ დისციპლინის უღელს, მაგრამ მე ვშიშობ, რომ პარტიის ახალ წევრებისათვის ეს ადგილი სუსტი იქნება, მათთვის ძნელი იქნება ამ დისციპლინის უღლის ტარება. აქ საჭიროა მოფიქრება, ვიდრე პარტიაში შეხვიდოდე.

ჩვენთვის საჭიროა რკინის პროლეტარული დისციპლინა, იმიტომ, რომ ჩვენ ვებრძვით მტრებს მთელ მსოფლიოს. ამ დისციპლინის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია ზრდა, უამისოდ ჩვენ დავიღუპებით. პარტია არის თავისუფალი კავშირი, არავინ არ შეჰყავთ მასში ძალით. მაგრამ პარტიაში შესვლის შემდეგ შენ უნდა მიიღო მისი კანონები, მისი გადაწყვეტილებანი. რაც პარტიამ გადასწყვიტა, იგი უნდა იყოს წმინდა. და აი, ამას წინად ჩვენ გვქონდა დისკუსია იმის გამო, რომ ამხანაგების ერთი ნაწილი მოითხოვდა კრიტიკის თავისუფლებას, რათა შექმნილიყო ცალკე ფრაქციები, სხვადასხვა მიმდინარეობანი პარტიის შიგნით. მაგრამ პარტია არ დასთანხმდა, ვინაიდან, ამას არ გვასწავლიდა ჩვენ ლენინი, ამას არ გვასწავლის ჩვენ პროლეტარიატის მრავალტანჯულ პარტიის მთელი ისტორია. ლენინი ჩვენ გვასწავლიდა, რომ პარტია უნდა იყოს ჩამოსხმული ლითონის ერთი ნაჭრიდან. ამხ. ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს სწერდა თავის სამაგალითო წერილში „რა უნდა ვქნათ?", რომ პარტია ეს არის იმ მეგობრების პატარა კავშირი, რომლებიც ხელიხელ ჩაკიდებული მიდიან ვიწრო ბილიკით, რომლის ორივე მხარეზე უფსკრულია თუ ამხანაგებს უკმაყოფილება მოუვიდათ, მაშინ მათ ხელს ჰკრავენ და ისინი გადაიჩეხებიან ან ერთ ან მეორე უფსკრულში. რათა განვლილ იქნას ყოველგვარი უფსკრული და არ გადავიჩეხოთ მასში, ჩვენ ხელიხელ ჩაკიდებულებმა, მეგობრულად უნდა გავიაროთ ისტორიის მძიმე წლები. ეს წლები ჯერ არ გათავებულა, თუმცა ჯერ აღარ მივდივართ ვიწრო ბილიკებით, არამედ გაცილებით ფართე გზაზე, რომლის ქვეშ ჩაყრილია პროლეტარულ დიქტატურის რკინის საძირკველი მაგრამ საშიშროება ჯერ კიდევ მოგვილის ყოველი მხრიდან წვრილი და მსხვილი ბურჟუაზია თავს იმტვრევს, როგორმე მოსპოს მუშათა ორგანიზაციები. ამიტომ თქვენ თავისუფალი შეთანხმებით ხელი ხელ ჩაკიდებული უნდა წახვიდეთ ერთსულოვნად ძველ გზაზე.

ყოველმა კომუნისტმა უნდა იცოდეს პარტიის ისტორია.

მეშვიდე.—პარტიის თვითეული წევრის მოვალეობაა თუნდაც ზოგადად გაეცნოს ჩვენი პარტიის ისტორიას. ვინც არ იცის პარტიის ისტორია, მას არ შეუძლია გახდეს მის შეგნებულ წევრად, თუნდაც რომ მას ჰქონდეს უღრმესი ერთგულება საქმისადმი. პარტიის ისტორიის გაცნობა საჭიროა იმისათვის, რათა ვიცოდეთ, როგორი სიძნელენი გადალახა მან, როგორი მსხვერპლი გაიღო, როგორ იბრძოდა მენშევიკების და ესერების წინააღმდეგ, როგორი ტანჯვა წამება გადაიტანა მან, როგორ გამოდიოდა იგი გაჭირვებიდან, როგორ იქნებოდენ და იზრდებოდენ მისი ორგანიზაციები.

თვითგანვითარება.

მერვე—ეს არის მუშაობა თვითგანვითარებისათვის ვინც წინ არ მიდის, ის უკან იხევს. ჩვენს დროში ერთ ადგილას დგომა არ შეიძლება. პარტია თქვენ დახმარებას გაგიწევთ ამ მუშაობაში, გაზეთზე კოლექტიური ხელის მოწერით, წრეების მოწყობით, სკოლების გახსნით, მაგრამ მაინც მთავარი სამუშაო თქვენ მიერ უნდა იქნას შესრულებული. თუნდაც ნელ ნელა, მაგრამ უნდა ისწავლოთ გამუდმებით, თუნდაც ამხ. ლენინის ერთი პატარა წიგნაკი უნდა წაიკითხოთ სამი თვის განმავლობაში, მაგრამ უნდა წაიკითხოთ შეგნებულად, იმიტომ რომ იქ თქვენ ნახავთ ცხადად მებრძოლ მუშათა კლასის მთელ გამოცდილებას. თვითგანვითარება, საჭიროა იმისათვის, რათა სათანადო სიმაღლეზე იქნას დაყენებული მუშაობა საბინაო ამხანაგობებში, კოოპერატივებში, სკოლებში, საავადმყოფოებში, ყველგან, სადაც თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ საკუთარი ძალები.

კავშირი უპარტიოებთან.

მეცხრე—კავშირი უპარტიოებთან. ბევრი თქვენგანი ჯერ კიდევ გუშინ იყო უპარტიო და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასწყვიტოთ კავშირი უპარტიოებთან. ზოგჯერ ჩვენში ლაპარაკობენ: აიღე გეზი პარტიის ახალ წევრებზე და არა უპარტიოებზე. ეს არ არის საკითხის სწორი დაყენება. არა, უპარტიოები ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ. ყოველ შემთხვევაში მუშების უმრავლესობა ჯერ კიდევ უპარტიოებისაგან შესდგება, და მათთან კავშირი არ უნდა შესწყვიტონ იმათ, ვინც არ მოდის წარმოებიდან რომელიმე სახელმწიფოებრივ სამუშაოზე. უპარტიოებთან კავშირით თქვენ შეგიმატებთ ძალა, სიხალისე, გასაქანი. ამჟამად ჩვენ გვყავს ასეული ათასი მუშა, რომელიც პარტიაში შემოდის. ერთი ორი წლის შემდეგ ჩვენ დავაყენებთ საკითხს კიდევ მეორე ასეულ ათას უპარტიოს შესახებ და აი, თქვენ, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ იყავით უპარტიოები, არ უნდა უცქიროთ უპარტიოებათ დარჩენილებს ზევიდან ქვევით. ჩვენ უახლოვდებით იმ დროს, როცა მთელი მუშათა კლასი უნდა შევიდეს ჩვენი პარტიის რიგებში.

კავშირი გლეხობასთან.

მეათე—კავშირი გლეხობასთან. ყველაზე მეტად ეს კავშირი საჭიროა წითელ არმიაში ეხლა წითელ არმიაში მნიშვნელოვანი დემობილიზაცია გატარდა. კავშირი გლეხობასთან ჩვენ შეგვიძლია განვახორციელოთ მხოლოდ თქვენის საშუალებით. თქვენ უნდა დაგვეხმაროთ გლეხობის დარაზმვის საქმეში. დავიწყოთ პატარა საქმიდან: გაზეთების, წერილების გზავნა სოფელში, ბევრ თქვენგანს ჰყავს სოფელში ნათესავები და წერილებს უგზავნის მათ, სოფელში გამგზავრებით სარგებლობა, ბოლოს მუშების და გლეხების კავშირის საზოგადოებათა დაარსება შესაძლებელია აქ ჩვენ ვისარგებლებთ სათვისტომოებით, როგორც ამას ოდესღაც ჩავდიოდით და შევეცდებით მოვაგვაროთ მუშაობა სათვისტომოების პრინციპით. შეიკრიბებიან, მაგალითად, სმოლენსკის გუბერნიის 50 მუშა-კომუნისტი და იფიქრებენ რამეს თავიანთ გუბერნიის გლეხობაზე, რითაც შეეძლებათ დაეხმარებიან, დაამყარებენ კავშირს მუშა—არის მთავარი ძალა ქვეყანაში, ბატონ პატრონი, საფუძველი, (корени, к),—როგორც ამხ. ლენინი ამბობდა მან უნდა იზრუნოს მეორე მნიშვნელოვან კლასსზე—გლეხობაზე

ქალის განთავისუფლება

მეთერთმეტე—ქალის განთავისუფლება. საჭიროა ამაზედაც ვიფიქროთ. ამხ. ლენინი ამაზე ძალიან ბევრს ფიქრობდა. ის მუდამ უფიქრდებოდა ისეთ საკითხებს, რომლებიც ეხებოდენ ადამიანთა მილიონებს. ქალის განთავისუფლება—ერთი ამ საკითხთაგანია. ამ მხრივ ჩვენ კიდევ ცოტა გაგვიკეთეთ. რასაკვირველია, რევოლიუციამ გამოაცხადა ქალის თანასწორობა. მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა ამის გატარება ცხოვრებაში ბევრი გვყავს ჩვენ ქალები საბჭოებში? ბევრი არიან ისინი სახელმწიფო მართვა-გამგეობაში, ქარხნებში? ცხადია, ჩვენ უნდა მივისწრაფოთ ნამდვილ თანასწორობისაკენ. თვითეული კომუნისტი პირველ ყოვლისა თვით უნდა ცდილობდეს, რომ ქალები რამდენადაც შესაძლებელია თანაბარი ნორმით მონაწილეობდენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ჩვენ ყველანი უნდა ვზრუნავდეთ იმაზე, რომ ეს გავატაროთ ცხოვრებაში მთელი მუშათა კლასის მთელი გლეხობის ფარგლებში. ეს არის—რევოლიუციის ერთი ძირითადი საკითხთაგანი. ეს არის ამხ. ლენინის ერთ-ერთი ანდერძი. მე ვიცი, რომ აქ კიდევ ბევრია ყალბი წარმოდგენები თვით ჩვენს საუკეთესო კომუნისტებშიაც, რომელთაგან თქვენ ბევრ ოხუნჯობას გაიგონებთ, რომ ესენი „დედაკაცები" არიან ან, რომ „თმა გრძელია და ჭკუა მოკლე" და სხვ.. ეს არ შეეფერის კომუნისტს. პარტიაში შესვლის შემდეგ ამას ბოლო უნდა მოეღოს.

უნდა შევიგნოთ, რომ ქალის განთავისუფლების საკითხი არის ჩვენი, ლენინის მიერ დაარსებული პარტიის ერთ-ერთი საპროგრამო მუხლი.

დაეხმარე ახალგაზრდობას

მეთორმეტე—დახმარება ახალგაზრდობისთვის. ჩვენ გვეზრდება ახალგაზრდობის საუკეთესო თაობა. ყმაწვილები, რომლებიც ოქტომბრის რევოლიუციის დროს თერთმეტი წლის იყვნენ, ეხლა უკვე 17—18 წლის ახალგაზრდები არიან. ისინი მოზრდილები არიან ისინი შეადგენენ ახალ თაობას. დღეს ჩვენ ერთმა მუშა ქალმა გვამბო იმის შესახებ, თუ როგორ შედიოდა ის პარტიაში: „მე თვითონაც მოხუცი ვარ,—სთქვა მან,—ხოლო ამას გარდა, ჩემი ვაჟი და ქალი ახალგაზრდობის კომკავშირის წევრები არიან. ისინი უკვე ორი წელია ეწეოდენ ჩემზე აგიტაციას, მიიღე დენ მე, და მეც შევედი პარტიაში". როგორც სჩანს, ჩვენ მუშათა ოჯახებშიაც გვაქვს სააგიტაციო განყოფილებები, რომლებსაც წარმოადგენენ ახალგაზრდობის კომკავშირის წევრები, რომლებიც აგიტაციას ეწევიან თავიანთ მშობლებზე. ცხადია, ახალგაზრდობას აქვს თავისი ნაკლულევანებანი, ამის შეუმჩნევლობა შეუძლებელია, ეს უნდა აღინიშნოს პირდაპირ, უნდა გამოვასწოროთ ისინი. მაგრამ საზოგადოთ უნდა ითქვას: რომ ჩვენ გვეზრდება საუკეთესო ახალგაზრდობა, რომელიც იქნება კომუნიზმის საუკეთესო ძალა. ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ ქარხნებში, სკოლებში, საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებში. ეს არის ერთი უმთავრესი ამოცანა თვითეული კომუნისტისათვის და მთელი პარტიისათვის მთლიანად.

იმუშავე მთელი სულით და გულით.

მეცამეტე - ყოველგან, სადაც შენ მუშაობ, უნდა იმუშავო მთელი შენი სულით და გულით: სდგეხარ შენ დაზგასთან, ხარ შენ დირექტორი, ან წითელი დიპლომატი, ან დელეგატი ქალი ქალებისაგან, ან კოოპერატორი, ან პროფესიონალისტი, თუ დასტრიალებ გუთანს. ყოველგან სადაც შენ მოხდები—საქმეს უნდა შესწირო უდიდესი სიყვარული, შენ უნდა გესმოდეს, რომ მუშაობის ფრონტის თვით მცირე რაიონშიაც შენ გაწევს დიდი პასუხისმგებლობა იმ საქმისათვის, რომელსაც შენ აკეთებ.

იყავი პირველი მასიურ ორგანიზაციებში

მეთოთხმეტე—პირველყოვლისა, ყველა მასიურ მუშათა ორგანიზაციებში შენ უნდა იყო პირველი—პროფკავშირებში, კოოპერატივებში, განმანათლებელ ორგანიზაციებში. აი, ამხანაგებო, სოციალიზმის ნამდვილი სკოლა. აქ ჩნდება მუშების ახალი თაობა. საიდან მივიღეთ ჩვენ ამხ. კალინინი, ამხ. ტომსკი, რომლებიც ყველა პროფკავშირების სათავეში დგანან, საიდან მივიღეთ ჩვენ ყველა ის ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობენ—ზოგი მთელს პროფკავშირს, ზოგი გუბერნიას, ზოგი მთელს ოლქს, ზოგი სათავეში უდგას მთელს საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც მ. ი. კალინინ? მასიური ორგანიზაციებიდან, პროფკავშირებიდან, კოოპერატივებიდან და კლუბებიდან, სადაც ისინი პირველად დაწინაურდენ. აი, ამ მუშათა მასიურ ორგანიზაციებისაკენ, პროფკავშირებისა და სხვებისაკენ თვითეული თქვენგანი უნდა მიილტოდეს. თვითეული თქვენგანი უნდა იყოს პირველი არა მარტო წმინდა პარტიულ იაჩეიკაში, არამედ აგრეთვე უპარტიო მასიურ მუშათა ორგანიზაციაში.

კომუნისტის სახელწოდება—ყველაზე უმაღლესია

მეთხუთმეტე—გახსოვდეს რომ არ არის იმაზე მაღალი სახელწოდება, როგორიც არის რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრის სახელი. გახსოვდეს, რომ შენ ეკუთვნი იმ პარტიას, რომელიც შექმნილია ამხ ლენინის და მუშათა კლასის საუკეთესო მებრძოლების მიერ.

რევოლიუციის წლების განმავლობაში ბევრი უცხო ელემენტები ცდილობდენ ჩვენთან შემოხიზნვას. ისინი ცდილობდენ თავიანთი გასვრილი ხელებით წაებილწათ ჩვენი დროშა, მაგრამ მისი სერიოზულად წაბილწვა ვერ შესძლეს, ჩვენ მათ ვაძევებდით ასობით და ათასობით ჩვენი დროშა შეუბღალავი დარჩა.

ეხლა, როდესაც თვითეულ მუშას უფლება ეძლევა შემოვიდეს ჩვენს პარტიაში, გახდეს მისი დროშის ერთ ერთი მატარებელი, უნდა გავიმეორო ამის მთელი მნიშვნელობის შეგნებით აი ის რჩევა, რომლის მოცემა შემიძლია მე თქვენთვის.

ხუთშაბათი 20 მარტი 1924 წ. № 64 (919)

მუშათა [illegible]

არ სძრავს აქტიური ბრძოლის შესაძლებლობის შესახებ დიქტატურის, კაპიტალისტური რეაქციის წინააღმდეგ და ამ ბრძოლის ნიადაგზე ფართო მასიური მოძრაობის შექმნის შესახებ".

როგორც ხედავთ, მენშევიკების მუშათა კლასის მოსისხლე მტერთა ბანაკში გარდასვლა მოხდა არა მარტო საქართველოში, რასაც ეხლა თვით ს. დევდარიანიც ალიარებს, მოხდა ეს გერმანიაშიაც, იტალიაშიაც და სხ. რატომ? რატომ გერმანიის სოც.-დემ. უღალატა მუშათა კლასს, გააძლიერა ბურჟუაზია, ხმა მისცა რეაქციას, რატომ მოხდა, რომ თვით სოციალ-დემოკრატიიდან ზოგიერთი პირები იძულებულნი არიან სთქვან: ბურჟუაზიამ ალყა შემოარტყა სოც.-დემ. და ტყვეთ წაიყვანაო? რატომ მოხდა, რომ, როდესაც გერმანიაში დაიწყო სამოქალაქო ომი სოციალისტური რევოლიუციისათვის, სოც. დემ. შეიდემანის და ნოსკეს მეთაურობით დამარცხებული იქნა ეს მოძრაობა და საუკეთესო მეთაურები მუშათა მოძრაობისა: როზა ლიუქსენბურგი, ლიბკნეხტი და სხ. დახვრიტეს.

იტალიის მაგალითი

რატომ მოხდა 1920 წელში, როდესაც დაიწყო დიდი მუშათა მოძრაობა იტალიაში, სადაც მთავრობას არ ჰქავდა არავითარი ძალა, მენშევიკურმა პარტიამ უღალატა ამ მოძრაობას და ამის გამო იგი დამარცხდა და ძალა-უფლება გადავიდა ბურჟუაზიის ხელში, ფაშისტების ხელში.

ბულგარეთის მაგალითი

ავიღოთ თუ გინდათ ამ რამოდენიმე თვის წინად ბულგარიაში მომხდარი გლეხების აჯანყება შავრაზმელ ცანკოვის წინააღმდეგ. კომუნისტური პარტია მხარს უჭერდა გლეხურ აჯანყებას. რატომ მოხდა, რომ ბულგარიის სოც. დემ. ცანკოვთან ერთად ებრძოდა ამ აჯანყებას და ეხლა ფაშისტურ ცანკოვის მთავრობაში ს. დ. მინისტრებად ბრძანდებიან.

ყველგან.

რატომ ხდება გერმანიაში, ბულგარიაში, იტალიაში, რუსეთში, საქართველოში, ყველგან, სადაც კი იწყება რევოლიუციონური მოძრაობა, სადაც კი პროლეტარიატი და გლეხები გამოდიან ქუჩებში, სწორედ ის ნაწილი ყოფილი ინტერნაციონალისა, რომელმაც 1914 წელს დალუპა იგი და მტერთა ბანაკში გადავიდა, დღესაც მიდის შავრაზმელებთან ერთად მუშების წინააღმდეგ.

საქართველო და რუსეთი

ერთი რამ მინდა კიდევ გავახსენო სეითს, საქართველოს დამოუკიდებლობაზე და მისი ჩამოშორება რუსეთიდან. მაშინ, როდესაც რუსეთის მთავრობაში შედიოდა ირაკლი წერეთელი, როდესაც სრულიად რუსეთის ცაკის თავმჯდომარე იყო კარლო ჩხეიძე, მაშინ ხომ არ აყენებდა საქართველოს სოც. დემ. საკითხს საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ამბობენ, სეით დევდარიანმა სთქვაო, თუ ოდესმე რუსეთში დემოკრატიულმა რეჟიმმა გაიმარჯვაო და დამფუძნებელი კრება იქნა მოწვეული, მაშინ ჩვენ უკანვე დაუბრუნდებით რუსეთსო. თქვა ეს თუ არა —არ ვიცი, მაგრამ ამბობენ რომ .. (ს. დევდარიანი: დაახლოვებით ასე ვსთქვი). დაახლოვებით ასე იყოლ. რატომ მოხდა, რომ თუ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ივლისში, აგვისტოში არ შეიძლებოდა ლაპარაკი, რატომ მაინც და მაინც საჭირო შეიქნა ეს ოცდა ხუთი ოქტომბრის შემდეგ და რათ მოხდა, რომ ამის შემდეგ ჩვენ შევიქმენით საქართველოს მოღალატენი და ისინი კი საქართველოს მოტრფიალენი.

კიდევ მე მინდა გავახსენო ს. დევდარიანს. მგონი მოსკოვში მარიამობისთვეში იყო თათბირი, სადაც გამოვიდა აკაკი ჩხენკელი და ბრძანა: რუსეთის მთლიანობას მოელის საფრთხე ბოლშევიკებისგანო, მაგრამ ილოდეთ, რომ ჩვენი საქართველო თავრიზის ციხე შეიქნება რუსეთის დასაცავათო. ხედავთ რა მაგარი ყოფილა საქართველო, რუსეთს იცავს. მერმე, როდესაც ფინლიანდიამ თავის უფლებაზე ლაპარაკი შექმნა, იქ გაგზავნეს ევგენი გეგეჭკორი— ირაკლი წერეთლის და კერენსკის მთავრობამ. ე. გეგეჭკორმა მიიყვანა ჯარი, შემოარტყა ის პარლამენტს, მიაკრა ბეჭედი დარბაზს და დაბრუნდა უკან. (დარბაზში სიცილია და ტაში) რატომ მოხდა, რომ იმ ადამიანებმა, რომელნიც რევოლიუციის შემდეგ დაბრუნდნენ რუსეთიდან საქართველოში მთელი თავისი მოქმედება აგიტაცია დაამყარეს ეროვნულ ნიადაგზე. რათ მოხდა ასე? ასე მოხდა იმიტომ, რომ მენშევიზმმა დაჰკარგა კლასობრივი ნიადაგი და შეიქნა კონტრ-რევოლიუციის პარტია, როგორც ეს იძულებულია სთქვას დღეს ს. დევდარიანმა ეხლა აგვიხსნას ს. დევდარიანმა, რომელი პროლეტარული და კლასობრივი ინტერესი მოითხოვდა, რომ აქ ყოფილიყო სამი წლის განმავლობაში ყველა შავრაზმელი გამოქცეული რუსეთიდან, რომ აქედან გაეგზავნათ იარაღი დაღესტანში, რათა იქ მოეხდინათ აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. რომელი ინტერესი პროლეტარიატისა მოითხოვდა რომ დარიალის ხეობაში ყოფილიყო გერმანიის ჯარი.

აქ აშკარა პასუხია საჭირო და ეს პასუხი კი ასეთია: მენშევიზმი თავიდანვე იყო წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგია და როდესაც დასდგა განსაცდელის დღეები, როგორც დიდი იმპერიალისტური ომი და შემდეგ დიდი რევოლიუციები—მენშევიკებმა მუშათა კლასის მოღალატეთა ბანაკში ამოყვეს თავი და სხვანაირად არც შეეძლოთ მოქცეულიყვნენ. ასეთია კლასობრივი ბუნება მენშევიზმისა. ასეთ შეფასებამდე ჯერ ვერ მისულა ს. დევდარიანი და მივა თუ არა არც ვიცით. მისი მოხსენება ამ მხრივ ბევრს კარგავს მსმენელი ვერ გამოიტანს ს. დევდარიანის მოხსენებიდან იმას, თუ რა უნდა აკეთოს მან, როგორ იმოქმედოს.

ამხ. ფარნიევმა კიდეც უთხრა: „შენ მამალხონიშვილო, არც ბოლშევიკი ხარ არც მენშევიკი, არც მეორე ინტერნაციონალს ემხრობი არც მესამეს, მაშ ჩვენ რა გავაკეთოთ —ამაზე გვინდა პასუხი"-ო. ს. დევდარიანი უპასუხებს ამაზე, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, ჯერ კიდევ არ ვიცით რანაირ ტაქტიკას აწარმოებს მომავალში. წინა კრებაზე უფრო გარკვევით სთქვა: აქამდის კომუნისტური პარტია აწარმოებდა რევოლიუციონურ პოლიტიკას, მისი მუშაობა მოქმედი იყო, მაშინ როდესაც მეორე ინტერნაციონალი, რომელსაც აწერებელი წევრები ჰყავს, არაფერს აკეთებდა. მესამე ინტერნაციონალი კი მოქმედია, მაგრამ მომავალში რას გააკეთებს არ ვიცით. ეს დაუკავშირა იმას, რომ ეხლა რუსეთი იცნეს და ამის შემდეგ რუსეთმა უნდა დაანებოს თავი დასავლეთ ევროპაში სამოქალაქო ომების ხელის შეწყობას, დასავლეთ ევროპაში აჯანყებების მოწყობას. ამის გამო შეიძლება შესცვალოს ტაქტიკა მე-3 ინტერნაციონალმა და სხვა ტაქტიკას დაადგეს შეიძლება დაიშალონ მეორეც და მესამე ინტერნაციონალი და მათ მაგივრათ ერთი ინტერნაციონალი დაარსდესო. შეიძლება სარწმუნოდ ამ ახალ ინტერნაციონალს მესამე ინტერნაციონალი ჩაედოს და სხ.

რასაკვირველია, ყველაფრის ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ თუ შენ პოლიტიკური მოღვაწე ხარ, მოქმედება გინდა და არა „წყლის ნაყვა" —ასე მსჯელობა შეუწყნარებელია. ასეთი მსჯელობა მუშათა კლასს მხოლოდ და მხოლოდ დიდ ვნებას მოუტანს და მეტს არაფერს. დღეს ჩვენ ბრძოლის ქარცეცხლში ვართ და ვისაც სურს პროლეტარიატს სარგებლობა მოუტანს—მას მამლეტობა არ შეშვენის.

კომინტერნის პოლიტიკა

გვაქვს თუ არა რამე საბუთები იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ჩვენი პოლიტიკა ჩვენი ცნობის შემდეგ. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა კომინტერნის უკანასკნელი მოწოდება გერმანიის პროლეტარიატის მიმართ, სადაც აშკარათ არის ნათქვამი, რომ გერმანიის პროლეტარიატის წინაშე კვლავინდებურათ სდგას ამოცანა შეიარაღებული აჯანყების და ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა. ამნაირათვე აყენებს ამხ. ზინოვიევი კითხვას თავის წერილში: „К пятилетию Коминтерна".

თქვენ იცით რანაირათ შეხვდა კომუნისტური ინტერნაციონალი და ჩვენი პარტია წარსული წლის ოქტომბრის დღეებს, როდესაც ჩვენ მოველოდით გერმანიის რევოლიუციას. ერთ წელიწადზე მეტია რაც გვიცნო გერმანიის მთავრობამ და ამან ვერ შეაჩერა ვერც კომინტერნი, ვერც შეაჩერა ჩვენ. კომინტერნი აშკარათ ღებულობდა მონაწილეობას გერმანიის რევოლიუციის მზადებაში. ამასვე იმეორებს ზინოვიევი კომინტერნის მოწოდებაში, და ამას სწერს ის თავის წერილში (კომინტერნის ხუთი წლის თავის იუბილიეზე) ინგლისის ცნობის შემდეგ. როგორც ხედავთ ს. დევდარიანს არ აქვს არავითარი საბუთი სხვანაირათ იფიქროს კომინტერნის პოლიტიკაზე.

დიდი შეცდომა არის, როცა ამბობს ს. დევდარიანი კომუნისტური ინტერნაციონალი რუსეთის კომპარტია არის და მეტი არაფერიო. მეორე ინტერნაციონალზე შეგვიძლია, გვეთქვა, დღევანდელზე კი არა წინანდელზე, რომ მეორე ინტერნაციონალი არის გერმანიის სოც. დემოკრატიისა და მეტი არაფერი. იყო ერთი დიდი ხანა, თითქმის ეპოქა, როდესაც თითქმის მთელ დედამიწის ზურგზე სოციალისტურ მოძრაობაში გერმანიის სოც.-დემოკრატიას ეკუთვნოდა ჰეგემონია და ის ხელმძღვანელობდა მეორე ინტერნაციონალსაც. მაგრამ თქმა იმისა, რომ მაშინ მეორე ინტერნაციონალი იყო მხოლოდ გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტია, ყოვლად შეუძლებელია.

რასაკვირველია, რუსეთის კომუნისტური პარტია დღეს დიდ როლს თამაშობს კომუნისტურ ინტერნაციონალში. კომუნისტური ინტერნაციონალის ბაზა არის საბჭოთა კავშირი. ეს ასე არის, ამას არ უარვყოფთ, მაგრამ ამას გარდა კომუნისტურ ინტერნაციონალში შედის 52 სახელმწიფოს წარმომადგენელი პარტიები. ეს მასხრობა არ არის. თითქმის ნახევარი მილიონი წევრი ჰყავს გერმანიის კომპარტიას. საფრანგეთის კომ. პარტია უფრო ძლიერია ვიდრე იქაური სოციალისტური პარტია. მარტოვი სწერდა, რომ რუსეთის კომუნისტური პარტია —ეს არის გლეხური პარტია, მაგრამ გერმანიის კომუნისტური პარტია ნამდვილი პროლეტარული პარტია არისო.

ეროვნული საკითხი ჩვენში

კიდევ ორი სიტყვა და გავათავებ კიდეც. სეითი ამბობს: „ქართველი კაცი საქართველოში უკანონო შვილად არ უნდა გრძნობდეს თავსო". რა საბუთი აქვს ს. დევდარიანს, როცა ასე აყენებს კითხვას? ნუ თუ მას უნდა სთქვას, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში ქართველი კაცი უკანონო შვილად გრძნობს თავსო. და თუ ასე ფიქრობს აქვს ამის ოდნავაც მაინც დასამტკიცებელი საბუთი?

როდესაც თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ქართველ ერს, უნდობლობის თვალით უყურებთ ამის მაგალითები უნდა მოგვიყვანოთ. სად არის ეს მაგალითები თუ უნდობლობის თვალით უყურებთ ქართველ ხალხს, ეს უნდა გამოიხატოს ან იმაში, რომ ჩვენ მას ან ჯარში არ უშვებთ, ან სამსახურში არ უშვებთ, ან რაღაცა ამისთანაში უნდა გამოიხატოს ეს. როცა მენშევიკებს ვდევნით, ეს ქართველი ერის დევნა არ არის, როცა ჩოლოყაშვილს ვდევნით ეს ქართველი ერის დევნა არ არის. რაღა ფიქრობთ, რომ ჩვენ ვდევნით ქართველებს, საიდან ამტკიცებთ ამას. სეით დევდარიანმა სთქვა, რომ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში არ ყოფილა ერთი შეხედულება ეროვნულ კითხვაზეო მართალია წარსულში ჩვენ, მენშევიკები და ბოლშევიკები ეროვნულ კითხვას სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით. ჩვენ მაშინ არა თუ ფედერაციის მომხრე არ ვყოფილვართ, არამედ უბრალო ავტონომიის წინააღმდეგიც კი ვიყავით იყო დრო, როდესაც ფედერალისტებს „ჯვარზე ვაცმევდით" ავტონომიის მოთხოვნისათვის.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი და გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ აკეთებს ეროვნულ საქმეს ბოლშევიკური პარტია და მთავრობა.

ავიღოთ ციფრები და გადავხედოთ მას.

უპირველესად ყოვლისა შევეხოთ სწავლის საქმეს. ეს არის დამახასიათებელი კულტურისა. რა იყო მენშევიკების დროს და რა არის ეხლა?

ნიკოლოზის დროს სწავლობდნენ სასწავლებლებში 94.000 მოწაფეები.

მენშევიკების დროს—159 000.

ბოლშევიკების დროს 198 000. თითქმის—200.000 მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა 19 პროც.

მასწავლებელთა რიცხვი მენშევიკების დროს იყო 5808.

ჩვენ გვყავს—10.291.

ამბობენ, რომ ქართველებს არსად არ უშვებენო, მაგრამ ამ 10.291 მასწავლებელთაგან—8141 ქართველია, 2150—სხვადასხვა ეროვნებისა: სომხები, თათარი, რუსი. ამბობენ კი რომ საქართველოდან ქართველები გარეკეს და სომხები გაამატონესო.

ეხლა შევეხები სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებს. მენშევიკების დროს შრომის სკოლასთან არსებული საბავშვო ბაღი არ ყოფილა.

ჩვენ დღეს გვაქვს 700 (შვიდასი), საბავშვო სახლები.

მენშევიკების დროს იყო 5

ჩვენ გვაქვს 42 საბავშვო ბაღები.

მენშევიკების დროს იყო 2.

მუშათა ფაკულტეტები მენშევიკების დროს არ ყოფილა, ჩვენ დროს კი ამ ფაკულტეტებზე სწავლობს 1112 მუშა და გლეხი. აქედან 75 პროც. ქართველი, 25 პროც. სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი. ვერ იპოვით ისეთ მუშს, რომელმაც სთქვას, რომ გარდა ქართველებისა ნურავის ნუ ასწავლითო. ამას რასაკვირველია, არც ს. დევდარიანი იტყვის.

სამრეწველო სკოლები მენშევიკების დროს არც ერთი.

ჩვენ დროს— 3.

საქარხნო სკოლები მენშევიკების დროს არ იყო.

ჩვენ დროს—7.

მოკლე ვადიანი კურსები მენშევიკების დროს – 2.

ჩვენ დროს—10.

მოსწავლეთა რიცხვი ასეთი ტიპის სკოლებში არის—2,325. აქედან ქართველები—1 525. სხვა ეროვნებები—700.

ეხლა უმაღლესი სასწავლებლის შესახებ, სწორედ იმ უნივერსიტეტის შესახებ, რომელშიც თითქმის ამ უკანასკნელ ხანამდე ჩვენი მოწინააღმდეგები იყვნენ, სადაც ნაციონალური სხამი ყველაზე ღრმად იყო გამჯდარი.

მოსწავლეთა რიცხვი—სახელმწიფო უნივერსიტეტში მენშევიკების დროს იყო—1680

ჩვენ დროს—4690

პოლიტეხნიკუმში მენშევიკების დროს—403

ჩვენ დროს—2,364.

სახელმწიფო კონსერვატორიაში მენშევიკების დროს – 725.

ჩვენ დროს—1,545.

სამხატვრო აკადემიაში მენშევიკების დროს არც ერთი.

ჩვენ დროს 164.

სულ ყველა უმაღლეს სასწავლებლებში მენშევიკების დროს—2,814.

ჩვენ დროს—8,765. ამაში ქართველები მენშევიკების დროს – 1,911, სხვები—903

ჩვენ დროს ქართველები—5,891. სხვები—2,882 სტუდენტების რიცხვი გაიზარდა 69 პროც.

პროფესორები და ლექტორები მენშევიკების დროს—127, ჩვენ დროს —425

მე ვფიქრობ, რომ ეს საკმარისია.

შემდეგ ამბობენ, რომ აქედან გაზიდეს ყველაფერიო. ამბობდენ აქედან რუსეთში გაიტანეს ტრამვაის ვაგონებიო. მართლა კი რუსეთში არამც თუ არაფერი გატანილა, არამედ ირაკლის და ვახტანგის მეფის გვირგვინები უკან ჩამოვიტანეთ. (ტაში).

თუ მენშევიკების სახელმწიფო ბიუჯეტის, მხოლოდ 4,7 პროც. ხარჯავდენ სწავლა-განათლებაზე, ჩვენ ვხარჯავთ ჩვენი ბიუჯეტის 55 პროცენტს. ჩვენ არამც თუ ქართველს ერს უნდობლობის თვალით არ უყურებთ, არა თუ ქართველ მუშას და გლეხს უკანონო შვილად არა ვსთვლით, არამედ ქართველი მუშა-გლეხი არის ბატონ-პატრონი საქართველოსი.

კიდევ ორიოდე ციფრი, რომლებიც ახასიათებენ თუ რანაირად არ ვუშვებთ საქართველოს დაწესებულებებში ქართველებს.

ცეკაშჩერში: 152 ქართველი, 35 სომეხი, 22 რუსი, დანარჩენი ეროვნების 8 კაცი.

ფინანსთა კომისარიატში: ქართველები 596, სომხები 16, რუსები 18, დანარჩენი 6

შრომის კომისარიატში: ქართველი 81, სომეხი 23, რუსი 21.

სოც. უზრ. კომისარიატში: ქართველი 28, სომეხი 11, რუსი 11.

შინაგან საქ. სახ. კომისარიატში: ქართველი 58, სომეხი 4, რუსი 8.

განათლების კომ. ქართველი 62, სომეხი 14, რუსი 9

სახ. კომ. საბჭოში: ქართველი 67, სომეხი 16, რუსი 22.

იუსტ. კომისარიატში: ქართველი 169, სომეხი 58, რუსი 41.

მ.წ. მოქ. კომ. ქართველი 235, სომეხი 26, რუსი 60.

[illegible] სახ. ქართველი 13, სომეხი 18, რუსი 6.

ჯანმრთ. კომისარ. ქართველი 160, სომეხი 34, რუსი 55.

მუშ. გლეხ. ინსპექციაში: ქართველი 28, სომეხი 2, რუსი 6.

ც. ა. კ.-ში: ქართველი 8, სომეხი 0, რუსი 0

როგორც ვხედავთ, ეს ციფრები არ ამტკიცებს იმას, რომ ვითომცა საბჭოთა საქართველოში ქართველი კაცი „უკანონო შვილი" იყოს (ხმა: რკინის გზაზე?) ტფილისის კვანძში — ქართველები 5.325, სომხები 1840, აზერბეიჯანლები 96, რუსები 2534, დანარჩენი 697. ტფილისის კვანძში შედის ამიერ-კავკასიის სამართველოც. ხაშურის კვანძში ქართველები — 2982, სომხები—37, რუსები 118, დანარჩენი—63. სამტრედიის—ქართველები 2,831 სომხ.—5, რუს—159, დანარჩ. — 12. ბათომის - ქართვ —1 111 სომხ — 23, რუს.—243, დანარჩენი 56 სულ ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე არის 28000 მუშა მოსამსახურე. ამათში ქართველობა არის 13000 (ხმა: დაბალი მოსამსახურეები) მე ვაცხადებ რომ თუ მომიყვანთ მაგალითს, რომ ქართველები, რომელთაც შეუძლიათ შესრულონ უმაღლესი სამსახური და მათ კი იძლევენ მარტო კონდუქტორებად და „სტრელოჩნიკებად", ჩვენ მზათ ვართ სასტიკი სასჯელი დავსდოთ დამნაშავეს.

ხმა: (საქმის წარმოება რა ენაზე ხდება?).

საქმის წარმოება ცენტრალურ მმართველობაში არის რუსულ ენაზე. საქართველოს ხაზზე გადაწყვეტილია გავაქს, და საჭირო ბრძანებაც გაცემულია საქმის წარმოება ხდებოდეს ქართულ ენაზე. (ტაში)

სეით დევდარიანი ცდილობს შეგვიყვანოს შეცდომაში. მან მოხსენების დროს სთქვა, რომ თითქოს ქართველები იძულებით გადაგვყავდეს სომხეთში და აზერბეიჯანში, და აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან კი გადმოგვყავდეს ხალხი აქ.

მე ვეკითხები მას, არის თუ არა ასეთი მაგალითები. შესაძლებელია ასეთი მაგალითი მოხდეს. საქართველოში ინტელიგენცია მძლავრია, რკინისგზის მოსამსახურეები ბევრია. მე მახსოვს ნიკოლოზის დროსაც აზერბეიჯანის რკინის გზა სავსე იყო ქართველებით. და შეიძლება დღეს როდესაც გვეჭირდება ნაკლები, ვიდრე გვყავს მოსამსახურე, ვინმე წავიდეს და იმსახუროს აზერბეიჯანში. დაუშალოთ? აუკრძალოთ ეს?

ამბობენ ქართველები მხოლოდ წვრილი მოსამსახურენი არიან რკინის გზაზეო. რკინისგზის უფროსი არის მუშა პოხლდივი, მისი თანაშემწე ბერიძე. მართველობის წევრი ფაცხლაური.

ავიღოთ ეხლა ხაზი დაწყებული ტფილისიდან ბათომამდე და ფოთამდე. რამდენს ნახავს სადგურის უფროსს არა ქართველს. (ხმა: სულ ქართულ ენაზე არის საქმის წარმოება) მით უკეთესი.

ერთი კიდევ მინდა ვსთქვა. სეით დევდარიანი ამბობს სამი წლის წინად ხალხი იყურებოდა იქითკენ საზღვარ გარეთისაკენ, და დღესაც იქით იყურებაო. მე მგონია, რომ ამაში ძალიან სცდება სეითი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხალხი, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ, საქართველოს ყველა კუთხეებში, საფრანგეთს და ინგლისს კი არ უყურებს, უყურებს თავის მიწა-წყალს, თავის მშვიდობიან ცხოვრებას, საბჭოთა ხელისუფლებას და საბჭოთა კავშირს. და თუ დადგება კითხვა საით იყურება ქართველი გლეხი, ჩვენ აშკარად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქართველი ხალხი იყურება იქითკენ, საბჭოთა კავშირისაკენ და მოხარულია, რომ დღეს იმასთან არის ერთათ, ვისთანაც ხელი ხელ ჩაკიდებული 20 წლის განმავლობაში იბრძოდა ნიკოლოზის წინააღმდეგ.

ამ სამი წლის განმავლობაში ქართველი მუშა და გლეხი დარწმუნდა იმაში, რომ ნოე ჟორდანიას გზა დამღუპველი იყო ქართველ ხალხისათვის.

სეით დევდარიანმა სთქვა, ვერავინ ვერ დაიცავს ისე როგორც მუშათა კლასი ერის ინტერესებს. მე ვამბობ, რომ არავის არ შეუძლიან საქართველოს აღორძინებისათვის, ეკონომიურ და კულტურულ ეროვნულ დარგში იმუშაოს ისე თავდადებით, როგორც ეს შეუძლია მუშათა კლასს და შეეძლია ჩვენ, კომუნისტურ პარტიას (ტაში).

ოპერა მუშებისთვის ლენინის სახელობის კლუბში

ამჟამად ამხ. ლენინის სახელობის კლუბში (ყოფილი მ. ც. კლუბი) სისტემატიურად იდგმება ოპერები სახელმწიფო ოპერის მსახიობთა შემადგენლობით, რაც ღირსშესანიშნავია მუშათა კლუბში. მუშები და კლუბის წევრნი კმაყოფილნი არიან ამგვარი წარმოდგენებით. სამშაბათს 11 მარტს დაიდგა ბიზეს ოპერა „კარმენი". წარმოდგენას ბლომად დაესწრო ხალხი, უმთავრესად მუშები და მოსამსახურენი, რადგანაც ფასები მათთვის ხელმისაწვდომია. ოპერა შესრულებულ იქნა კარგად, განსაკუთრებით კარგი იყვნენ სტრიჟენოვის ქალი (კარმენი), ზავალოვი (დონ ხოზე) და დემიანენკო (ცუნიგა). დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდნენ. ბალეტი ღირსეულად იყო შესრულებული, ლეონოვისამ და სერგეევმა აღტაცებაში მოიყვანეს საზოგადოება თავისი მოხდენილი ცეკვით. მუშები კმაყოფილნი და ნასიამოვნები დაიშალნენ. მადლობის ღირსია კლუბის ადმინისტრაცია, რომ ხელს უწყობს მუშების ესთეტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას

მუშკორი მელითონე.

კათალიკოსი ამბროსის გასამართლების ირგვლივ.

ხუთშაბათს, 13 მარტს, პლეხანოვის თეატრთან შეიკრიბნენ ბევრი მუშები ჩერქეზიშვილის [illegible] მთლად გაჭედილი იყო მუშებით, რომელთაც სურდათ დასწრება სასამართლოს სხდომაზე, საუბედუროდ პლეხანოვის თეატრი ძლიერ პატარა ხდება ამ აუარებელ მუშებისთვის და ადმინისტრაცია იძულებულია გარედ გააჩეროს ნაწილი მუშებისა, რომლის მოთავსებაც შიგნით შეუძლებელია. მოდიან აგრეთვე მწყობრად ყოველ დაწესებულებებიდან მუშები. თან მოაქვთ პლაკატები სხვადასხვა წარწერით, მაგრამ მათაც გარეთ ცდა უხდებათ. დაახლოვებით შვიდ საათზე ქუჩაში იხსნება კრება. სიტყვას ამბობს სასამართლოს წევრი, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება არავის არ მისცემს ნებას სისხლით მოპოვებულ თავისუფლების მოსპობისას. ხოლო თუ კი ვინმე ამას შეეცდება, მათ წინააღმდეგ მუშებიდან ამორჩეული სასამართლოს მიერ იქნება მიღებული უსასტიკესი ზომები. ორატორი სიტყვას ამბობს რუსულ და ქართულ ენაზე, ჩვენი მუშები ტაშის ცემით აჯილდოებენ ორატორს და მოითხოვენ ერთხმად დამნაშავეებთან ერთად დამცველების დასჯასაც.

მუშკორი ტყავ.

ამხ. ლენინის სახელობის მუშათა კლუბში

ა. წ. 7 მარტს ამხ. ლენინის სახელობის მუშათა კლუბში (არსებული ტყავ ტრესტის წარმოებებთან ორთაჭალაში) გაიმართა დიდი უფასო საბავშვო საღამო ფართო პროგრამით ამხ. ლენა ბასტიანოვის ხელმძღვანელობით რუსულ და ქართულ ენაზე.

რუსულად წარმოადგინეს „დედოფალი ფეია" და „მოგზაური", ქართულად „ია და ნიალი", მონაწილეობას ღებულობდნენ, განსაკუთრებით, ხარფუხში მცხოვრები მოწაფე ქალ-ვაჟნი.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ევროპიული და აზიური ცეკვა-თამაში. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობდა ხეტოჩკა ანასტასოვა (8 წლისაა), ნორა შათირიშვილი (9 წლისაა) მოხდენილ და ცქრიალა თამაშით.

აგრეთვე შესრულებულ იქნა სხვადასხვა სიმღერები ნიჭიერი თამაშით განცვიფრებაში მოყვანილი საზოგადოება ტაშის ცემით აჯილდოვებდა მოთამაშეთ.

დარბაზი გაჭედილი იყო მშრომელი ხალხით. მადლობის ღირსია ამხ. ლენა ბასტიანოვისა და აგრეთვე ქეთო შათირიშვილი. წარმოდგენა გათავდა 12 საათზე.

სასურველია, რომ ასეთი წარმოდგენები იმართებოდეს დილაობით 11 ან 12 საათიდან უფრო კმაყოფილი დარჩებიან ბავშვები და ისიამოვნებენ, ვიდრე ღამის 12 საათამდე.

ინფორმატორი მუშა [illegible].

ასეთ ბიუროკრატიულ თვითნებობას ბოლო უნდა მოეღოს.

(შრომის კომისარიატის ყურადღებოდ).

მე ვმსახურობდი მიწათმოქმედების კომისარიატში, სადაც ჩემს დანაკისრს საქმეს ვასრულებდი ყოველთვის პირნათლად.

ზემოხსენებულ კომისარიატის საქმეთა მმართველი ჭილაშვილის წყალობით, მესამეჯერ არის, რომ შემცირებაში მოვყევი. პირველ შემცირების დროს, პროფკავშირის გამოძიებით და ცნობით ვიქენ დაბრუნებული კვლავ ჩემს ადგილზე. საქმეთა მმართველმა მაინც არ დამიწერა მოთხოვნილება შრომის ბირჟაში. მხოლოდ მეორე მოწერილობის შემდეგ კავშირის მიერ, როგორც იქნა ვიქენ აღდგენილი ჩემს ადგილზე. ეს მოხდა 1922 წ. პირველ ნოემბერს მეორეჯერ კვლავ გამამხადა მან შესამცირებლად, მაგრამ ბრძანებაში გატარებამდე მოვასწარი და ისევ დამტოვეს. მესამედ, ამა წლის იანვარში ისევ განმეორდა ჩემი შემცირების ისტორია. მოტივად ამისა იყო ჩემი ქმრის ყოლა. ქმრიანი ქალები სხვებიც მსახურობენ; მაშ, დაითხოვონ ყველა. ბ-ნი მმართველი ჩემზე პირადი შურით არის აღშფოთებული და მიტომ მიწერია ამას. მე მოვითხოვ გამოკვლევას ჩემი შემცირებების ისტორიისას, იქნეს ჩემი გარემოებებიც გაგებული და ნუ იქნება მშრომელი ქალის პიროვნება შელახული, თუ ამის ღირსი არ ვიყო.

თანამშრ. ქალი ელ. მურაკაშვილი.

ამხ. როზა ლიუქსემბურგის სახელობის ქარხანაში.

რამდენიმე კვირის უკან გაფუჭდა ორთქლით გამთბობი მანქანა. ბევრი ეცადნენ, მაგრამ მისი გაკეთება არ იქნა. მუშები და მუშა-ქალები დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ სიცივის გამო. მუშების იმედები დამყარებული იყო ადგილკომზე. ადგილკომმა მიმართა დირექტორს, რომ მას სათბობი მანქანა გაეკეთებინა; დირექტორმა მიიღო სათანადო ზომები და სთხოვა თამბაქოს ტრესტის გამგეობას, რომ თუ სათბობი მანქანა არ იქნებოდა მოწყობილი ტრესტის მიერ, მაშინ ნება მიეცა მისთვის, დროებით უბრალო ფეჩები დაედგათ და მუშები უზრუნველეყოთ ამ ცივ ზამთარში სიცივის და ავადმყოფობისგან. ეს ასეც მოხდა, ფეჩები უკვე მოწყობილია. ამ ქარხანაში გვყავს ერთი ინჟინერი მოქ. საბაევი, რომელიც ცოტა ყურადღებას აქცევს ჩვენს ქარხანას. მაგ. დიდიხანია მანქანების ნაწილები: „რემნები", დინამოს შეკეთებას მოითხოვენ. ამაზე ჩვენმა მუშებმა მიაქციეს ინჟინერის ყურადღება რამდენიმეჯერ, მაგრამ ის არავითარ ზომებს არ ღებულობს ამ დეფექტების გამოსასწორებლად. ამით კი წარმოების საქმე ფერხდება. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება და მანქანების შეკეთება, რომ ჩვენი წარმოება აღდგეს და იდგეს თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

ადგილობრივი მუშა უნგიაძე.

როდის იქნება?

(შრომის კომისარიატის და სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს ყურადღებოდ).

ს. მ. უ. ს-ის სახ. საალმშენებლო განყოფილების ყოფილი დაბალ-ხარისხის თანამშრომლები მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ა. წლის ოქტომბრის და ნოემბრის ჯამაგირების აქამდე მიუღებლობის გამო.

სრულიად უნაყოფოდ სჭირდებათ ამ უკანასკნელთ აქეთ-იქით ხეტიალი, თავის კუთვნილი ხელფასის სთხოვნილად მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამათი თხოვნის მსმენელებმა კარგად იციან, თუ რა გაჭირვებულ მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებიან უჯამაგიროდ დარჩენილნი, მათ მაინც ვერსად ვერ ჰპოვეს ამხანაგური თანაგრძნობა.

რამოდენჯერმე მიცემული მათ მიერ განცხადებები გადადის ხელიდან-ხელში; ადგილკომიდან ალმშენებელთა კავშირში, იქიდან მოხსენებულ განყოფილების სალიკვიდაციო კომისიაში და იქიდან კი, როგორც შესაძლებელია ვიფიქროთ, არქივში, რადგან ამ უსამართლობას, როგორც სჩანს, ბოლო აღარა აქვს.

საყურადღებოა ის, რომ თვით მაღალ ხარისხის მოსამსახურეებმა მიიღეს თავთავისი და როგორც ჯამაგირები, ისე სალიკვიდაციო ჯილდოთ წ. წილსვე დაკმაყოფილებულნი დაიშალნენ.

რა მიზეზია და რა ცოდვა აწევთ დაბალ ხარისხის მოსამსახურეებს ს. მ. უ. ს. სახ. საალმშენებლო განყოფილებისა [illegible] თვით შრომის კომისარიატმა გადასწყვიტოს - და გამოარკვიოს.

ინფორმატორი [illegible].

მელითონეებში

ა. წ. 8 მარტს. საერთაშორისო მუშა-ქალთა დღესასწაულში მელითონე მუშა-მოსამსახურე ქალებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. სრულ 11 საათზე მუშა-მოსამსახურე ქალები მუშების ცოლებთან ერთად შეიკრიბნენ „26 კომუნარის" სახელობის სამექანიკო ქარხანაში. მუშაობის შემდეგ აქედან მწყობრად, წინ დროშით, და ლოზუნგებით გამგზავრნენ ჩერქეზოვის ქუჩით მეორე რაიონულ კომიტეტისაკენ, სადაც შეუერთდნენ მეთამბაქოე მუშა-ქალებს, იქიდან კი საერთო პროცესიით მოვიდნენ თავისუფლების მოედანზე, სადაც მოისმინეს მოხსენება პარტიულ ამხანაგებისა. საღამოთი ჩვენი მუშა-ქალები იყვნენ თეატრებში და კინოებში. მელითონე მუშა-ქალები გამოვიდნენ ამ დღის ლოზუნგით „მუშა-ქალი პარტიაში"!

გაუმარჯოს საერთაშორისო ქალთა დღეს!

გაუმარჯოს მელითონე მუშა-ქალებს!

მუშკორი მელითონე

რაშია საქმე?

(ქალ. ელმაკომის ყურადღებოდ)

ბევრი ხანი არ არის მას აქეთ, რაც გაზეთ „კომუნისტი"ს № 54-ში. მოთავსებული იყო წერილი—სათაურით: „მუშათა უბანში მაინც უნდა მოვსპოთ ქურდობა". ჩვენ იქ ვწერდით, რომ ავლაბარში ბოძიდან ხშირად იკარგება ლამპები. ეს არის იმის ბრალი, რომ სადგურები „ეკონომიას" ეწევიან და ღამის 2 საათზე აქრობენ ლამპებს ქუჩებზე. და აი სწორეთ ამ დროს ხდება ეს საზიზღარი საქმეები. ბოროტმოქმედი პირები იპარავენ ლამპებს და ტეხავენ სახლებს. ჩვენ ვწერდით ელმაკომს, რომ სადგურებიდამე არ გაჩერებულიყვნენ რათა ლამპები ვერ მოხსნან. მაგრამ ვერ შესრულდა დღემდის ჩვენი თხოვნა. თუ ღამის 2 საათზედ წინეთ ქრებოდა ლამპები და დილის 4-ზე ინთებოდა, ახლა კი (თითქოს განგებ.) ორზედ ქრება და დილით სულ აღარ ინთება. ჩვენ, მუშები, ვსთხოვთ ელმაკომს, რომ მან რამე ზომები მიიღოს ამ არასასურველ მოვლენის მოსასპობად.

მუშკორი ა. ჯ.

მუშათა ქრონიკა

— შუშა მელითონეთათვის. ახლახანში ლითონის განყ. ქარხანა-სახელოსნოების მუშებს დაურიგდებათ შუშა—სუფილისამებრ შეღავათიან პირობებით.

— მუშათა ცენტრალ. კლუბში. დაიწყო ქართული წარმოდგენები— ქართული დრამატიული წრის მიერ რეჟისორ ივ. კობახიძის ხელმძღვანელობით. კვირაში ერთხელ იდგმება საოპერო წარმოდგენები სახელმწ. ოპერის მსახიობთა მიერ დროგამოშვებით იდგმება სომხური პიესებიც.

მეცხვარეთა კავშირის „მწყემსი"-ს ირგვლივ

1920 წლიდან საქართველოში არსებობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია მეცხვარეებისა „მწყემსი"-ს სახელწოდებით. აღსანიშნავია, რომ საერთოდ რუსეთში მატყლის დამზადებაში ამიერკავკასიაც თამაშობდა განსაკუთრებულ როლს.

1909–1913 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად მზადდებოდა შემდეგი:

საქართველოში	98.136 ფუთი.
აზერბეიჯანში	52 000 „
სომხეთში	30,958 „

როგორც ციფრებიდან სჩანს საქართველო თვალსაჩინო როლს ასრულებდა მატყლის შეგროვებაში. აგრეთვე აღნიშნულ ციფრებიდან გარკვეულია ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმ ორგანიზაციას, რომელსაც მოუხდება მუშაობა ამ დარგში საქართველოს მასშტაბით.

მიუხედავათ ამ ორგანიზაციის დიდი მნიშვნელობისა არა საიმედო ხელმძღვანელების გამო „მწყემსი" ყოველთვის კრიზისს განიცდიდა. ამავე მიზეზით 1923 წელში „მწყემს"-ს გამოეყო „ბირლიკი".

წევრები მხოლოდ ქაღალდზე ითვლებოდენ, ხოლო მეცხვარეობა ალალბედზე იყო მიტოვებული. რა იყო ყოველივე ამის მიზეზი? რამ გამოიწვია ასეთი უნდობლობა მეცხვარეებისა თავისი ორგანიზაციის მიმართ? ამის მიზეზი ის იყო, რომ შეგროვებულ მატყლის ფულს მეცხვარეთა ამხანაგობის გამგეობა არ აძლევდა და მატყლის ჩამბარებელს; უკმაყოფილო მეცხვარე რასაკვირველია, მეორედ ამ ორგანიზაციას აღარ ჩააბარებდა და ძალაუნებურად უნდა მიეყიდა კერძო ვაჭრისათვის.

ძველი გამგეობა, რომელიც მუშაობდა იმდენად იყო მეცხვარეობის განვითარებაში დაინტერესებული, რამდენადაც იგი იყო მათი ჯიბეების სასარგებლო; გამგეობას, რომ წელი გაემაგრებინა, დიდ ავანსებს აძლევდა ზოგიერთ მეგობარ მეცხვარეებს, ორგანიზაციის ირგვლივ მოკალათებული იყო ნათესაობა და ძმობიჭობა. საქართველოში ცნობილმა აწ განსვენებულ ეროვნულ-დემოკრატიულ „პარტიის" „ლიდერმა" ბატონ შ. ქარუმიძემ გაიტანა 1921 წელში ევროპაში 8.000 ფუთი მატყლი, რომლის ღირებულება უდრის 11,000 მანეთს ჩერვონცებით.

ამ ბოროტმოქმედებათა შესახებ საქმე აღძრულია სასამართლოში.

ძველი გამგეობას ყოველთვის ახასიათებდა კუთხური და ეროვნული „პატრიოტიზმი", რამაც გამოიწვია ბორჩალოს მაზრის თათრების სავსებით ჩამოშორება.

როგორც სჩანს ასეთ დიდ ორგანიზაციის კრიზისი ყოველთვის იმითი ხასიათდებოდა, რომ მას არ ჰყავდა ხელმძღვანელი გამგეობა ისეთი შემადგენლობით, რომელიც მთელ თავის ენერგიას უდიდეს სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის განვითარებას მოანდომებდა.

მართალია 1923 წელში პარტიულმა ორგანიზაციამ მიაქცია ამ მოვლენას ყურადღება და ახლად არჩეულ გამგეობაში, რომლის არჩევნები მოხდა 25 ნოემბერს 1923 წელში გამგეობაში შევიდნენ პარტიულებიც, მაგრამ აქაც სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ ჩვენი ამხანაგების კეთილსინდისიერი მუშაობისა, რომლებმაც ფეხზე წამოაყენეს, „მწყემსი", საქმე მაინც შესაფერისად ვერ არის დაყენებული. ამის მიზეზი შემდეგია: საბჭო, რომელიც კონტროლს უწევს გამგეობას, არის არა საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი პირებისგან შემდგარი (საბჭოში ითვლება მხოლოდ კომუნისტი, უმრავლესობას კი ეროვნულ დემოკრატები და მემარჯვენე ფედერალისტები წარმოადგენენ). რასაკვირველია ასეთი შემადგენლობის საბჭო აუცილებლად ხელს შეუშლის გამგეობის მუშაობას. გამგეობის ორი წევრი არიან მემარჯვენე ფედერალისტები.

ამით სრულებითაც არ მინდა ამის თქმა, ვითომც, გარდა კომუნისტურ პარტიის წევრისა არავის ჰქონდეს უფლება იყოს ხელმძღვანელი ამა თუ იმ ორგანიზაციის, პირიქით, ჩვენ ვცდილობთ უპარტიო მასა ჩაებათ მუშაობაში, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ მივცემთ არავის იმის ნებას, რომ ჩვენი ამხანაგების წინააღმდეგ გასწიოს ისეთი პროპაგანდა, რომელიც პრინციპით არის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული.

ასე შეიძლება ითქვას, როდესაც ინტელიგენტი იტყვის მეცხვარეებს „არ მისცეთ კომუნისტებს ხმა არჩევნებში, თორემ რაც ცხვარი გყავთ ჩამოგართმევენო". რასაკვირველია მეცხვარეები ამას არ უწევენ ანგარიშს და სწორედ ამიტომაც ტფილისის რაიონის მეცხვარეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს გაწმენდა „მწყემსის" ორგანიზაციის.

და მართლაც ვისაც შესტკივა გული ჩვენს სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციის აღდგენისათვის იგი, არასოდეს ნებას არ მისცემს არავის რომ კუთხური პატრიოტიზმით დაავადმყოფებულმა ტფილისის ანდა სიღნაღის მაზრის მეცხვარეს მეჭთმე უწოდოს და ვინც ამას სჩადის შეგნებულათ, მას შეაქვს ორგანიზაციაში დეზორგანიზაცია და ასეთ პირებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი ორგანიზაციაში.

ერთი სიტყვით დღეს ყველა მშრომელი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე სდგას, მისი უმთავრესი მოვალეობაა აიღოს ხელში დიდი ცოცხი და გასწმინდოს მეცხვარეთა ამხანაგობის „მწყემსის" ორგანიზაცია.

ამიტომ ყველა მეცხვარეების მოვალეობაა მომავალ ყრილობაზე დაკვირვებით ჩააბაროს ამხანაგობა „მწყემს"-ის ხელმძღვანელობა იმ ხალხს, რომელნიც სულით და გულით მათთან ერთად იქნებიან და მთელ ენერგიას შეწირავენ ამ სოფლის უდიდეს დარგის განვითარებას.

გრ.

ახალი საბიუჯეტო შენაწყობი

(საუბარი სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს მდივანთან)

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს მდივანმა განაცხადა შემდეგი:

ეხლახან მიღებულია საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება საბიუჯეტო შენაწყობის განსაზღვრის შესახებ ხელფასის ჩერვონცებზე გადაყვანის დროს და ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ამიერ-კავკასიისათვის.

მუშა-მცხოვრებლების საზრდოობის პირობები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად განსხვავდება საზრდოობის საერთო საკავშირო ნორმებისაგან. ამჟამად დაამთავრა თავისი მუშაობა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ გამოყოფილმა კომისიამ, რომელიც არკვევდა საბიუჯეტო შენაწყობის ნორმას.

ახალ საბიუჯეტო შენაწყობის პროდუქტების შემადგენლობა გადასინჯულია სწორედ ადგილობრივ პირობების მიხედვით, ასე, მაგალითად, ჭვავის ფქვილი შეცვლილია ადგილობრივ ხორბლის ფქვილით, შენაწყობში შეტანილია მთელი რიგი ისეთი პროდუქტებისა, რომლებიც საერთო-საკავშირო შენაწყობში არ არის აღნიშნული: ყველი, ბრინჯი და სხვა.

შენაწყობის შემდეგი გადასინჯვა ჩვენ მიგვაჩნია შესაძლებლად ამიერ-კავკასიაში მუშათა საზრდოობის დამატებით გამოკვლევის შემდეგ. საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულების შემდეგი განსაზღვრა უნდა გაგრძელდეს ძველებური წესით და მუშაობა უნდა აწარმოონ ადგილობრივმა, რესპუბლიკანურმა საინდექსო კომისიებმა. ფასები უნდა იქნას გამოანგარიშებული მხოლოდ და მხოლოდ ჩერვონცებით, ამასთანავე, რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მარტო კერძო ვაჭრობის ფასები არამედ იმ კოოპერაციის და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების ფაქტიური საცალო ფასები, რომელთაც უკვე დასწიეს ფასები საბიუჯეტო შენაწყობის პროდუქტებზე.

სიძვირის გამო პროცენტული დამატება უნდა გამოქვეყნდეს ისეთი ანგარიშით, რათა მუშებმა თავისი მეორე ნახევრის ხელფასის მიღების დროს მიიღონ ეს დამატება.

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია, განაცხადა ამიერ-კავკასიის ბიუროს მდივანმა, რათა სიძვირის გამო დამატება განისაზღვროს საინდექსოთ საშუალო თვიური ფასების მიხედვით.

ფ.

მეცნიერები ამხ. ლენინის შესახებ

მოსკოვი 19 მარტი. 16 მარტს შესდგა მეცნიერების მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს პლენუმი, რომელიც მიძღვნილი იყო ამხ. ლენინის ხსოვნისამდი. აკადემიკოსმა მარმა აღნიშნა, რომ ლენინი თვით საფლავიდანაც აქეზებს სხვებს მუშაობისაკენ და იწვევს ენერგიას.

„ლენინის ლამპები".

ამხ. კრჟიჟანოვსკიმ აღნიშნა, რომ ლენინს მეტად აინტერესებდა ყველა აღმოჩენები, მიღწევები და გამოკვლევები მეცნიერების დარგში, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც დაკავშირებული არიან ჩვენს სამეურნეო ცხოვრებასთან.

ლენინი პირველი დაინტერესდა კურსკის ანომალიით. ის წარმოადგენს ელექტროფიკაციის საქმის სულის ჩამდგმელს; ამიტომ, თუ გლეხთა ქოხებში გაშუქდებიან ელექტრონის ლამპები, მათ უნდა ეწოდოთ „ლენინის ლამპები".

ლენინი და მეცნიერება.

აკადემიკოსმა ოლდენბურგმა აღნიშნა, რომ ლენინის მთელი ცხოვრება იყო ბრძოლა; ყველა მის ნაწერებში თითქოს ისმის მხოლოდ ერთი სიტყვა „იბრძოლე". მაგრამ მეცნიერება, რომელსაც, ერთი შეხედვით, ადგილი არ აქვს ბრძოლაში, ახლო იყო ლენინთან და მის მის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა.

ლენინს მეცნიერება მიაჩნდა როგორც საკუთარი მსოფლმხედველობის, ისე მთელი ახალი ცხოვრების მშენებლობის საფუძვლად.

ლენინისათვის ელექტროფიკაცია არის ერთსა და იმავე დროს რეალური განხორციელება და სიმბოლო ახალი ცხოვრების. ლენინი—ეკონომისტი დაინტერესებული იყო ფილოსოფიით, ისტორიით, გეოგრაფიით, ეტნოგრაფიით, ლინგვისტიკით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებით.

ლენინმა გამოაცხადა გონებრივი და ფიზიკური შრომის კავშირი. ის ცდილობდა მუდამ მეცნიერების შთანერგვას მასებში, ამაშია მისი დიადი ანდერძი მუშებისა და მეცნიერების მუშაკებისადმი

ოლდენბურგი იტყობინება, რომ მისი შეხვედრა ლენინთან სავსებით მიძღვნილი იყო მეცნიერულ-ტეხნიკურ საკითხებისადმი. ლენინმა აღუთქვა მას ყოველმხრივი დახმარება მეცნიერებისათვის სამეცნიერო მუშაობაში და ეს თავისი დაპირება ლენინმა სავსებით შეასრულა.

ოლდენბურგმა განაცხადა: „ბუნებრივია, რომ ლენინი, როგორც ჭეშმარიტი რევოლიუციონერი, ასეთ დიდ და განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მეცნიერებისადმი, ვინაიდან მეცნიერება არის მსოფლიოში უდიდესი რევოლიუციონური ძალა, რომელიც არასოდეს არ კმაყოფილდება მიღწეული შედეგებით და მუდამ მიისწრაფვის წინ, ახალ მიღწევებისაკენ.

პირველი საგლეხო მომგებიანი სესხი

მოსკოვი. 19 მარტი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. სვიდორსკიმ პირველ საგლეხო მომგებიანი სესხის შესახებ, რომელსაც უშვებს საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

„ის საგლეხო მომგებიანი სესხი, რომელიც ახლო ხანში იქნება გამოშვებული, საშუალებას აძლევს გლეხობას ყველაზე უფრო მოსახერხებელ ფორმაში შეასრულოს სეგადასახადო ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ. სესხის ძირითადი სარგებლიანობა მდგომარეობს იმაში, რომ სესხი ობლიგაციების ყიდვის დროს ღირს 85, იყიდება კი 100: სხვანაირათ რომ ვსთქვათ, გლეხი სესხის ყიდვის დროს იღებს 15 პროც. შეღავათს მისი ნომინალური ღირებულებიდან.

გლეხს უფლება აქვს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გაისტუმროს ობლიგაციებით მისი ნომინალური ღირებულების მიხედვით.

ამრიგათ, ეხმარება რა სახელმწიფოს ობლიგაციების შეძენით, გლეხი იმსუბუქებს აგრეთვე თავის მდგომარეობასაც; ის იღებს განსხვავებას კურსზე 15 პროცენტის რაოდენობით.

ობლიგაციების პატრონები, თუ ისინი შეინახავენ ობლიგაციებს გამოსყიდვამდი, მიიღებენ პროცენტებს, მოგებას და 15 პროც. განსხვავებას ნომინალურ ღირებულებიდან.

იმ მიზნით, რომ გლეხებს გაუადვილდეს სესხის შეძენა, დაწესებულია მისი წვრილი კუპიურები: გამოშვებული იქნება მანეთის ღირებულების კუპიურები მოგების ერთი ნომრით, სამმანეთიანი—მოგების სამი ნომრით, ხუთმანეთიანი—ხუთი ნომრით.

დასასრულ ამხ. სვიდორსკიმ იმედი გამოსთქვა, რომ ეს სესხი ისეთივე პოპულიარული იქნება გლეხთა მოსახლეობაში, როგორც წინეთ გამოშვებული პურის სესხი, რომელმაც დაუმტკიცა გლეხებს ფულის შენახვის სარგებლიანობა სახელმწიფო ობლიგაციებში.

პარტიული ცხოვრება

ცენტრპარტსკოლაში

1924 წლის 12 მარტს შესდგა ცენტრალურ-პარტსკოლის კურსანტების საერთო კრება, რომელსაც დაესწრო კურსანტების უმრავლესობა.

საღამოს სრულ 5 საათზე საერთო კრებას ხსნის სკოლის გამგე გ. ხაბაპერიძე, რომელიც მოკლე სიტყვაში ახასიათებს ამ დღის მნიშვნელობას. შემდეგ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამავე სკოლის ლექტორი: ამხ. ა. ბუაჩიძე, რომელმაც მარქსისტული ანალიზი გაუკეთა 1917 წლის თებერვლის რევოლიუციას, თებერვლის რევოლიუციის დროს არსებულ საზოგადოებრივ ჯგუფების ურთიერთ დამოკიდებულებას, საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას. მომხსენებელი განსაკუთრებით დიდ ხანს შეჩერდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე კულტურულ ეკონომიურ დარგში. მოხსენების ირგვლივ შემოვიდა შეკითხვები, რომელზედაც ამხ. ბუაჩიძემ გასცა ამომწურავი პასუხი; კრების მიერ გამოტანილ იქნა სათანადო შინაარსის რეზოლიუცია, რომელიც თავდება შემდეგი სიტყვებით:

„გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, გამარჯვების სიმბოლოს ხუთ-თავიან წითელ-ვარსკვლავს, რომელიც ანთებული ჩირაღდანივით ანათებს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მძიმე უღლის ქვეშ მგმინავ ერების მშრომელთა კერას".

ქ. პატარაია.

ისევ სოფლისაკენ

როდესაც მოახლოვებული იყო 1905 წლის რევოლიუცია, მაშინ პარტია ქალაქებიდან სოფლათ გზავნიდა ამხანაგებს და ამით უახლოვდებოდა გლეხებს, რათა მოსალოდნელ რევოლიუციონურ მოძრაობაში გლეხებსაც მიეღოთ აქტიური მონაწილეობა. მაშინ ეს იყო საშუალება ქალაქის სოფელთან დაახლოვების.

საუკეთესო პასუხისმგებელი პარტმუშაკები, რომლებიც მაშინ ქალაქათ იყვნენ მიდიოდნენ სოფლათ და იქ მუშაობდნენ. ყველა რაიონებში მიმაგრებული იყვნენ პარტიული პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც აარსებდნენ გლეხთა მასიურ წრეებს, უჯრედებს, მართავდნენ მიტინგებს და სხვა, რის გამოც 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობაში გლეხობასაც დიდი წვლილი შეჰქონდა.

მხოლოთ 1905 წელს შემდეგ ხელმძღვანელთა უმეტესობა მოექცნენ ქალაქათ და სოფლათ მთელი მუშაობის სიმძიმე დააწვა ადგილობრივ სოფელში მომუშავე პარტიის წევრებს.

ასეთივე მდგომარეობა იყო 1921 წელს. ყველა იმ ამხანაგების უმეტესობა, რომელთაც კი უმუშავნიათ ორგანიზაციაში არალეგალურათ, მაზრის ან რაიონის მასშტაბში ყველამ მიაშურა ქალაქს და სოფლათ ცოტა ძალები დარჩა. დღეს თავის ნებით სოფლისაკენ არავინ მიდის და დღეს, როდესაც კომპარტიამ გადასწყვიტა ქალაქის სოფელთან დამოკიდებულების განმტკიცება—ქალაქის მუშების მიერ სოფლის მუშებზე დახმარება,—მისი კარგის და ავის გაგება-გაზიარება და დახმარება, მაშინ საჭიროა ვიფიქროთ ქალაქიდან ისევ სოფლათ მუშაობაზე—ისევ ძველ ძირითად სოფლის უჯრედებში, ისევ გლეხობაში. მსგავსათ 1905—წლისა უნდა გაჩაღდეს კავშირი ქალაქისა—სოფელთან, მუშისა—გლეხთან. მუშამ დღეს უნდა შეისწავლოს ის, რასაც საჭიროებს სოფელი—უნდა გაუწიოს მას ჯეროვანი დახმარება. ამისათვის არის საჭირო პარტმუშაკები, რომლებიც იცნობენ სოფლის ცხოვრებას და შეუძლიათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მას, ვისაც კი შერჩენია ის ძველი უნარი და გამოცდილება.

საჭიროა სოფელს მივხედოთ, მივემაგროთ მაზრებზე, რაიონებზე.

ქვემოთ საჭიროთ მიმაჩნია მოვიყვანო მოკლე ანგარიში 1903—1904—1905 წლებში და 1917—1921 წლის საქართველოს გასაბჭოებამდე იმ ამხანაგების მუშაობისა პარტიულ სფეროში, რომლებიც მუშაობდნენ სოფლათ.

გურიაში ყოფილა დაარსებული არალეგალური (ბოლშ. ფრ.) 1905—1917 წლამდე—10 უჯრედი.

1917 წლის 31 დეკემბრამდე დაარსებულა 28 უჯ. 1918 წელს—21 უჯ. 1919 წელს—4 უჯ. 1920 წ.—3 უჯ. დაარსებულია არალეგალური უჯრედები 66.

დამაარსებლები არალეგალურ უჯრედებისა ადგილობრივი ამხ. ყოფილან 111; არა ადგილობრივი 10. სულ 121 ამხ.

უჯრედის დამაარსებლები ირიცხებოდნენ რ. ს. დ. მ. პ. (მეუმრავლესეთა ფრაქ.) 113, საქ. კომპარტიაში—8. სულ 121 ამხ.

ამათ შორის დღეს ცოცხლებია 106 ამხ. მკვდარია 11, მოკლულია 4 ამხ.

ცოცხლებს შორის კომპარტიის წევრებია დღეს 94 ამხ. გამოურკვეველია 12 ამხ. სულ 106.

ბინები, სადაც ხდებოდა არალეგალური უჯრედების კრებები

ასეთი ბინები ყოფილა სულ 212

უჯრედები, რომლებიც იკრიბებოდნენ რეგულიარულათ, ყოფილა 47 უჯრედი არალეგალურათ 19 უჯრედი. 1917 წლამდე გაერთიანებულ (რ. ს. დ. მ პ.) პარტიაში (ფრაქციულათ) მუშაობდა 6 უჯრედი. მხოლოთ 1914 წლიდან წმინდა ბოლშევიკური ყოფილა 4 უჯრედი, 1917 წლიდან 1921 წლამდე ყველა 66 უჯრედი წარმოადგენდნენ წმინდა ბოლშევიკურ უჯრედებს.

სოციალური მდგომარეობით უჯრედის წევრები ყოფილან გლეხები.

1905—წლიდან 1921 წლამდე უჯრედის ხელმძღვანელობა ჰქონებია დაკისრებული.

ადგილობრივ—სულ	227 ამხ.
არა ადგილობრივს—	7 ამხ.
სულ	234 ამხ.

უჯრედებში მუშაობდნენ და მოხსენებას აკეთებდნენ ადგილობრივი ამხანაგები. 159 ამხ. არა ადგილობრივი 109 ამხ. უჯრედებს ჰქონებია მჭიდრო კავშირი ურთიერთშორის 24 უჯრედის რაიონულ კომიტეტთან და ადგილობრივ უჯრედებთან 42 უჯრედს, 1917 წლამდე რ. ს. დ. მ. პ. მეუმრავლესეთა (ბოლშ.) ფრაქციის წევრები ყოფილან 189 ამხ. 1917 წლის დეკემბრის დამლევს პარტიის წევრები (ბოლშ. პარტ.) ყოფილა 964 ამხ. 1921 წლის გასაბჭოებამდე კი 1581 ამხ. 1919 წელს რბევა განუცდია 15 უჯრედს. 1920 წელს 2.

არ ყოფილა შემთხვევა უჯრედის დადგენილებით დაშლილიყოს უჯრედი და შეეწყვიტოს არალეგალური მუშაობა.

1919 წლის გამოსვლებში მონაწილეობა მიუღია 25 უჯრედს. 1917 წლამდე რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობა მიუძღვის 10 უჯრედს. ეს არის მოკლე ანგარიში და ნაყოფი 1903—1904—1905 წლებში ქალაქიდან სოფლათ მუშაობისა.

თუ 1905 წელში ქალაქიდან სოფლათ პარტ. მომუშავე ამხანაგები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მხოლოთ პარტიულ მუშაობას, ზეპირ აგიტაცია-პროპაგანდას და რევოლიუციონურ მოძრაობის გაღვივებას სოფლათ, დღეს საჭიროა საქმეზე გადასვლა და სოფელზე დახმარება მისი საჭირბოროტო კითხვების მოგვარებაში, რომელიც რიგში უდგას გლეხკაცობას. ასეთია პირველათ ყოვლისა სოფლის ნაწარმოების გასაღებაში და ქალაქის ნაწარმოების მიწოდებაში დახმარება და აგრეთვე მეურნეობის გაუმჯობესების მხრივ ახსნა განმარტება და დახმარება, და ყველა ის კითხვები, რომელზედაც დღეს განსაკუთრებით ფიქრობს გლეხი—ფულის რეფორმის, სიძვირესთან ბრძოლის და სხვათა შესახებ.

ამ საშუალებით ჩვენ შევსძლებთ იმ კავშირის განმტკიცებას და გაძლიერებას, რომელიც ყოველთვის არსებობდა ჩვენი პარტიისა და სოფლის ღარიბ მცხოვრებთა შორის.

დ. ბ.

ეკონომიური ცხოვრება

საბირჟო კურსი ტფილისში
(20 მარტი)

ჩერვონცები	— —	12.600 მილ.
ფუნტ. სტერლინგ. ეფექტ.		10.645 „
„ ჩეკები	—	10 330 „
დოლარი ეფექ.	—	2500 „
„ ჩეკები	—	2375 „
ოსმ. ქაღ. ლირა	—	1440 „
იტალიური ლირა	—	110 „
ფრანგული ფრანკი	—	107 ნახ.

ბიულეტენი
ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.

(20 მარტი)

ოქროს მანეთი 12.600 000

სურსათის ფასები.
(20 მარტი)

პური 1 ხარისხის 99.000 ათასი, პური 2 ხარ.—72,000 ათასი, ძროხის ხორცი—385,000 ათასი, ღორის ხორცი 352,000 ათ. შაქარი რაფინადი 440.000 ათ., ფხვნილი შაქარი—320,000 ათ., კარტოფილი—55,000

ტფილისის ბაზრის ფასები.
(20 მარტი)

პური 1 ხ.—125000 ათ., პური 2 ხარ.—90.000, ძროხის ხორცი 420.000 ათ. ღორის ხორცი 400.000 ათ., შაქარი რაფინ. 450.000 ათ., შაქარი ფხვნილი 350,000 ათ., კარტოფილი 70000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

მარსელის კრამიტი 1 ხარ., აგური, ქუთაისის კირი, ცარცი (ფხვნილი), თიხის მილები, მზესუმზირას ზეთი, მარტენის მავთული, ჩაი ცეილონის და ჩინეთის, ნაწლევები, სპილენძი (ფურცლოვანი), ტყავის ღვედები, „სახორეტრესტ"-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატი"-ს პროდუქცია, ხორბალი და პურეული, „ხლებოპროდუქტ"-ის ფქვილი, „ცარპაიტორგ"-ის პროდუქ., რუს. მანუფაქტ., ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიკური სოდა ასანთი რუს., სახ. მეურნ. საბჭოს საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ" და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ერევნის მატყლი გარეცხილი, პაპიროსის ქაღალდი, ყავა „მოკკო", თხილი, შაბიამანი, განჯის შაბი, გაზეთის ქაღალდი, საპონი „დოკატ", ძირტკბილა, იტალიური გოგირდი, კარტონი, ინგლის. ფეხსაცმელები, კარაქი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, შაბიამანი რუს. მანუფაქტურა, ყუბანის ფქვილი („რაზმოლ"), ტეხნიკური ცხიმი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდიის ცემენტი, ყუბანის ფქვილი (საკანდიტერო), ასანთი რუს, ქვა-მარილი ნახიჩევანის, გოგირდი თხილი, ტომრები, კვებრახის ექსტრაქტი, ტყავის ღვედები.

ოფიციალური გარიგებანი

ტყავეულობა—3635 მანეთის თანხისა, ფრანკო „კოჟსინდიკატ"-ის საწყობი.

მატყლი „დონმა"—14 მ. 35 კ. ფუთი, ფრანკო-ყარათაფა, დამმზადებლის საწყობი.

ყუბანის ფქვილი „რაზმოლ"—1 მ. 90 კ. ფ, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება
(20 მარტი)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1 ჩ.	12.600.000	56 ჩ.	705.600.000
2 ჩ.	25.200.000	57 ჩ.	718.200.000
3 ჩ.	37.800.000	58 ჩ.	730.800.000
4 ჩ.	50.400.000	59 ჩ.	743.400.000
5 ჩ.	63.000.000	60 ჩ.	756.000.000
6 ჩ.	75.600.000	61 ჩ.	768.600.000
7 ჩ.	88.200.000	62 ჩ.	781.200.000
8 ჩ.	100.800.000	63 ჩ.	793.800.000
9 ჩ.	113.400.000	64 ჩ.	806.400.000
10 ჩ.	126.000.000	65 ჩ.	819.000.000
11 ჩ.	138.600.000	66 ჩ.	831.600.000
12 ჩ.	151.200.000	67 ჩ.	844.200.000
13 ჩ.	163.800.000	68 ჩ.	856.800.000
14 ჩ.	176.400.000	69 ჩ.	869.400.000
15 ჩ.	189.000.000	70 ჩ.	882.000.000
16 ჩ.	201.600.000	71 ჩ.	894.600.000
17 ჩ.	214.200.000	72 ჩ.	907.200.000
18 ჩ.	226.800.000	73 ჩ.	919.800.000
19 ჩ.	239.400.000	74 ჩ.	932.400.000
20 ჩ.	252.000.000	75 ჩ.	945.000.000
21 ჩ.	264.600.000	76 ჩ.	957.600.000
22 ჩ.	277.200.000	77 ჩ.	970.200.000
23 ჩ.	289.800.000	78 ჩ.	982.800.000
24 ჩ.	302.400.000	79 ჩ.	995.400.000
25 ჩ.	315.000.000	80 ჩ.	1.008.000.000
26 ჩ.	327.600.000	81 ჩ.	1.020.000.000
27 ჩ.	340.200.000	82 ჩ.	1.033.200.000
28 ჩ.	352.800.000	83 ჩ.	1.045 800.000
29 ჩ.	365.400.000	84 ჩ.	1.058.400.000
30 ჩ.	378 000.000	85 ჩ.	1.071.000.000
31 ჩ.	390.600.000	86 ჩ.	1.083.600.000
32 ჩ.	403.200.000	87 ჩ.	1.096.200.000
33 ჩ.	415.800.000	88 ჩ.	1.108.800.000
34 ჩ.	428.400.000	89 ჩ.	1.121.400.000
35 ჩ.	441.000.000	90 ჩ.	1.134.000.000
36 ჩ.	453.600.000	91 ჩ.	1.146.600.000
37 ჩ.	466.200.000	92 ჩ.	1.159.200.000
38 ჩ.	478 800.000	93 ჩ.	1.171.800.000
39 ჩ.	491.400.000	94 ჩ.	1.184.400.000
40 ჩ.	504.000.000	95 ჩ.	1.197.000.000
41 ჩ.	516 600.000	96 ჩ.	1.209.600.000
42 ჩ.	529.200.000	97 ჩ.	1.222.200.000
43 ჩ.	541.800.000	98 ჩ.	1.234.800.000
44 ჩ.	554.400.000	99 ჩ.	1.247.400.000
45 ჩ.	567.000.000	1 მ.	1.260.000.000
46 ჩ.	579.600.000	2 მ.	2.520.000.000
47 ჩ.	592.200.000	3 მ.	3.780.000.000
48 ჩ.	604.800.000	4 მ.	5.040.000.000
49 ჩ.	617.400.000	5 მ.	6.300.000.000
50 ჩ.	630.000.000	6 მ.	7.560.000.000
51 ჩ.	642.600.000	7 მ.	8.820.000.000
52 ჩ.	655.200.000	8 მ.	10.080.000.000
53 ჩ.	667.800.000	9 მ.	11.340.000.000
54 ჩ.	680.400.000	1 ჩერვ	12.600.000.000
55 ჩ.	693.000.000		

ქრონიკა

— **უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი.** ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა გაანთავისუფლოს საბურთალოში რადიო სადგურის მიერ დაკავებული შენობა უპატრონო ბავშვთათვის თავშესაფარის მოსაწყობათ. ამ მიზნით აღნიშნულმა აღმასკომმა „ბავშვების მეგობართა" საზოგადოებას გადასცა 500 მან. ჩ.

— **„ბავშვების მეგობართა" საზოგადოების წევრების რაოდენობა.** „ბავშვების მეგობართა" საზოგადოების მოხალისე წევრთა რიცხვი ამ ჟამად აღწევს 1,000 კაცს. მოხალისე წევრებათ უმთავრესად ეწერებიან მუშები და მოსამსახურეები.

— **უპატრონო ბავშვთა დახმარებლად.** ა.-კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთან არსებულ უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიას გადასცა 1,500 მან. „ბავშვთა მეგობართა" საზოგადოების საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად.

— **ქალაქის სისუფთავის დასაცავათ.** ქალაქის აღმასკომმა სანიტარულ ექიმის ოქმის თანახმად დააჯარიმა მოქ სიჩოვი (ფრეილინის ქ. № 8) ეზოში უწმინდურობის გამო.

— **ბაზრის ფასების მომწესრიგებელი კომისიის დაარსება.** ქ. აღმასკომმა ამხ. ივანოვს დაავალა შეადგინოს ბაზრის ფასების მომწესრიგებელი კომისია უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილების თანახმად.

— **ქუჩებში მათხოვრების აკრძალვა.** ქალაქის განმტვირთავ კომისიის ქ. აღმასკომმა დაავალა მიიღოს ზომები ქუჩებში მათხოვრების მოსასპობათ.

— **უცხოელთა რეგისტრაცია.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი ამ ჟამად აწარმოებს ტფილისში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციას და მათზე პირადობის მოწმობების გაცემას. იანვრიდან დღემდე რეგისტრაციაში გამოცხადდა 320 უცხოელი.

— **სამოქალაქო აქტების ჩაწერის პუნქტები.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა დაუგზავნა ცირკულიარული მიწერილობები მაზრებს, რათა წარმოადგინონ იმ სოფელთა სია, სადაც შეიძლება და საჭიროა სამოქალაქო აქტების ჩაწერი პუნქტების მოწყობა.

— **ა./კ. მიწათმოქ. კომისართა ყრილობა** ა.-კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისართა ყრილობა შესდგება ტფილისში 28 მარტს.

— **გლეხკომები პროვინციებში.** ზესტაფონის გლეხკომმა გახსნა ფართლეულობის საწყობი, მარილის და სხვა წვრილმანი საქონლის დუქანი და იაფი სასადილო.

— **კოოპერატიულ ორგანიზაციების გასაჯანსაღებლად.** ლეჩხუმის და სენაკის მაზრებში გაემგზავრა საუწყებათაშორისო კომისია ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციების სარევიზიოთ და მათი მუშაობის გასაჯანსაღებლად.

— **ბებიათა სექცია.** საბებიო (აკუშერკათა) საქმის გასაუმჯობესებლად როგორც ქალაქებში, ისე განსაკუთრებით მაზრა-სოფლებში, ჯანმრთელობის კომისარიატის სამკურნალო განყოფილებასთან დაარსდა ბებიათა სექცია.

— **მემანქანეთა ცოდნის შემოწმება.** 23 მარტს შრომის ბირჟაში შესდგება ექსპერტთა კომისიის სხდომა მემანქანეთა ცოდნის შესამოწმებლად.

— **შრომის ბირჟა.** 17 მარტს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 866 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—93, მოთხოვნილება იყო—52, სამუშაოზე გაიგზავნა—28.

— **დახმარების გაცემა.** 21 მარტს შრომის ბირჟა გასცემს მარტის თვის დახმარებას მბეჭდავთა, ტრანსპორტის, მელითონეთა, აღმშენებლობის, ხეზე მომუშავეთა, მიწის და სხ. კავშირის სექციის დაზღვეულ უმუშევრებზე.

— **აღწერას გარეშე დარჩენილ სტუდენტების აღწერა.** ის სტუდენტები, რომლებიც სტუდენტთა საერთო აღწერაში არ გატარებულან 1923 წ. ნოემბერში, უნდა გამოცხადდნენ განათლების კომისარიატის სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში 21, 22, 24, 25, და 26 მარტს ანკეტების შესავსებათ.

— **შეცდომის გასწორება:** ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში ბიბლიოგრაფიაში „მნათობის" შინაარსი კორექტორების დაუდევრობით შემდეგი შეცდომა შეიპარა: სწერია—„მ. გოცირიძე—ეინშტეინის რელატივობის თეორია", უნდა იყოს—მ. გოგიბერიძე. სწერია: „ჰიმალების ჩრდილში", უნდა იყოს: „ჰიმალაების ჩრდილში".

შემთხვევები:

— მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა. 13 მარტს ღამის 11 საათზე ქვემო ავჭალაში ბანდიტებმა მოჰკლეს მოქ. ალექსი იგიაზაროვი.

— უ ბ ე დ უ რ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა. 15 მარტს, შუადღის 12 საათზე პლეხანოვის და მუშტაიდის ქუჩების კუთხეში ნახევრათ საბარგო ავტომობილმა გაიტანა 12—13 წ. ლტოლვილი ბავშვი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია. ავტომობილი მიიმალა.

— ქ უ რ დ ო ბ ა. 15 მარტს, დღის 1 საათზე 1-ლი მოლრინის ჩიხი № 4 გაქურდული იქნა მორგებული გასაღებით მოქ. მარიამ დიგოროვის ბინა, საიდანაც წაიღეს 22 ჩერვონეცის ნივთები.

— 16 მარტს, დილის 5 საათზე დარიალის ქ. № 32 გაქურდული იქნა მოქ. არტემ პოლოსოვის ბინა, საიდანაც წაიღეს 3 ჩერვონეცი და ორი რევოლვერი „ბრაუნინგ"-ს და „ნაგანის" სისტემის.

— შ ე პ ყ რ ო ბ ა. 13 მარტს შეიპყრეს ენუქა მანუჩიანცი და აშოტ თათეოსიანი, რომელთაც ბრალდებათ მოქ. ილიკო ბეზაშვილისათვის (დესიმონოვის მოედანი № 33) 12 ფუთი თამბაქოს მოპარვა.

— თ ა ვ ი ს დ ა ჭ რ ა. 16 მარტს, დილის 5 საათზე ნოვოროსიის ქ. № 7, რევოლვერით სასიკვდილოთ თავი დაიჭრა მოქ. ალექსანდრე კერეჩინკომ. თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზი გამოურკვეველია.

კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების" გასამართლება

16 მარტის სხდომა
(გაგრძელება)

სხდომა იხსნება საღამოს 6 საათზე

თავმჯდომარე სიტყვა ეკუთვნის საზოგადოებრივ ბრალმდებელს ამხ. ერქომაიშვილს.

ამხ. ერქომაიშვილის სიტყვა

სასამართლოს წევრნო! სანამ მე შევეხებოდე საქმის არსებით მხარეს, მინდა დავიწყო იმით, რითაც ჩემმა ამხანაგებმა დააბოლავეს თავისი სიტყვები. სიტყვა სიმართლე, სიტყვა სამართალი არასოდეს არ შეიცავდა მტკიცე ცნებას, ის განყენებული ცნება იყო ყოველთვის და არც იქნება არასოდეს მტკიცე ცნება, სანამ არ მოისპობა განხეთქილება კლასთა შორის. ის, რაც ჩვენთვის სიმართლეა, მათთვის არ არის სიმართლე და პირიქით. როდესაც ძველი მთავრობა ხვრეტდა ჩვენს ამხანაგებს, ეს მათი სიმართლე იყო, ეხლა რომ კითხოთ აქ საბრალდებულო სკამზე მჯდომთ, ისინი იტყვიან, რომ მათი გასამართლება უსამართლობაა. ჩვენი სასამართლო კლასიურია. ჩვენ ამ საქმეს მივუდგებით კლასობრივი თვალსაზრისით.

სამღვდელოება ყოველთვის იცავდა გაბატონებულ კლასებს, ის იცავდა ისეთ მთავრობას, რომელიც სძარცვავდა მშრომელ ხალხს, სამღვდელოება თვითმპყრობელ რეჟიმის დამქაში იყო. ის ეხმარებოდა ამ რეჟიმს საკატორღო ციხეებში, სადაც თავისუფლების მოტრფიალე რევოლიუციონერები იჯდნენ. ის ამბობდა: თუმცა კაცის მოკვლა აკრძალულია ღმერთის კანონების მიხედვით, მაგრამ თუ ტუსაღი გაიქცა ციხიდან, მაშინ ყარაულს შეუძლია მისი მოკვლა.

სამღვდელოება რევოლიუციის მტერი იყო. ეს განსაკუთრებით გამოაშკარავდა 1905 წ. რევოლიუციის დროს და მის შემდეგ. სამღვდელოება ხალხს ასწავლიდა ლოცვას და ამით უნდოდა რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობა. სამღვდელოება ვერ ურიგდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას, ის ვერ შეურიგდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას, რადგან მას მოაკლდა ღვინო და ხაჭაპურები. და დაიწყო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჯერ რუსეთში და შემდეგ საქართველოში. ტიხონი ამბობდა: ვინც ხმალი აიღო, ის ხმლითვე მოკვდება. ტიხონი, რასაკვირველია, რუსეთში ვერ ახორციელებდა ამას, მაგრამ ის ყოველ ღონეს ხმარობდა საზღვარ-გარეთ, რომ ხელი შეეშალა საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის, გენუის კონფერენციას შესჩქეროდა არა მარტო საქართველოს სამღვდელოება, არამედ რუსეთის სამღვდელოებაც, რადგან გენუის კონფერენციის საშუალებით ფიქრობდნენ ისინი საბჭოთა რუსეთის სისხლში ჩახრჩობას და წითელი ჯარის გაყვანას საქართველოდან.

მე მინდა ანალიზი გაუკეთო მემორანდუმს. თქვენ აქ დაინახავთ 18 მუხლს, რომელთაგან მხოლოდ ერთი მუხლი შეეხება სარწმუნოების საქმეებს. აქ არის ორი მომენტი: ბჟარებული ყალბი ცნობების შედგენა და მათი გავრცელება.

შემდეგ საზოგადოებრივი ბრალმდებელი იხილავს მემორანდუმს პოლიტიკურის მხრივ, არჩევს მემორანდუმში მოყვანილ ყველა მუხლებს, ეხება საქართველოს დამოუკიდებლობას „დემოკრატიული" მთავრობის დროის და ამბობს, რომ საქართველო არ იყო მაშინ დამოუკიდებელი, ის დამოკიდებული იყო გერმანიის და ინგლისის ჯარებისაგან, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ერეოდა საქართველოს შინაურ საქმეებში. ეხლა კი საქართველოში მყოფი წითელი არმია სრულებით არ ერევა ჩვენს შინაურ საქმეში. ეს ჯარი იცავს ქართველი ხალხის დამოუკიდებლობას დასავლეთის იმპერიალისტებისაგან. საქართველოს მშრომელი ხალხი, რომელმაც დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა, თვითონ განაგებს თავის საქმეს და ამით ახორციელებს თავის სუვერენიტეტს, თავის ქვეყნის დამოუკიდებლობას.

თქვენ, წევრნო უზენაესი სასამართლოისა! თქვენ ყურადღება უნდა მიაქციოთ იმ პროვოკაციას, რომელსაც ადგილი აქვს ამბროსის მემორანდუმში, რადგან ასეთ პროვოკაციულ ცნობებს ემყარებიან საზღვარგარეთ მეორე ინტერნაციონალის წევრები და ათასნაირ ბროშიურებს უშვებენ იქ, რომლებიც სავსეა ყალბი და ცრუ ცნობებით საბჭოთა საქართველოს შესახებ. ეს კი გზას უბნევს ევროპის მუშებს, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ ერთგვარი ნდობით ეპყრობა მეორე ინტერნაციონალს. მემორანდუმი რომ პოლიტიკური ხასიათის მატარებელია, სჩანს მისი ორი მთავარი მოთხოვნილებიდან: წითელი ჯარის გაყვანა საქართველოდან და პოლიტიკური წესწყობილების ფორმის შეცვლა. ამრიგათ, ეს მემორანდუმი შედგენილია იმ მიზნით, რომ ანტანტა ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში და მოეთხოვა აქედან წითელი ჯარის გაყვანა.

მაგრამ, ვინ არის ამაში კიდევ დამნაშავე. რასაკვირველია, საკათალიკოსო საბჭო. ვინ შედის ამ საბჭოში: ერთი სამხედრო პირი, ერთი ნაციონალ-დემოკრატი და სხვები, ერთი სიტყვით იქ თავს იყრიდენ საქართველოს მთელი კონტრ-რევოლიუციის წარმომადგენლები. წარმოუდგენელია, რომ საბჭოს მონაწილეობა არ მიეღო ამ მემორანდუმის შედგენაში. რათ მალავს ამას ამბროსი? რატომ სიმართლის არ გვეუბნება ის? საბჭოს წესდებაც კი იმას გვეუბნება, რომ საბჭოს დავალების გარეშე კათალიკოსს არ შეეძლო მიემართა სახელმწიფო ორგანოებისათვის. განა ასეთი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მემორანდუმი შეეძლო მარტო ამბროსის შეედგინა? ეს ყოვლად დაუშვებელია. ამბროსმა უნდა სთქვას, ვინ იღებდა მასთან მონაწილეობას მემორანდუმის შედგენაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აქ დამნაშავეა მთელი საბჭო. ამას გარდა საბჭო სისტემატიურად ილაშქრებს არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ. მან არ ჩააბარა სამხედრო ტაძარი და ამით წინააღმდეგობა გაუწია მთავრობის ბრძანებას.

შემდეგ ამხ. ერქომაიშვილმა პარალელი გაატარა მენშევიკებსა და სამღვდელოებას შორის.

ინტერვენციას მოითხოვენ ისინიც და ესენიც, ორივე ისინი პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების შესახებ. ორივე ისინი იბრძოდენ არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ დაემხოთ მუშურ-გლეხური მთავრობა. ამ საქმეში სამღვდელოება ეხმარებოდა პარიტეტული კომიტეტი. რაც შეეხება წიგნების უწესრიგოთ წარმოებას, ესეც გასაგებია, რადგან ბრალდებულებს აზრათ ჰქონდათ გადაესწორებინათ შავი ანგარიშები და თავისი სურვილისამებრ ცვლილებები შეეტანათ შიგ.

ამ მხრივ, მათი დანაშაული აშკარაა. საბჭო, რომელმაც ცრუ ხმები გაავრცელა, უნდა დაისაჯოს. აქ ამის გარშემო ბევრს ილაპარაკებენ. მე გთხოვთ ეს მიიღოთ მხედველობაში და მიიღოთ აგრეთვე მხედველობაში ისიც, რომ ეხლა გარდამავალი ხანაა და რომ თქვენ ხართ მუშათა კლასის წარმომადგენლები.

მე ვათავებ ჩემს სიტყვას იმ იმედით, რომ თქვენ გამოიტანთ ისეთ დადგენილებას, რომელიც დააკმაყოფილებს მუშათა კლასს.

უზენაესი სასამართლოს განაჩენი

19 მარტს, საღამოს 8 საათზე, 25 საათის თათბირის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი.

მიესაჯათ:

1. კათალიკოს ამბროსის,—ერში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიას —დაპატიმრება 7 წ. 9 თ. 23 დღ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

2 იასონ კაპანაძეს (გაქცეულია)—9 წ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

3 კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძეს—3 წ. 9 თ. 23 დღ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

4. ნიკოლოზ ჯარამანის ძე თავდგირიძეს—3 წ. 9 თ. 23 დღ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

5. მარკოზ პავლეს ძე ტყემალაძეს—9 თ. 23 დღ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

6. იოსებ დიმიტრის ძე მერიანაშვილს—9 თ. 23 დღ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

სრულიად განთავისუფლებული არიან:
(საქართველოს ცაკის ამნისტიის ძალით)

1. მიტრ. ნაზარი, 2. ჯაფარიძე, 2. არჯევანიძე, 4. თოთიბაძე, და 5. ლაზარიშვილი (როგორც უდანაშაულო).

დამცველების სიტყვები

პირველად ლაპარაკობს კათალიკოსის დამცველი ნინიძე.

გრძელ სიტყვაში ნინიძე სცდილობს უარყოს ბრალდების ცალკე დებულებები. ის სცდილობს დაამტკიცოს, რომ მემორანდუმის შედგენა და გაგზავნა არ უნდა იქნეს შეფასებული, როგორც სახელმწიფო ღალატი. ის იხსენებს სამღვდელოების კულტურულ როლს, იმ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდნენ ქართველი მღვდლები რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ის ამტკიცებს, რომ თუ კათალიკოსმა საკათალიკოსო საბჭოს დაუკითხავათ გაგზავნა მემორანდუმი და ამით დაარღვია სამოქალაქო კანონები, ეს სრულებით არ ეწინააღმდეგება საეკლესიო დებულებებს და შეთანხმებული იყო იმ პრეცენდენტებთან, რომლებსაც წინეთ ჰქონდა ადგილი.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ნინიძე საკითხს მემორანდუმში მოთავსებულ ცნობების სიყალბისა თუ სისწორის შესახებ. მას მოჰყავს გაუთავებელი ციტატები სხვადასხვა წიგნებიდან, ეყრდნობა სტატისტიკურ ცნობებს, სხვადასხვა ანგარიშებს და სხვა. თავმჯდომარე რამოდენიმეჯერ აჩერებს მას და შენიშვნას აძლევს, რომ ასეთი ციტატები არ არის საჭირო საქმის გამორკვევისათვის. ნინიძე ისევ და ისევ უბრუნდება თავის მასალებს.

თავის სიტყვის დასასრულ ნინიძე მოუწოდებს სასამართლოს, რომ მან კათალიკოს არ მიაწეროს იმაზე მეტი, რაც მას ჩაუდენია და კიდევ უფრო არ დაამძიმოს მისი მდგომარეობა, რადგან მას წაყენებული აქვს ბრალდება სახელმწიფო ღალატში.

ნინიძეს რამოდენიმეჯერ შეაწყვეტინა სიტყვა საზოგადოებამ, სიტყვის დასასრულს კი დარბაზში შეიქნა ყვირილი „ძირს".

მეორეთ ილაპარაკა ბარათაშვილმა, რომელიც განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რომ ამბროსი არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებდა უცხო სახელმწიფოებთან და მემორანდუმის დაწერა, მისი აზრით, არ არის ისეთი ფაქტი, რომელიც ამტკიცებდეს მოლაპარაკებას, რადგან მემორანდუმს არ მოჰყოლია არავითარი შედეგები და გამოურკვეველია—იყო თუ არა ის გამოქვეყნებული კონფერენციაზე.

ბარათაშვილი დაუმტკიცებლად სთვლის აგრეთვე ბრალდებას საეკლესიო განძეულობის გადამალვაში და დასასრულ აღნიშნავს, რომ საკათალიკოსო საბჭოს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება—მთავრობის განკარგულების შეუსრულებლობა და წინააღმდეგობა — არ არის დასაბუთებული.

ბარათაშვილს რამოდენიმეჯერ შეაწყვეტინა სიტყვა საზოგადოებამ, სიტყვის დასრულების შემდეგ დარბაზში გაისმა ხმები: „ძირს ამბროსი", „ძირს კონტრ-რევოლიუცია".

17 მარტის სხდომა

დამცველების სიტყვები

17 მარტის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა დამცველების სიტყვები.

გუნცაძე, მიტროპოლიტ ნაზარის და სამხედრო სობოროს წინამძღვარის თათიბაძის დამცველი, სცდილობს დაამტკიცოს, რომ მისი მარწმუნებლების მოქმედებაში არ ყოფილა ბოროტმოქმედების ელემენტები.

დამცველ დადიანის გამოსვლას დარბაზი ხვდება დიდხანს შეუწყვეტელი ყვირილით: „ძირს". დადიანს რამოდენიმეჯერ აწყვეტინებენ სიტყვას.

— სირცხვილი!—ისმის ყოველ წუთში. საზოგადოების უკმაყოფილება იმდენად იზრდება, რომ სასამართლოს თავმჯდომარე დადიანის სიტყვის დროს იძულებულია შესწყვიტოს სხდომა წესრიგის აღსადგენად.

დადიანი დაუმტკიცებლად სთვლის იმ ბრალდებას, რომელიც წაყენებულია მასი მარწმუნებლების ტყემალაძის და ლაზარიშვილის წინააღმდეგ.

— საქმიდან არ სჩანს, რომ ტყემალაძე მონაწილეობას იღებდა მემორანდუმის შედგენაში, იმ ბრალდებაზე კი, რომელიც წაყენებულია ლაზარიშვილის წინააღმდეგ, თვით საბრალმდებლო ნაწილმა სთქვა უარი.

დადიანი მოითხოვს მისი მარწმუნებლების სრულ განთავისუფლებას.

ქავთარაძე—არქ. ჯაფარიძის დამცველი, რომელმაც გაზიდა სიონის და მცხეთის ტაძრების განძეულობა და ჩაფლა ის მიწაში, თავის სიტყვას აშენებს იმაზე, რომ თუ განძეულობის გატანა მოხდა საქართველოს გასაბჭოებამდი და თუ ამაში ირ იყო ბოროტმოქმედებას ელემენტები, მაშინ არც ამ განძეულობის გადამალვის განგრძობა შეიძლება ჩაითვალოს ბოროტმოქმედებათ და ამიტომ სთხოვს სასამართლოს ჯაფარიძის სრულ განთავისუფლებას.

დანარჩენი ბრალდებულების დამცველებს—მღვდლიევს, ყანჩელს და გელიაზაროვს არავითარი ახალი მოსაზრებები არ მოყავთ და სთხოვენ სასამართლოს ბრალდებულთა განთავისუფლებას.

დამცველ გელიაზაროვის სიტყვის შემდეგ სასამართლო კამათის დასრულებულად აცხადებს და მხარეების მიერ რეპლიკებზე უარის თქმის გამო უკანასკნელ სიტყვას აძლევს ბრალდებულ კათალიკოსს, ამბროსი ხელაიას.

სხდომა დაიხურა ღამის 12 საათზე.

ხელოვნება

— **გამოსათხოვარი საღამო ზოია ლოდის, ვლ. გოროვეცის და კ. მილშტეინის.** კვირას, 23 მარტს, კონსერვატორიის დარბაზში შესდგება სამი ვირტუოზის ზოია ლოდის, ვლ. გოროვეცის და ვლ. მილშტეინის გამოსათხოვარი საღამო.

— **მომღერალ ლ. სობინოვის გასტროლები.** მარტის ბოლო რიცხვებში ოპერის თეატრში დაიწყება მომღერალ სობინოვის გასტროლები. წარმოდგენილი იქნება: „ევგენი ონეგინ", „ტრავიატა" და „ლოენგრინ".

— **„მამის მკვლელი".** კინო-სურათის „მამის მკვლელის" მიერ საზოგადოებაში დიდი ინტერესის გამოწვევის გამო მისი ჩვენება გაგრძელდება კიდევ ერთი კვირით „არფასტოში" და „აპოლოში".

— **დრამატიული ინსტიტუტი.** სახ. დრამატიული ინსტიტუტის დირექციამ ქართული ცეკვის ხელმძღვანელათ მიიწვია ცნობილი მოცეკვავე ვანო ნანეიშვილი.

— **ახალი გაზეთი.** ახლო ხანში გამოვა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების ყოველკვირეული გაზეთი.

— **ახალი კინო-სურათი.** სახ. კინომრეწველობამ შეუდგა ახალი კინოსურათის „დაკარგული საუნჯის" გადაღებას. სცენარი დაწერილია თვითმპყრობელობის დროიდან.

დღეს თეატრებში.

— ოპერა. „მადამ ბატერფლაი".

— დრამა. „მასკოტ".

— სახ. სახლი. რუსული წარმოდგენა.

— ცირკი. 18 მარტს, პროგრამის განმეორება.

რა გზით ავამუშავოთ სოფლათ სახალხო მასწავლებელი?

ვინ არ იცის, რომ სახალხო მასწავლებელს სოფლათ ფართე სამოღვაწეო ასპარეზი აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი მასწავლებელი. ამ ასპარეზს სრულიად მოსწყდა და გადაიქცა უბრალო მოხელეთ, უბრალო „ობივატელათ".

ძველად, თვითმპყრობელობის ბატონობის დროს, სახალხო მასწავლებელი დიდ როლს ასრულებდა ბნელეთით მოცულ მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებისა და გამოფხიზლების საქმეში. მასწავლებელი იყო არამც თუ თავისი პირდაპირი მოვალეობის აღმსრულებელი, არამედ ის იყო სოფლის ნამდვილი საზოგადო მოღვაწე. ვინ აშენებდა და უვლიდა სოფლის წიგნთ-საცავ სამკითხველოებს? ვინ უძღვებოდა და ხელმძღვანელობდა კოოპერატივებს? ვინ იყო სოფლად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული პატარა პოლიტიკური მოღვაწე? ვინ იყო მაშინდელი ხელისუფლების მიერ არარად მიჩნეული და აბუჩად აგდებული?—სახალხო მასწავლებელი. თავის მოჭირნახულეს, თავის მოამაგეს და მშველელს სოფლის მშრომელი ხალხი ხედავდა უმთავრესად სოფლის მასწავლებელში. თუ გლეხს რაიმე გაუჭირდებოდა, აუცილებლად მასწავლებელს მიაშურებდა რჩევისა და დარიგების მისაღებათ. მასწავლებელი იყო არა მარტო მცირეწლოვანთა მასწავლებელი, არამედ ამასთან ერთად ის იყო ხალხის მასწავლებელი.

ასე იყო მაშინ, როცა თვითმპყრო-

ბელობს აგენტების მიერ სახალხო მასწავლებელი დევნილი და დამცირებული იყო.

დღეს კი სურათი სრულიად შეიცვალა. როგორც ზევით ვსთქვი, სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობა სრულიად არ არის დაინტერესებული ხალხის პროგრამით, სრულიადაც არ ზრუნავს სათავეში ჩაუდგეს და უხელმძღვანელოს სოფლის კულტურულ-განმანათლებელ და ადმინისტრაციული სახის საქმეებს, არ ზრუნავს არც იმაზე, რომ თვითონაც მომზადდეს, გათვითცნობიერდეს და ცოდნით შეიარაღებული სათავეში ჩაუდგეს სასოფლო საქმეებს და მასთან თავისი მოვალეობა უფრო პირნათლად შეასრულოს.

ეს ასეა მაშინ, როცა სახალხო მასწავლებლის პოლიტიკური მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა, როცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მასწავლებლობას სათანადო ყურადღება ექცევა, როცა ის ძველად დევნილი და „კაცუნად" მიჩნეული სრულუფლებიანი მოქალაქე გახდა, როცა ზემოთ აღნიშნულ სამოღვაწეო ასპარეზზე ხელს კი არავინ უშლის, როგორც ეს „ნეტარხსენებულ" დროს იყო, არამედ, პირიქით, ყოველგვარს დახმარებას უწევს მას. მიზეზი ამ უარყოფითი მოვლენისა შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ ამ პატარა წერილში ყველაფრის აღნიშვნა შეუძლებელია. მე აღვნიშნავ ორ უმთავრეს მიზეზს: პირველი—ეს არის მეტწილად ისეთი მასწავლებლების ყოლა, რომლებსაც ცხოვრების სკოლა ჯერ სათანადოთ არ გაუვლიათ, რომლებიც გუშინ გამოვიდნენ რვაწლედის ან ტეხნიკუმების კედლებიდან და არა აქვთ სათანადო ინიციატივა და გამოცდილება ზემოთ აღნიშნულ სასოფლო საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში.

მეორე მიზეზი არის ისეთი მასწავლებლების ყოლა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ ამლაცერად უყურებენ და „მეც წავხდი და შენც წაგახდინე"-ს პოლიტიკაზე არიან დამდგარი. ასეთები, რასაკვირველია, ძალიან მცირედი ნაწილი არის. ცხოვრების უდრეკი სინამდვილე ასეთებს მალე ჰკრავს ასწავლის და ჯიუტობაზე და განდგომაზე ხელს აიღებინებს. ჩვენი უმთავრესი მიზანი არის ამ თავიდანვე შევუდგეთ პირველი მიზეზის აღმოფხვრასა და მოსპობას. უადრესად ყურადღება უნდა მიექცეს უამრავ ახალგაზრდა მასწავლებელთა გადამზადებას.

ამ შემთხვევაში მე მაინტერესებს სოფლის მასწავლებელთა უფრო პოლიტიკური გადამზადება, რაც მომავალში დიდ როლს ითამაშებს მუშებისა და გლეხების დაახლოვებისა და დაკავშირების საქმეში. გადამზადებას ჩვენ უნდა მივსცეთ სისტემატიური ხასიათი. ამისათვის არის საჭირო მომავალ ზაფხულის არდადეგების დროს მაზრებში მოეწყოს სახალხო მასწავლებელთა პოლიტ-გადამზადების კურსები.

რომ კურსებმა ნაყოფი გამოიღოს, აუცილებელია მასწავლებელთა შერჩევა ნიჭის და უნარის მიხედვით.

ამასთან დაცული უნდა იქნას თემების მიხედვით პროპორცია: მაგ., გურიაში 40 თემია, თვითეულ თემიდან კურსებზე გაწვეულ უნდა იქნას სამი ამ მიზნისათვის შესაფერი მასწავლებელი. ამ საშუალებით ჩვენ ორი თვის მეცადინეობით თვითეულ თემში გვეყოლება ორი ან სამი გვარიანათ მომზადებული პატარა ხალხოსნ მოღვაწე, რომლებიც დარაჯები იქნებიან სოფლის კულტურულ-განმანათლებელ საქმეებისა.

ასეთი კურსების მოწყობას უნდა მიექცეს სისტემატიური ხასიათი, ე. ი. უნდა ეწყობოდეს ყოველწლიურად, რითაც ჩვენ თანდათანობით გვამრავლებთ ნამდვილ სახალხო მასწავლებლებს და მით მშრომელ გლეხკაცობას მივსცემთ ენერგიით სავსე ისეთ ცოცხალ ელემენტებს, რომლებიც მას ყოველ მხრივ დახმარებას გაუწევენ სოფლის კულტურულად აღორძინებისა და აყვავების საქმეში.

თ. დოლიძე.

პროვინციაში

გორი

სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ, რომელსაც აქვს ტყავეულობის ქარხანა, სადაც სწარმოებს ნედლ ტყავეულობის დამუშავება, ამ მოკლე ხანში გახსნა თავის სახელოსნო-სახარაზო, სადაც მზადდება ჩუსტები. ნაწილი ჩუსტებისა უკვე გადაცემული აქვს მუშათა კოოპერატივს დაკლებულ ფასებში, რათა სოფლის მცხოვრებლებს მიეცეთ საშუალება მისი მცირე ფასებში შეძენისა. ეს ნაბიჯი თუმცა დიდი და ფართო არ არის, მაგრამ ენერგიულ მოწინავე ამხანაგებმა უნდა მიიღონ თავის თავზედ ასეთი ხასიათის საქმეთა გაფართოვება, რაც სოფლის მცხოვრებთა მწვავე მდგომარეობას ოდნავ მაინც გააუმჯობესებს.

ამჟამად იმავე განყოფილების ხელმძღვანელობით ეწყობა მექალამნეთა არტელის შექმნა, რაც კოოპერაციის საშუალებით გასაღდება დაკლებულ ფასებში.

კორესპ.

სამტრედიის აღმასკომის მუშაობა

როგორც საერთოდ, ისე კერძოთ სამტრედიისთვის, 1923 წელი საბჭოთა აღმშენებლობაში მეტად ნაყოფიერი წელია. სამტრედიის აღმასკომს შეეძლება ჰქონდა მთელი თავისი ენერგია მიემართა საბჭოთა აღმშენებლობისაკენ.

აღმასკომის განკარგულებით ტეხნიკოსის საშუალებით დაგეგმილ იქნა ქალაქის ყველა საუბნო გზები. გზების დაგეგმვის დროს აღმასკომი ხელმძღვანელობდა გზების გაფართოვების და გასწორების პრინციპით. მთელი 1923 წლის განმავლობაში ამ მხრივ სწარმოებდა ენერგიული მუშაობა, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო. დღეს მთელს ქალაქში (უბნებით) გვაქვს გასწორებული და გაფართოვებული გზები. სწარმოებს ენერგიული მუშაობა გზების შესაკეთებლად. ამ მუშაობაში გლეხობა დიდის ხალისით ჩაება და კმაყოფილიც არის. აღმასკომს ხშირად მოსდიოდა უბნებიდან და თემებიდან საზოგადო კრებების ოქმები, სადაც მოითხოვდენ აღმასკომისაგან ტეხნიკოსს გზების დასაგეგმავათ. მუშაობა ამ დარგში ეხლაც ენერგიულად სწარმოებს. შეკეთებულ იქნა ოცი სხვადასხვა ზომის ხიდები. შეკეთებულ იქნა აღმასკომის, პარტკომის, მილიციის, ორი შრომის სკოლის და საავადმყოფოს შენობები.

ქალაქში არსებობდა საავადმყოფო, მაგრამ მას არ ჰქონდა საკუთარი შენობა. პირველ ხანებში ის მოთავსებული იყო კერძო და მეტად უვარგის შენობაში, შემდეგ რკინისგზის შენობაში. ვინაიდან რკინისგზას თვით დასჭირდა საკუთარი საავადმყოფოსათვის აღნიშნული შენობა, აღმასკომი იძულებული იყო საავადმყოფო ახალ ბინაზე გადაეტანა. ახალ შენობას დასჭირდა კაპიტალური შეკეთება, რაც შესრულებული იქნა აღმასკომის საშუალებით. ამ მხრივ საავადმყოფო კარგ მდგომარეობაშია. ამა წლის 15 იანვრამდე საავადმყოფოს, გარდა სამეურნეო ხარჯებისა, ინახავდა სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილება, მაგრამ უკანასკნელ დროს უსახსრობის გამო ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილება იძულებული იყო დაეხურა საავადმყოფო, თუ კი მის შენახვას თავის თავზე არ აიღებდა სამტრედიის აღმასკომი.

ვინაიდან საავადმყოფოს დახურვა დიდ ზიანს მოუტანდა სამტრედიის რაიონში ჯანმრთელობის საქმეს, სამტრედიის აღმასკომმა თავის თავზე აიღო საავადმყოფოს შენახვა იმ იმედით, რომ ნაწილს ხარჯებისას გაიღებს ჯანმრთელობის კომისარიატი. ამის შესახებ აღძრულია სათანადო შუამდგომლობა კომისარიატის წინაშე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჯანსახკომი თავისი წვლილს გაიღებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საავადმყოფომ დიდი სამსახური გაუწია რაიონის მცხოვრებთ, როდესაც აქ პარტახტიანი ტიფი მძვინვარებდა. აღმასკომი რამოდენიმე უფასო ადგილს აძლევს ღარიბ გლეხებს.

აღმასკომის მიერ შეკეთებულ იქნა შრომის სკოლის შენობები. ვინაიდან არსებული შენობები ვერ იტევს მოწაფეებს და მომავალში მოსალოდნელია ასეული მოწაფე დარჩეს სკოლის გარეთ, ამიტომ აღმასკომი შეუდგა ტეხნიკუმისათვის დამხმარე შენობის აგებას. შენობა არის აგურის ათი ოთახით. შენობისათვის საჭირო ყოველგვარი მასალა შეძენილია და შენობა ერთი თვის განმავლობაში დამთავრდება.

ს. კ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება №10

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი

1924 წ. მარტის 13.

საქონლის მანეთზე გადახდილის გამოანგარიშების და იმავე გამოანგარიშებით ტარიფისა და ნიხრის დაწესების წესების შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის საქმის მომზადებისათვის ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. აიკრძალულ იქნეს 1924 წლის მარტის 1-დან ხელშეკრულების დადება, ვალდებულების გაცემა და სხვ. ამისთ., აგრეთვე ტარიფისა და ნიხრის დაწესება საქონლის საშუალო ფასების გამომხატველ რიცხვზე (საქონლის მანეთი) გამოანგარიშებით.

2. ხელშეკრულება და ყოველგვარი ვალდებულება, რომელიც 1924 წ. მარტის 1 ს შემდეგ დადებულ იქნება საქონლის მანეთზე გამოანგარიშებით, ძალამოკლებულია.

3. ხელშეკრულება და ყოველგვარი სხვა ვალდებულება, 1924 წლის მარტის 1-დე დადებული საქონლის მანეთზე გამოანგარიშებით, შეფარდებულ უნდა იქნეს ოქროს ვალიუტისათვის არა უგვიანეს 1924 წლის მარტის 31-სა.

შენიშვნა: ოქროს ვალიუტისათვის შეფარდებულ უნდა იქნეს ყოველი ხელშეკრულება, გარდა კოლექტიური ხელშეკრულებისა,—მტკიცე პარიტეტით: 1 საქონლის მანეთი უდრის 1 მან. და 30 კაპ. ოქროთი.

კოლექტიური ხელშეკრულების ოქროს ვალიუტისათვის, შეფარდება დაწესდება ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

4. დადგენილება ეს სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი
ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი ნ. ხოჯოლბკი.

დადგენილება №11

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი 1924 წ. მარტის 13.

სამუშაო ხელფასის ოქროს ვალიუტაზე გადატანის შესახებ.

რათა განხორციელებულ იქნეს საჭირო მომზადება მტკიცე ვალიუტაზე მომავალი გადასვლისათვის და რათა თავიდან აცილებულ იქნეს მუშამოსამსახურეთა მიერ საკურსო განსხვავების დაკარგვა სამუშაო ხელფასის საქონლის მანეთით გაცემის დროს—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. სამუშაო ხელფასის გაცემა 1924 წლის მარტის 1-დან მოხდება თანახმად ამა დადგენილების 2, 3, და 4 მუხლისა ისე, რომ კოლექტიური ხელშეკრულებით დაწესებული განაკვეთი ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებზე არ გადაიტანება. სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების ამ ცვლილებამ არ უნდა შეამციროს კოლექტიური ხელშეკრულებით დაწესებული რეალური სამუშაო ხელფასი.

2. ყველა შემთხვევაში, როდესაც სამუშაო ხელფასი დადგენილია კოლექტიური ხელშეკრულებით, ეს სამუშაო ხელფასი გაცემულ უნდა იქნეს 1924 წლის მარტის 1-დან მტკიცე პარიტეტის მიხედვით, რაც ცალკე დაწესებულ იქნება ხოლმე სატარიფო ზოლებისათვის. 1924 წლის აპრილის 1-სათვის განსაზღვრულ უნდა იქნეს სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს საბიუჯეტო ინდექსის ადგილობრივი ღირებულება მტკიცე ვალიუტით, რის შემდეგაც მარტში მიცემულ თვითეულ მანეთზე გადახდილ უნდა იქნეს,—საპროცენტო ზედნართის სახით ცხოვრების გაძვირების გამო—განსხვავება მიღებულ მტკიცე პარიტეტსა და საბიუჯეტო ინდექსის ადგილობრივ ღირებულებას შორის, რომელიც გამოანგარიშებული იქნება მტკიცე ვალიუტით.

შენიშვნა: აღნიშნული პარიტეტი და საზოლო განაწილება ცალკე უნდა იქნეს გამოქვეყნებული.

3. უკეთუ კოლექტიური ხელშეკრულებით სამუშაო ხელფასი დაწესებულია ჩერვონცებად, დაცულ უნდა იქნეს ის განაკვეთი, რაც მიცემულ უნდა ყოფილიყო მარტის თვისათვის, ხოლო უნდა დაემატოს 1924 წ. აპრილში ცხოვრების გაძვირების გამო დაწესებული განსაკუთრებული ზედნართი.

4, წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს, შრომის სახალხო კომისარიატს და სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს სამის დღის განმავლობაში განსაზღვროს სახალხო მეურნეობის ის დარგები, სადაც ფულის რეფორმის დამთავრებამდე სამუშაო ხელფასი მარტიდან დაწყებული, ნაწილობრივ გადახდილ უნდა იქნეს ხოლმე მტკიცე ვალიუტით და ამასთანავე შეიმუშაონ გადახდის წესი და ნორმები.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი
ნ. ივანიშვილი

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი ნ. ხოჯოლბკი.

დადგენილება №12

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წ. მარტის 14.

კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ხელფასისათვის მტკიცე ვალიუტით პარიტეტის დაწესების შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ 1924 წ. მარტის 13 თარიღით და 11 №-რით გამოცემული დადგენილების მე 2 მუხ. განსავითარებლად და სოც. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ სამუშაო ხელფასის ოქროს ვალიუტისათვის შეფარდების შესახებ ამა წლის მარტის 1-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მიხედვით—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორია მიეკუთვნოს სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ მარტის 1-ს თარიღით გამოცემული დადგენილებით დაწესებულ ზოლებს: მე-2 ზოლს—ქ. ქ. ტფილისი, ბაქო, ერივანი და ბათომი; მე-8 ზოლს—მთლად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის დანარჩენი ტერიტორია.

2. კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მანეთის მტკიცე ვალიუტისათვის შეფარდების დროს დაწესებულ იქნეს პირველად ანგარიშის გასწორებისათვის მარტში შემდეგი მტკიცე პარიტეტი:

მე-2 ზოლისათვის—1 საქონლის მანეთი უდრის 1 მან. და 30 კაპ. მტკიცე ვალიუტით;

მე-8 ზოლისათვის—1 საქონლის მანეთი უდრის 1 მანეთს მტკიცე ვალიუტით.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ივანიშვილი.

ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი ნ. ხოჯოლბკი.

დადგენილება №13

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი

1924 წ. მარტის 14.

ცხოვრების გაძვირების გამო დაწესებული ზედნართის ანგარიშში მარტის თვისათვის ავანსის გაცემის შესახებ.

უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ ამა წლის მარტის 13-ს თარიღითა და 11 №-რით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. დასამატებლად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. ვიდრე, ამა წლის აპრილის 1-ვის საბიუჯეტო ინდექსის განსაზღვრის საფუძველზე, ცხოვრების გაძვირების გამო საპროცენტო ზედნართი დაწესდებოდეს მარტის თვისათვის, იმ საწარმოში, დაწესებულებაში და მეურნეობაში, რომელიც, ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ ამა წლის მარტის 13-ს თარიღითა და მე-11 №-რით გამოცემული დადგენილების თანახმად, საქონლის მანეთიდან ჩერვონცების მანეთზეა გადასული მტკიცე პარიტეტისამებრ,—გაიცეს მარტის პირველ ნახევარში ცხოვრების გაძვირების გამო ამ თვისთვის დაწესებული ზედნართის ანგარიშში ავანსები იმ განაკვეთის 50 პროც. რაოდენობით, რაც მარტის თვისათვის იქნება დაწესებული.

2. დადგენილება ეს შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ დეპეშით.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი ნ. ხოჯოლბკი.

დადგენილება №88

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1924 წლ. მარტის 14.

პასუხისმგებელ პოლიტიკურ, პროფესიონალურ, საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ მუშაკთა შრომის ჯილდოს შესახებ.

ა | კ. შრომის სახ. კომისარიატის 1922 წლ. 29 აგვისტოს № 1, 1923 წლ. 16 თებერვლის № 39 და 1923 წლ. 11 აპრილის № 44 „პასუხისმგებელ პოლიტიკურ, პროფესიონალურ, საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ მუშაკთა შრომის ჯილდოს შესახებ" დადგენილებათა შესაცვლელად ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1. პასუხისმგებელ მუშაკთა არსებული ტარიფი გადატანილ იქნეს ჩერვონულ გამოანგარიშებაზე, შეფარდებით სატარიფო ცხრილში 1 : 8 თან 1-ლი ხარისხის განაკვეთად დაწესდეს 15 მან. 30 კაპ.

2. სატარიფო ცხრილის 1 : 8 შეფარდება დაწესდეს შემდეგ სქემით:

ხარისხი	შეფარდება ცხრილში	განაკვეთი ჩერ. მან.
10	4,2	64 მ. 26 კ.
11	4,6	70 „ 38 „
12	5,0	76 „ 50 „
13	5,5	84 „ 15 „
14	6,2	94 „ 86 „
15	6,7	102 „ 51 „
16	7,2	110 „ 16 „
17	8	122 „ 40 „

3. იმ პასუხისმგებელ მუშაკთათვის, რომელნიც თავის თანამდებობის ხასიათის გამო სამსახურის გარეშე—ზედმეტ სხვადასხვა სამუშაოს ასრულებენ, რომლის აღრიცხვა შეუძლებელია დაწესდეს დამატებითი ჯილდო 50 პროც.-ს რაოდენობით (არა უმეტესა) მათ ძირითად ჯამაგირზე, მუშაობის ხასიათთან და ნორმალური სამუშაო დროის ზევით ფაქტიურ დატვირთვასთან დამოკიდებულებით და ა | კ შრომის სახ. კომისარ. 1922 წლ. 29 აგვისტოს დადგენილების № 1-ში აღნიშნულ სანიმუშო სქემის მიხედვით.

4. ძირითად ჯამაგირზე დამატებითი ჯილდოს გაცემა არ არის სავალდებულო და მიეცემა მხოლოდ და მხოლოდ ფაქტიური დატვირთვის მიხედვით, რომელსაც ადგენენ ორგანიზაციის, დაწესებულების და წარმოების ხელმძღვანელები.

ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ მოუმატონ ან მოუკლონ დამატებითი ჯილდო ცალკე მუშაკებს მათი დატვირთვისა და მუშაობის ხასიათის მიხედვით, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს მომატება-დაკლება ხდებოდეს უწყებული მუშაკის ძირითადი განაკვეთის 50 პროცენტის ფარგლებში.

5. ძალაში დარჩეს ყველა დანარჩენი ნორმები, რომელიც დაწესებულია პასუხისმგებელ მუშაკთა შრომის ჯილდოს შესახებ ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნულ დადგენილებებში.

6. ეს დადგენილება სავალდებულოა ყველა პოლიტიკურ, პროფესიონალურ, საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ პასუხისმგებელ მუშაკთათვის.

7. ამა დადგენილების მოქმედება ძალაში შედის 1924 წლის 1-ლ მარტიდან.

ა | კ. შრომის სახ. კომისარი: იაკუბოვი.

შეთანხმებულია: ა | კ. ბიუროს თავმჯდომარე: ხუმკოვი.

საერთო საორგან. განყ. გამგის მოადგ.: თუმანოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მუშფაკის ახალ. კომ. კავშირის უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ ხუთშაბათს, საღამოს 8 საათზე შესდგება მუშათა ფაკულტეტის შენობაში არა მორიგი კრება. ევალება ყველა წევრებს და კანდიდატებს გამოცხადდენ კრებაზე.

სახ. უნივ. და მუშფაკის ახალ. კომუჯრედი ბიურო.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ქიონია, შვილები: შალვა, დიმიტრი, დავით და სიმონ, რძლები ოლღა და ალექსანდრა, შვილისშვილები ლევან და ზურაბი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას და დაუვიწყარ მამისას

გიორგი მერაბის ძე კახნიაშვილისას,

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია შაბათს, 22 მარტს, 3 საათზე სოფ. დილიკაურში (შორაპნის მაზრაში). 700 1—1

ზ. ფ. ლენინის სახელობ. საოპერო თეატრი

დღეს, 20 მარტს
ქ-ნი ბატერფლეი
პარასკევს 21 მარტს
ქეთო და კოტე
კვირას, 23 მარტს
ლაკმე

ნ. 964 4—1

ქუთაისი
ფილიპოვის სავაჭროში
(აკაკი წერეთლის ქუჩაზე)
მიღებულია ელექტრონით გასანათებელი ყოველგვარი მასალები გერმანიის ეკონომიური ლამპოჩკები და იყიდება ძლიერ ხელსაყრელ ფასებში
იგივე სავაჭრო ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას ელექტრონის მასალის და მანქანებისას სწრაფი ჩაბარებით.
კრ. 920 15—10 პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ს. ს. რ. კ. სამხრეთ ნაწილის ლითონის ტრესტი
(გაერთიან. ქარ. იუზოვკის, ბრიანსკის, მაკეევის, ტაგანროგის და ყოფ. განტკე)
„იუგოსტალ"
გაიხსნა ამიერ-კავკასიის სააგენტო, აწვდის სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატივებს და კერძო წარმოებებს თავის ქარხნების ნაწარმოებს

თუჯი ჩამოსხმული, ბოლვანკები, თუჯისაგან გაკეთებული სხვადასხვა საგნები, რკინის გზის რელსები, ტრამვაის რელსები, მაღაროების რელსები.

რკინა სხვადასხვა ხარისხის, რკინა ფურცლოვანი, რკინა სახურავის. მავთული. ლურსმანი ყველა ზომისა. მილები—გაზის, მილები—კვამლის, მილები—და სხვა.

ინჟინერი შ. ბ. რუხაძე

ტფილისი ლადო დუმბაძის ქუჩა (ყოფ. ველიამინოვის) 14, ამხანაგობა „ფება"

ნის. № 926—2—2

მუშევო და გლეხებო!

თქვენ ყველამ უნდა იყიდოთ მამაკაცების, ქალების და ბავშვების გამზადებული ტანთსაცმელები კარგი მასალისაგან, იაფად და ნაწილ-ნაწილად გადახდის გზით მხოლოდ საფაბრიკო მაღაზიაში

„გრუზოდეჟდა"

რუსთაველის პროსპექტი № 11 (გოლოვინ.)

მოითხოვეთ საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების საშუალებით თქვენი დაწესებულებებისა და წარმოებებისაგან კოლექტიური კრედიტები.

ფაბრიკა: მელიქოვის ქუჩა, № 5, ტელეფ. 11—67

მიიღება დაკვეთები სამხედრო, სამოქალაქო და სპეც-ტანთსაცმელების მასიურ დამზადებაზე

ნ. 951 10—5

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1924 წ. 27 მარტისათვის დანიშნულია

შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა

მთავარი არხის. მე-8-ე უბნის № 27 პიკ. № 30+25 პალომამდე მიწისა და კლდის სამუშაოს ნაჭრად გაცემის შესახებ დაახლოვებით 4500 კუბ. საჟ. პირველისა და 700 კუბ. საჟ. მეორისა.

მთელი სამუშაოს შესრულების ვადა 4 თვე.

ამ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება დაწესებულ ბლანკზე სათანადო სალერბო მარკებით დახურულ კონვერტში—წარწერით: „ზაჰესის" სამუშაოთა უფროსს 1924 წ. 27 მარტს დანიშნულ შეჯიბრებისათვის, რომელ რიცხვში მოხდება კონვერტების გახსნა. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა საწინდარის წარმოდგენა განცხადებულ ფასის 5 პროც. რაოდენობით, რომელი საწინდარიც მისაღებ თანხებიდან თანდათანობით გამოკლებით გადიდებულ იქნება 10 პროც.-მდე. საწინდარის წინასწარ შემოტანისაგან თავისუფალი არიან სახელმწიფო ორგანოები და რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები, რომელთათვისაც საწინდარი განცხადებულ ფასიდან 10 პროც. რაოდენობით ხვედრი თანხებიდან თანდათანობით შესდგება. დაწვრილებითი ცნობის მიღება შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე (ქ. ტფილისი, ლადო დუმბაძის ქ. № 3, ყოფილ ველიამინოვის). იქვე გაიცემა სათანადო თეთრი ნიმუშები განცხადებისათვის.

954—3—2 ზაჰესის სამუშაოთა უფროსი ინჟინერი: ჭიჭინაძე.

მე-12 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ტფილისისა ი. ბასილაშვილი აცხადებს, რომ ა. წ. მარტის 28 პარასკევს დილის 10 ს. მე-12 სამილიციო უბანში, გორის შესახ. № 12 შესდგება მეორეჯერ

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ქონება გიორგი დავითის ძე გოცირიძისა: სახლი ორ სართულიანი—ქვისა, სივრცე 155, 55 კვ. საჟენი სახლი შეფასებულია საჩერვონცოდ. უნდა დაკმაყოფილებული იქნეს გოცირიძის მოვალე ამხ. „მშჟუმსის". თანხის გადახდის ვადა 1924 წ. ივლისის 26-დე. თანახმად მე-12 სამილიციო უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა № 731, ეს თანხა, გადატანილი ინგლისურ სტერლინგებში შეადგენს 124 გირ. სტერლინგს, 3 შილინგს, და 8 პენსს. აღნიშნული თანხის გადახდა შეიძლება ა. კ. ბონებითაც გამოცხადებული კურსის მიხედვით. ქონება იქნება ამხ. „მშჟუმსის" ხელში სრული თანხის გადახდამდე. მოქალაქეთ, რომელთაც აქვთ სურვილი მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინონ აღნიშნული თანხის 10 პროც. საწინდრად და ქალაქის აღმასკომის კომუნალური განყოფილებიდან მოწმობა, რომ აღნიშნულ სახლს ისინი იძენენ თავშესაფარად და რომ მეტი ბინა მათ და მის ცოლშვილს არ მოეპოვება.

701 1—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებისა ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყურგანოვის ქ. № 20. 126—25—12

დაიკარგა აქციზის ინსპ. თანაშემწეს ბეჭედი № 21. ჩაითვალოს გაუქმებულად. 708 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 1145 1910 წ. გიორგი ესტატეს ძე გვარამაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 699 1—1

დაიკარგა ტფილისის სამხედრო კომისარიატიდან მოცემული სამხედრო ბეგარას გაწვევის მოწმობა № 2555 ალექსანდრე სოლომონის ძე ხირსელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 702 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 1491 მოცემული 1918 წ. კონსტანტინე მიხეილის ძე იაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის — სააქციო — ამხანაგობა

განსაზღვრული პასუხისმგებლობით

(ძირითადი თანხა 1.000.000 მანეთი)

გამგეობა: ტფილისი თავისუფლების მოედანი ყოფ. თამამშევის ქარვასლა, ზემო სართული.

დამფუძნებელნი: 1. საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატი, 2. სახალხ ბანკი, 3. ს. ს. ს. უ. ს. საბჭო ა) ც. ს. ს. ბ) თამბაქოს ტრესტი, გ) ღვინის ტრესტი.

აწარმოებს დამზადებას: მატყლისა, აბრეშუმისა, ჯაგრისა, ბამბისა, თუთუნისა, ღვინისა, ჩაისა და ყოველგვარ ნედლ მასალისა.

ღებულობს: საკომისიო გასაღდებლად ყოველგვარ საქონელს ს. ს. რ. კ. და აქეთ. აქვს საკუთარი საბითუმო და საწვრილმანო მაღაზიები:

ქ. ტფილისში:
1. საგანუფაქტურო მაღაზია (კომინტერნ. ქ. ყოფ. სასახლის ქ. № 8).
2. საგალანტერიო, ფეხსაცმ. (კომინტერნ. ქ. ყოფ. სასახლის ქუჩა, ლიბის და ტანისამოსის მაღაზია № 8).
3. რკინეულობის მაღაზია (სომხის ბაზარი № 62).
4. რკინეულობის მაღაზია (თიფის მოედანი № 8).
5. უნივერსალური (ვაგზლის და ელისაბედ. ქუჩების კუთხე).
6. თამბაქოეულობის (პუშკინის ქუჩა № 4)
7. თამბაქოეულობის საწყობი (ელისაბედის ქ. № 133) და ვაგზ. კუთხე.

წარმომადგენლობა და საწყობები: ბათუმში, რუსთავში, ბაქოში და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სავაჭრო ცენტრებში.

ვაჭრობა სწარმოებს ბითუმად და წვრილად

ვაჭრობა სწარმოებს ბითუმად და წვრილად

961—2—2